

ax.

არჩილე ჯორჯაშვილი

60

ეველი

ახალი

ტფილისი 1906 წ.

სტამბა „იდეალი“, ნიუოლოოზის ქუჩა № 6.



ଶର୍ମିତା

არჩილ ჯორჯაძე

000

ეველი
.....გ.....
ასამი

1569



ტფილისი 1906 წ.

სტამბა „იდეალი“, ნიკოლოზის ქუჩა № 6.

ს ა რ ჩ ი ვ ი

შესავალი	თავი	I
ეროვნება, ავტონომია, ფედერაცია...	„	II
სახელმწიფო	„	III
შუშათა კანონმდებლობა, თუ სარევოლიუციო მოქმედება...	„	IV
ექონომიური ღეცენტრალიზაცია	„	V
სოციალიზაცია	„	VI
სარევოლიუციო სინდიკალიზმი	„	VII
პარლამენტი და კლასთა ბრძოლა	„	VIII

თავი ბირველი

შესჯალი

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ამ
უაშად კრიზისს განიცდის. ამ კრიზისის შესახებ გვინდა
ჩამოვაგდოთ ლაპარაკი. ვგონებ, ამხანაგები არ დაგვე-
მღვრებიან შინაურ საქმეების გარედ გამოფენისათვის, მით
უმეტესად, რომ ამ „შინაურ საქმეებს“ საზოგადოებრი-
ვი ხასიათი აქვს.

კრიზისის თვისებას და შინააზრს რომ დავაკვირდეთ,
ადვილად დავინახავთ; რომ ეს კრიზისი იმ გვარივე ხა-
სიათისაა, რა ხასიათის კრიზისს გნიცლიან დღეს პოლი-
ტიკურ ხასიათის ყველა სოციალისტური პარტიები
როსეთსა თუ ევროპაში. საქმე ის არის, რომ სოცია-
ლისტური მოძღვრება, ერთის მხრივ, ცხოვრებაში
არსებულ კლასთა ბრძოლის გამოსახვაა, მეორეს მხრივ,
განხორციელებაა საზოგადოებრივ წარმოებისა არა კლა-
სურ ნიადაგზედ კლასთა მოსპობით. სოციალისტური
პარტიები ამ მოძღვრებას, მართალია, აღიარებენ, ხოლო
თავიანთ პრაქტიკულ მოქმედებით ყოველ ნაბიჯზედ უარ-
ჰყოფენ ამ მოძღვრების დედააზრს — კლასთა ბრძოლას.
სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შეცდომანიც სწო-
რედ ამ ხსიათისაა. ამ პარტიამაც, სხვებსავით, კლასობრივ
ნიადაგზე დგომის მავივრად, დემოკრატიული პლატ-
ფორმა გაიხადა ბძოლის ნიადაგად. და რაკი შესდგა

დემოკრატიულ ნიადაგზედ, სახელმწიფოს ქსელში გაება, სოციალიზმი ფრაზეოლოგიად გაიხადა და ამ ფრაზეოლოგიიდან ვერ იხსნის პარტიას, მის მიერ აღიარებული მიწის სოციალიზაციის ვითომდა სოციალისტური პრინციპი კი.

ამ განსაკუდელის თავიდან ასაკილებლად ჩვენ გვინდა ხელმეორედ გადავსინჯოთ საპროგრამო კითხვები და ამ სახით ვასავალი მივცეთ იმ უკმაყოფილების გრძნობას და ძიების სურვილს, რომელიც კარგა ხანია გაღვიძებულია პარტიის ერთს ფრაქციაში. ჩვენს კრიტიკას, მსჯელობას და გამოკვლევას დავამყარებთ სამ მთავარ პრინციპზე, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს, ჩვენის შეხედულობით, ყოველმა სოციალისტურმა პარტიამ. პირველი პრინციპი არის სახელმწიფოს უარყოფის საკიროება სოციალიზმის განხორციელებისათვის. სახელმწიფო ყოველთვის იყო, არის და იქნება კერძო საკუთრების დარაჯი. ამიტომ, ვინც სოციალიზმის განხორციელებას ცდილობს, იგი უნდა მოქმედობდეს სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა წრის გარეშე და სახელმწიფოებრივი დაწესებულებანი სოციალიზმის განხორციელების. საქმეში არამც და არამც იარაღად არ გამოიყენოს.

მეორე პრინციპი, სოციალისტური პარტია უნდა ემზადებოდეს თავის მისის ასრულებისათვის გამუდმებულ ბრძოლის საშუალებით. ბრძოლა უნდა იყოს მიშარტული კერძო საკუთრების მეფობის წინააღმდეგ. სოციალისტურმა პარტიამ უნდა წამოაყენოს საწარმოვაჭერას სარალთა სოციალიზაციის აუცილებლობა. ამ საქმისთვის პარტია უნდა ემზადებოდეს დდესჭე. საშუა-

ლება — საყოველთაო გაფიცვაა, საყოველთაო გაფიცვა მოახდენს მიწის და კაპიტალის ეკსპროპრიაციას. ეკსპროპრიაცია ნაწილებრივი საზოგადო ეკსპროპრიაციად უნდა გადაიქცეს..

მესამე პრინციპი. სოციალისტურ ორგანიზაციას წმინდა კლასური ხასიათი უნდა ჰქონდეს. სოციალისტური პარტია უნდა იყოს პარტია მწარმოებლებისა, მშრომელ ხალხისა არა მარტო თავის იდეიურ მიმართულებით, არამედ თავის შემადგენელ ელემენტებითაც. პარტიის წევრებს წარმოებასთან უნდა ჰქონდეთ კავშირი. ეგრედ წოდებული სოციალისტური ინტელიგენცია ხელმძღვანელი და ბატონი კი არ უნდა იყოს. პარტიაში, არამედ მსახური და ხელქვეითი მწარმოებელ ორგანიზაციებისა.

ამ პრინციპების სამართლისანობა უნდა დამტკიცდეს, დასაბუთდეს, რასაც ქვემოდ ვიკისრებთ. აქ კი უნდა ვსთქვათ, რომ ამ პრინციპების ჭეშმარიტება გამომდინარეობს მუშათა მოძრაობის ისტორიიდან, გამომდინარეობს ამ მოძრაობის ბუნებით თვისებიდან, რევოლუციის გაკვეთილებიდან, მაშასადამე, თვით ცხოვრების შესწავლიდან. ჩვენც ვეცდებით ყოველივე ზეორიული ფორმულა ცხოვრების გაკვეთილებით დავადასტუროთ. მაგრამ, ვსთქვათ, ეს პრინციპები ჩვენთვის უკვე დასაბუთებული პრინციპებია. ამ შემთხვევაში სოციალისტურედერალისტთა პარტიის პროგრამას, ჩვენს თვალში, სამი უმთავრესი ნაკლი ექნება..

პირველი ნაკლი გამოისახება იმაში, რომ პარტია (რადგან იგი პოლიტიკურია) ემსახურება სახელმწიფოებრივ ანუ ბურჟუაზულ ფედერალიზმს. არის ფედერა-

ლიზმი ბურუუაზული და ფედერალიზმი სოციალისტური. ფედერალიზმი ბურუუაზიული არის კავშირის ბურუუაზულ სახელმწიფოებისა ანუ კანტონებისა. სოციალისტური ფედერალიზმი არის კავშირი მშრომელ ამხანაგობათა და ორგანიზაციათა. ბურუუაზული ფედერალიზმი ხელუხლბელ ჰყოფს სოციალურ უთანასწორობას, არ აღვევს იმ წყობილებას, რომელიც კერძო საკუთრებასა და ყვლეფა-გლეჯაზეა დამყარებული. სოციალისტური ფედერალიზმი ძირს უთხრის კერძო საკუთრებას, ასაზოგადოვებს შრომის იარაღს — მიწას და ქარხანას. გასაზოგადოვებული საწარმოვო იარაღი მშრომელთა ორგანიზაციების ხელში გადადის. მშრომელი ორგანიზაციები (სოფლისა თუ ქალაქისა) ერთმანეთს ფედერატიულად ეკავშირებიან. და ამ სახით ფედერაციათავისუფალ ორგანიზაციების თავისუფალ ფორმად ხდება.

უნდა ავირჩიოთ ან ერთი ან მეორე ფედერალიზმი. ერთმანეთში კი ამ ორ მცნებას ნუ გავრევთ. სოციალისტ-ფედერალისტებსკი (პარტიის ერთ ნაწილს მაინც) ეს ორი მცნება ერთმანეთისაგან ვერ განუსაზღვრავთ.

მეორე ნაკლი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიულ პროგრამისა ის არის, რომ საწარმოვო იარაღთა სოციალიზაციის კითხვა შეკვეცილია პარტიამ მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადასდგა სოციალიზაციისაკენ. მან აღიარა მიწის სოციალიზაცია, ხოლო სხვა საწარმოვო იარაღის შესახებ სდუმს. ქარხნების და საზოგადოთ კაპიტალის სოციალიზაცია მას საბოლოვო საქმედ მიაჩნია. ხოლო ამ მიზნის მისაღწევად კი მას სწადია, სოც.-დემოკრატებისა არ იყოს, „მუშათა კანონმდებლობის“ საქმე გამოიყენოს იარაღად. სწორედ აქ იმალება სისუსტე და შინაური

წინააღმდეგობა პარტიის პოზიციისა. „მუშათა კანონ-მდებლობა“ ვერ შეჰქმნის საჭირო პირობებს სრულ სო-ციალიზაციის განხორციელებისათვის, კანონმდებლობის თვისება ხომ დემოკრატიზმის გამნტკიცებაა, კერძო საკუ-თრების გამაგრება და რევოლიუციის აღაგმვა. კანონ-მდებლობა, გინდ მუშათა კანონმდებლობა, ბურუუაზიის გამაგრებას უფრო უწყობს ხელს, ვიდრე მუშებს უკაფავს განთავისუფლების გზას. სწორედ ამ მოსაზრების ძალით, მუშათა კანონმდებლობის მუხლების ჩაწერა კი არ არის საჭირო პროგრამაში, არამედ საწარმოვო ყველა იარაღთა ექსპროპრიაციის საჭიროება საყოველთავო გაფიცვის მოწყობით, რისთვისაც დღესვე უნდა ემზადებოდეს გუ-რომელი ხალხი და რაიც იქნება დასაწყისი სოციალურ რევოლიუციისა.

ის გარემოება, რომ სოც.-ფედერალისტები გვერდს უხვევენ ამ აუცილებელ საქმეს და ეჭიდებიან ნაწილე-ბრივ სოციალიზაციას (მიწის სოციალიზაციას), უნა-ყოფილ ხდის პარტიის ენერგიას თვით ამ უკანასკნელ საქმის განხორციელებაში. საქმე ის არის, რომ მიწის სოციალიზაცია საზოგადო სოციალიზაციის დასაწყისად კი არ მიაჩნია პარტიის ერთს ნაწილს, არამედ დემო-კრატიულ პროგრამის დაგვირგვინებად. აშ გვარი დასკვნა, რასაკვირველია; ბუნებრივია. ის პარტია, რომელიც ინ-დუსტრიალურ კითხვათა გადაწყვეტაში დემოკრატიულ ნიადაგზედ სდგას, ამავე ნიადაგზედ უნდა იდგეს აგრა-რულ კითხვათა გადაწყვეტაშიც. ამ მხრივ სოციალდე-მოკრატიული პროგრამა უფრო პარმონიულია, და თუ ჩვენ სოციალიზმისკენ დემოკრატიულ რეზოუნდების საშუ-ალებით მივდივართ, ვიქონიოთ გაბედულება, აღვია-

როთ სოციალ-დემოკრატიული პროგრამა, პროგრამა მინიმუმისა — ჩამონაჭრებისა, გინდ მუნიციპალიზაციისა, სამუშაო დღის შემოქლებისა და სხვა ამ გვარი ბურუჟაზიული მისწრაფებანი.

მაგრამ ჩვენ ამას ვერ ჩავიდენთ, ვერ ჩავიდენთ იმიტომ, რომ „დემოკრატიზმის“ ყოვლად შემძლებლობა აღარ გვწამს, და ვიცით, რომ სოციალიზმის განხორციელებას თავის დღეში ხელს ვერ შეუწყობს ის წესი, რომელიც ძირინაად ეწინააღმდეგება სოციალიზმს. და ამისთვის ახალი გზა უნდა მოვნახოთ, მთლიან პრინციპზე და ავაგოთ პროგრამა, სოციალიზაციის მოთხოვნის კითხვას სოციალისტური ხასიათი მივცეთ.

მაგრამ არის კიდევ ერთი საგანი, ფრიად დიდ მნიშვნელოვანი საგანი, რომლის განმარტებას პარტიულმა პროგრამამ უნდა მიაქციოს ყურადღება. ვისგან შესდგება პარტია, ვინ უნდა იყოს ჩათვლილი პარტიის წევრად — ყოველი ადამიანი, ვინც თანაუგრძნობს პარტიის პრინციპს, თუ ყოველი ადამიანი, ვისის აზრით პარტია იყავს მის და მის მსგავსების მატერიალურ ინტერესებს? თუ პროგრამა შრომის დამცველია, პარტიის წევრადაც შრომის წარმომადგენელი უნდა იყოს, თუ წარმოების გარეშე მდგარ ჯგუფებსაც შეუძლიანთ შევიდნენ პარტიის წრეში?

ამ კითხვის ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს. საჭმე ის არის, რომ სოციალისტური პარტიები პოლიტიკურ ხასიათისა მეტად აჭრელებულ სურათს წარმოადგენენ. ამ პარტიების ის ელემენტი, რომელიც პირდაცირ მონაწილეობას არ იღებს წარმოებაში, პარტიულ მოქმედებას იმ გვარ მიმართულებას აძლევს, რომელიც

არამც თუ უსარგებლოა პარტიის მშრომელ ნაწილის-
თვის, არამედ მავნებელიც არის მისთვის. პროლეტარი-
ატის განთავისუფლება უნდა მოხდეს მისივე ძალაონით
და კლასურ ნიადაგზე გამართულ ბრძოლის საშუალე-
ბით. ეს არის დევიზი მშრომელ ხალხისა. სოციალის-
ტურ პარტიების ინტელიგენცია კი არწმუნებს პროლე-
ტარიატს, რომ მისი განთავისუფლების საქმე უნდა ჩაჰ-
ბარდეს ინტელიგენციას, დეპუტატებს, რომელნიც პა-
რლამენტში (ბურჟიაზულ კლასურ დაწესებულებაში)
დაიცავენ პროლეტარიატის ინტერესებს და რომელნიც
პარლამენტში შემუშავებულ სოციალურ რეფორმების
საშუალებით განახორციელებენ პროლეტარიატის იდე-
ალს. აქ არის ძირითადი წინააღმდეგობა პროლეტარია-
ტის და სოციალისტურ ინტელიგენციის მისწრაფებათა
შორის. ეს წინააღმდეგობა პროლეტარიატის ყველა ნა-
წილებში ჯერ კიდევ არ არის შეგნებული, ხოლო იქ,
სადაც ამგვარი შეგნება უკვე დაბადებულია, ძირინააღაც
არის შეცვლილი პროლეტარიატის და სოციალისტურ
ინტელიგენციის ურთიერთობა, იქ პროლეტარიატმა
უარ-ჰყო ინტელიგენციის დიკტატურა, პარლამენტარი-
ზმი და პოლიტიკანობა, იქ სოციალისტური ინტელი-
გენცია პროლეტარიატის შეთაურად და წარმოშობებული
კი არ გამოდის, არამედ მის მსახურად, დამხმარებელ
აგენტად.

ამ სწორედ ამიტომ მიგვაჩნია საჭიროდ ამ კითხვის
გადასინჯვა. მას პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს და
იგი მჭიდროთ არის დაკავშირებული სხვა პრინციპიალ-
ურ კითხვებთან.

ამ ხასიათისა სამი საგანი, სამი კითხვა, რომლის

განმარტება აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია პარტი-
ულ პროგრამის პრინციპიალურ პოზიციის განმტკიცები-
სათვის.

მაშ შევეხოთ ჯერ სახელმწიფოს, სახელმწიფოებ-
რივ ნიადგზედ მოქმედებას. ხოლო, თავდაპირველად,
ავილოთ კონკრეტული კითხვა — ეროვნება, ეროვნული
ავტონომია, ავტონომიათა ფედერაცია და ვნახოთ,
რა სახით უნდა განვმარტოთ ეს კონკრეტული მოვლე-
ნა ანტი-სახელმწიფოებრივ თეორიის მიხედვით. და რაკი
ამ პრაკტიკულ კითხვებს შევეხებით, გზა-და-გზა აღ-
ვნიშნოთ ისიც, რომ ეროვნულ ავტონომიის კითხვა
სრულიად დამახინჯებულია იმათ მიერ, ვინც სახელ-
მწიფოებრივ ნიადაგზედ დგას. და აქ ჩვენ სახეში გვყავს
არა მარტო სოციალ-დემოკრატები, თუით სიციალისტ-
ფედერალისტებიც.

თავი მეორე

ეროვნება, ავტონომია, ფედერაცია

თანამედროვე ეროვნებას გევრნაირი თვისება იქვე:
ტერიტორია, ზნეჩვეულება, ენა, საერთო მართვა-გამგე-
ბლობის ძალა, კაპიტალიზმი, განსაზღვრულ ერთეულის
თვით შეგნება. მაგრამ არც ერთი თვისება, კერძოთ აღე-
ბული, არა ჰქონის ხალხს ერად, არ ჰბადავს მასში
ეროვნულ გრძნობას. ტერიტორიას, მაგალითად, ერო-
ვნების შექმნის პროცესში დიდი ადგილი უჭირავს, მაგრამ
იმ დროიდან, როდესაც უკვე შექმნილია ეროვნება
და უკვე დაბადებულია ეროვნული თვით შეგნება, ტე-
რიტორიას ეკარგება თავისი მნიშვნელობა. ხალხს, რო-

მელსაც უკვე აქვს ამ გვარი შემეცნება, შეიძლება, ტერიტორია აღარ ჰქონდეს, ხოლო იგი მაინც ერად ოჩება (მაგალითად, სომხები და ებრაელები). ზნე-ჩვეულებაც არ არის ძირითადი ფაქტორი ეროვნების შექმნის საქმეში. ზოგ ხალხს აქვს საერთო ზნე-ჩვეულება, მაგრამ ეს ხალხი ეროვნების შემეცნებამდე არ ამაღლებულა. არც ენა არის აუცილებელი პირობა ეროვნულ გრძნობის განვითარებისათვის. ხშირად ერთ ტერიტორიაზედ რამდენიმე სხვა და სხვა ენაზედ მოსაუბრე ხალხი ცხოვრობს, ხოლო ეს ხალხი თავის თავს ერთ ერად აღიარებს. შვეიცარიაში გერმანელები, იტალიელები და ფრანგები კი არ სცხოვრობენ, არამედ შვეიცარელები, რომელთაც ერთი შვეიცარული თვით-შეგნება აქვთ, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი სამ ენას ლაპარაკობენ. რაც შეეხება სახელწიფოებრივ უფლებას, მართვა-გამგებლობის ძალას, არც მას აქვს უმთავრესი მნიშვნელობა ამ საქმეში. ბევრი ერი არის პოლიტიკურ თვით-არსეობას მოკლებული. კაპიტალიზმი? კაპიტალიზმი ხელს უწყობს მის წარმოშობვას, მაგრამ არც კაპიტალიზმია მთავარი ფაკტორი. ბევრ ხალხს ჯერ კიდევ ფეოდალურ წყობილებაშივე ებადება ეროვნული შემეცნება. კაპიტალიზმი არ ჩაითვლება მიზეზად ეროვნულ თვით შემეცნების დაბადებისა. დარჩა თვითშემეცნების თვისება. როგოც ვნახეთ, იქ, საღაც თვითშემეცნება არ არსებობს, არც ერი არსებობს. ხოლო აშკარაა, არც თვითშემეცნების თვისება არის დამოუკიდებელი, პირველ-ყოფილი ფაკტორი. ეროვნული თვითშემეცნება ნაყოფია ცხოვრების მრავალგვარ მოკლენათა ზედგავლენისა. და იმ მრავალგვარ მოვლენათა შორის მატერიალურ ხასიათის

ფაქტორებს უპირატესი ადგილი უჭირავთ. მაგრამ ჩვენ
ამ უამად სოციალურ პრობლემის გადაწყვეტას არა
ვკისრულობთ. ამ საგანს გაკვრით შევეხეთ. ჩვენთვის სა-
ყურადღებოა დღეს მხოლოდ აი რა.

როგორც ვსთქვით, ეროვნება არის განსაზღვრულ
ხალხში (ან ხალხებში, როგორც შვეიცარიაში) აღორ-
ძინებულ ნათესავობის და მთლიანობის შეგნება. მაგრამ
საქმე ის არის, რომ ეროვნების ცხოვრებაში სხვა მოვ-
ლენასაც აქვს ადგილი, იმ გვარ მოვლენას, რომელიც
ამ ნათესავობის და მთლიანობის საფუძველს არღვევს.
სახეში გვაქვს ხალხის მოპირდაპირე კლასებად დაყოფვა
და ამის გამო წარმომდგარი კლასებრივი მეტოქეობა და
ბრძოლა. ამ-რიგად, ეროვნება თითქოს ერთობაც არის
და ამავე დროს ბრძოლის ნიადაგიც. ისტორიის განსა-
ზღვრულ საფეხურზედ ეროვნება მოწინააღმდეგე კლას-
თა თითქოს დამაკავშირებელი ძალაა. მაგრამ დგება დრო,
როდესაც კლასთა განსეთქილება უფრო ძლიერია, ვიდრე
ეროვნების დამაკავშირებელი ძალა. ასე რომ, ეროვნე-
ბა თავის სილრმეშივე შეიცავს დარღვევის და სიკვდი-
ლის ფესვებს. მართლაც, თუ ეროვნება სხვა და სხვა
კლასთა შორის კავშირის დამამტკიცებელი ძალაა, ამ
ძალას მხოლოდ იმ დროში ექნება მნიშვნელობა, სანა-
კლასთა შორის ორმო არ გაღრმავდება და ბრძოლაც
არ გაფიცხდება. ხოლო, რაკი ამ გვარი ბრძოლა გა-
ჩაღდება, იგი ბრძოლა კლასთა გაუქმებით დაბოლოვდება,
კლასთა გაუქმება კი ეროვნების გაუქმებასაც გამოიწვევს,
რაღაც, როგორცა ვსთქვით, ეროვნება კლასთა შორის
კავშირის დამამტკიცებელი ძალაა. რაკი ამ ძალას ნია-
დაგს გამოაცლით, ეროვნებაც თან გაჰყვება. მაშინ ეროვ-

ნულ თვითშემეცნების ადგილს კაცობრითის და ჯდამია-
ნიბის თვითშემეცნების აზრი დაიკერს.

ხოლო ამ გვარი მომავალი სრულიად არ ნიშნავს
იმას, ვითომც ყველგან ერთფორმუანება და ერთგვარო-
ბა დამყარდეს. არა, თავისებურობა და ენათა სხვა და
სხვაობა დარჩება. მხოლოდ ვერც ენა, ვერც თავისებუ-
რობა ამა თუ იმ ხალხისა ვეღარ აღადგენენ ეროვნებას,
გედარ მოჯოდგენებენ გაფართოვებულ თვითშემეცნების ჯარს
ვიწრო ეროვნულ თვარგალში. ფარგლეჭი.

ყოველივე ეს მოხდება სოციალურ რევოლუციის
შემდეგ, როდესაც კერძო საკუთრება განსაზოგადოვდე-
ბა, როდესაც კლასთა არსებობას საფუძველი აღარ ექ-
ნება და, მაშასადამე, სახელმწიფოებრივ ორგანიზაცია-
საც ნიადაგი გამოეცლება. ამ საქმისთვის მუშათა კლა-
სი დღესვე ემზადება, ხოლო მისი მოქმედება ჯერ ხნ-
ბით ეროვნულ ფარგალში სწარმოებს.

მაშ თუ ეროვნების ფარგალში გვიზდება მოქმედება, თუ
მუშათა კლასებრივი თვითშემეცნება ეროვნულ ცხონ-
რების ჩარჩოშივე იბადება, რანაირად უნდა ვეკიდებო-
დეთ დღეს ეროვნულ კითხვას, ეროვნულ ცხოვრების
მოწესრიგებას? ამ კითხვის გადაწყვეტის დროს განყენე-
ბული ეროვნება კი არ უნდა გვქონდეს მხედველობაში,
არამედ კონკრეტული, ეროვნება დაჩვრული გარეშე ბა-
რბაროსულ პოლიტიკურ ორგანიზაციის მიერ.

სოციალისტ-ფედერალისტები „საქართველოს“ ფუ-
რცლებზე ეროვნულ ივტონომიისა და ივტონომიურ
ერთა ან ოლქთა შორის დაფუძნებულ ფედერაციის
დამცველად გამოვიდნენ. ივტონომიის და ფედერაციის
მომხრე ეხლაც არიან სოციალისტ-ფედერალისტები.

ხოლო დღეს ფედერალისტები ერთნაირ შინაარსს აღარ სღებენ ავტონომიის და ფედერაციის ცნებაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტონომიას და ფედერაციას ბევრი ცხარე მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ამ მოწინააღმდეგეთა რიცხვში პირველი აღვილი სოციალ-დემორატებს უჭირავთ. დავაკვირდეთ მათ მსჯელობას. ეს კრიტიკა ქვემოდ გამოგვადგება.

ეროვნული ავტონომია საკანონმდებლო უფლებით ბურუუაზული დაწესებულებაა. ხოლო საქართველოს ავტონომიას ამასთანავე ფეოდალური ელფერიც ექნება. ამ ავტონომიაში ბურუუაზია და თავად-აზნაურობა ჩაიგდებს ხელში პოლიტიკურ ძალას და ამ ძალას მურომელ ხალხის წინააღმდეგ მოიხმარსო (1).

ავტონომია, გრაფიკა სახელმწიფო ფორმით დაგანიზაცია, მართლაცდა ბურუუაზული დაწესებულებაა. ბურუუაზულ სახელმწიფოში კი დღეს პროლეტარიატი დაჩაგრულია, მიუხედავათ იმისა, რომ სახელმწიფო სრულიად გადემოკრატებულია. ყოველივე ეს სრული ჰეშმარიტებაა. მაგრამ ესევე არ ითქმის განა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკურ მოთხოვნის შესახებაც? განა სრულიად რესეთის დემოკრატიული რესპუბლიკა, ისიც ცენტრალისტურ ხასიათისა, არ იქნება ბურუუაზული ორგანიზაცია და განა ამ რესპუბლიკაში იგივე უთანასწორობა არ გამეფდება? ჩასაკვირველია, გამეფდება. ხოლო მიუხედავათ ამისა, სოციალ-დემოკრატია არა-

(1) საქართველოს ეროვნულ-ფერიცორიალურ ავტონომიაში, თუ იგი საუკეთესო არჩევნების ნიაღაფე დამფარდა, ჩვენის აზრით, წვრილ დემოკრატიას (გლეხობას) ექნება უპირატესობა და არა ფეოდალებს და სხვილ მრეწველ-გაჭრებს.

ფერს ზოგავს ბურუუაზულ რესპუბლიკის დაფუძნებისათვის! და არც ერთ სოციალ-დემოკრატის არ მოსდის თავში უბრალო აზრი, რომ ის ამ სახით ბურუუაზიას ემსახურება და არა პროლეტარიატს. როგორ თუ ბურუუაზიას? ჩვენ დავაწესებთ დემოკრატიულ რეჟიმს, დემოკრატიული რეჟიმი კი პროლეტარიატს წელში გაამაგრებს და ფეხზედ დააყენებს. ჰა! ფეხზე დააყენებს! კეთილი. მაშ საქართველოს, პოლონეთის, ფინლანდიის, კავკასიის და სხვა ამ გვარი დემოკრატიული ავტონომიები კი რატომ ვერ აასრულებენ ამგვარსავე დანიშნულებას? ან იქნება დემოკრატიულ კანონმდებლობის საშუალებით პროლეტარიატის აღდგენა ველიკოროსთა პოლიტიკურ ორგანიზაციის მონოპოლიაა და სხვა ტომების ამგვარივე ორგანიზაციები ამ სასწაულს ვერ მოიმოქმედებენ?!

მე კარგად მესმის დღეს, რომ არც ველიკოროსია ანუ სრულიად რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა, არც სხვა ტომების ამგვარივე ავტონომიური რესპუბლიკები ამგვარ სასწაულს ვერ მოახდენენ, პროლეტარიატის ვერ წამოაყენებენ ფეხზე, რადგან პროლეტარიატითავის განთავისუფლებას მოახდენს დემოკრატიულ კანონმდებლობის და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის გარეშე, უკედ ვსთქვათ, ამ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციისთან შებრძოლებით. მაგრამ სოციალ-დემოკრატების აზროვნება ამ ანარქიულ მოსწრაფებისაგან შორსა დგას. და მიუხედავათ ამისა ისინი ჰგმობენ ეროვნულ დემოკრატიულ ავტონომიას, ხოლო არაფერს არ ზოგავენ დემოკრატიულ ანუ ბურუუაზიულ პარლამენტურ რესპუბლიკის დაფუძნებისათვის.

ეროვნული ავტონომია, განაგრძობენ სოციალ-დემოკრატები, საქართველოს ჩამოაშორებს დანარჩენ კავკასიას და მთელ რუსეთსაც, საქართველოს და ამ ქვეყანათა შორის აღიმართება საბაჟო კედელი, რომელიც ხელსაყრელი იქნება ქართველ ბურჟუაზიისათვის, ხოლო გამანადგურებელი მშრომელ ხალხისათვისო. გესმით, მკითხველო, თურმე. საბაჟო კედლებისა ეშინიანთ ავტონომიის მოპირდაპირე სოციალ-დემოკრატებს და ამიტომ წინააღმდეგნი არიან ისინი ეროვნულ ავტონომიისა!

ყველამ იცის, რომ ეროვნულ ავტონომიასთან ერთად, „საქართველო“ თავის დროზედ ფედერაციის დამცველა-დაც გამოვიდა. ამ ორგანოს შეხედულებით ფედერაცია ყველა ერთა და სახელმწიფოთა შორის კანონმდებლობით განსაზღვრული კავშირი უნდა ყოფილიყო. კერძოთ რაიც კავკასიას შეეხება, „საქართველო“ დამცველი იყო კავკასიის ერთა და პროვინციათა ფედერაციისა. და რაკი ფედერალიზმის დამცველად გამოვიდა „საქართველო“, ბრალდება იმის გამო, ვითამც ფედერალისტებს საქართველოს შემოფარგვლა უნდათ კედლებით დაწლობე-ყორებით — ეს ბრალდება სრულიად უნაყოფო წყლის ნაყვაა.

ფედერალურად შეკავშირებულ ერებს სადამოუნო ტარიფების კანონები არ ააქვთ. ავსტრიალიის სახელმწიფო ები შეუერთდნენ რა ერთმანეთს ფედერალურად, ეკონომიურად და ფინანსიურადაც გაერთდნენ. და თუ ავსტრიალიას და ინგლისს შორის სადამოუნო კედელია, ამართული, ეს იმიტომ, რომ ავსტრიალია და ინგლისი ფედერატიულად არ არიან შეკავშირებულნი. ფედერაცია ამ სახით იმგვარი პოლიტიკური კავშირია, რომელიც სპობს და აუქმებს ადგილობრივ კარ-ჩაკეტილობას და წინ

აყენებს დიდ პოლიტიკურ ერთეულის (ფედერაციის) ინტერესებს.

ეროვნული ავტონომია ქართველ ხალხს გააძარონებს და ამ გაბატონებას სხვა ერების (უმცირესობის) დაჩაგვრა მოჰყვებათ.

ამაზე მეტი გულკეთილობა იქნება-და? სოციალდემოკრატები „უმცირესობის“ დამცველებად გამოდიან! თავიანთი მოძღვრება „უმრავლესობის დაპყრობის“ საჭიროებაზე დაამყარეს და წარმოიდგინეთ, ეხლა ცრემლებსა ლვრიან, უმცირესობას დასჩაგრავთო. მაგრამ, დამშვიდლით, ეროვნულ ავტონომის ფარგალში სხვა ერის უმცირესობა გაცილებით ნაკლებად შევიწროვდება, ვიდრე ცენტრალისტურ რესპუბლიკაში ყველა ისინი, ვინც თქვენს დიკტატურის არ დაემორჩილება.

მაგრამ ამ უამად ჩვენ სოციალ-დემოკრატების უმართებულო კრიტიკის დარღვევას არ ვკისრულობთ. სოც-დემოკრატები „ბურჟუაზობას“ უკითხინებდნენ სოციალ-ფედერალისტებს, ხოლო თვითონ ბურჯუაზულ ხაზზე დგანან. ამიტომ მათ კრიტიკას არავითარი სინათლე არ შეაქვს ამ საგნის გარკვევაში.

დავუბრუნდეთ თვით ავტონომიის დამცველთ. ამ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის ფრიად საყურადღებო გარემოება, რომ, რაც უფრო მეტად ვრცელდებოდა ავტონომიისაზრი საქართველოში, უფრო მეტად შორდებოდა ეს აზირი მ შეხედულობას, რომლის დამცველი ორგანო „საქართველო“ იყო და პირველ ხანებში „ცნობის ფურცლის“ ზოგიერთი პუბლიცისტი. ამ დაშორებას ხელი შეუწყო, ერთის მხრით, თავად-აზნაურობამ, რომელმაც მხარი დაუკირა ავტონომიის აზრს, მეორეს მხრივ, ქართველმა

ნაციონალურმა. ჯგუფებმა, რომელთაც სხვა შინაარსი
მისცეს ავტონომიის ცნებას. შესანიშნავი ის არის, რომ
დღეს მარტო ავტონომიაზედ არის ლაპარაკი, ფედე-
რალიზმი სადღაც მიჩქმალეს; კავკასიის ფედერაციის შე-
სახებ ლაპარაკი ხომ სამშობლოს მოღალატეობის საქმედ
მიაჩნიათ. ჩვენ არას ვიტყოდით იმ შემთხვევაში, რომ ამ
გვარ აზრების გავრცელებაში მარტო ნაციონალ-დემო-
კრატებს ედებოდეთ ბრალი. საქმე ის არის, რომ სო-
ციალისტ-ფედერალისტების პუბლიცისტებიდღეს არამც-
თუ არ ეწინააღმდეგებიან ამგვარ მიმართულებას, არამედ
თითქას ხელსაც უწყობენ და თანაუგრძნობენ მას.
შორს რომ არ წავიდეთ, მოვიგონოთ თუნდ კავკასიის
იურიდიულ საზოგადეობაში გამართული კამათი ავტო-
ნომიის შესახებ (1). მართალია, ამ კამათში სოციალისტ-
ფედერალისტები თითქმის არ იღებდნენ მონაწილეობას,
მაგრამ პრესაში არსად გამოუთქვამთ პროტესტი; და
რაცა სთქვეს, ქართველ ნაციონალისტების მიერ იური-
დიულ საზოგადეობაში გამოთქმულ აზრებს ეთანახმე-
ბოდა. (2) ეს კამათი საყურადღებოა და შევჩერდეთ მას-
ზედ.

ქართველი ორატორები ამტკიცებდნენ, რომ საქარ-
თველოს ავტონომია უნდა მიენიჭოს, რადგან ქართვე-
ლებს ტერიტორია აქვთ და ისინი კულტურით სხვა
კავკასიელებზე უფრო მაღლა სდგანან. კავკასიის ავტო-
ნომია ვერ დაარსდება, რადგან კულტურული დასავლე-
ოი (საქართველო) უკულტურო აღმოსავლეთს ვერ დაე-

(1) იხ. „შრომა“ № 13, 18.

(2) იხ. წერილი „კანცონი თუ ავტონომია? „შრომა“ № 27.

კავშირებათ. სომხის ორატორები, თავის მხრივ, მომხრენი იყვნენ კავკასიის ავტონომიისა, ხოლო საქართველოს ავტონომიის გახსენება კი მათ სალერლელს უშლიდა; ასე რომ, კითხვა მოკამათებმა ასე დააყენეს — ან საქართველოს ავტონომია ან კავკასიის ავტონომიაო, ერთიც და მეორეც კი ერთად შეუძლებელიაო. აი ტიპიური ნიმუში ორ მოპირდაპირ ნაციონალისტურ ჯგუფების კამათისა. ორივენი იცავდნენ იმას, რაც მათის კლასებრივ ინტერესების სასარგებლო იყო.

ნებას მივცემ ჩემ თავს და ვკითხავ სოციალისტ-ფედერალისტებს, ნუ თუ თქვენც იმ აზრისა ხართ, რომ ქართველ მშრომელ ხალხს კავკასიის სხვა ერთა მშრომელ ხალხთან არაფერი საერთო ინტერესები არა აქვს და რომ ფედერაციას კავკასიაში ნიადაგი არა აქვს? თქვენ ხომ სისელმწიფებრივ ნიადაგზედ სდგეხართ და ამ ნიადაგზედ განა ეროვნულ ავტონომიასთან გვერდით ვერ დაფუძნდება, ვსთქვათ, კანტონალური ავტონომია? და განა ეროვნული და კანტონალური ავტონომიები ერთად ვერ შეკავშირდებიან ფედერალურის კავშირით? და ამ სახით განა კავკასიის ფედერაციასაც საძირკველო არ ჩაეყრება? რატომ გგონიათ, რომ ფედერაციის ნაწილები უსათუოდ ერთის აგებულებისა, ერთის ტიპისა უნდა იყოს? სომხებს სურთ კანტონები, თქვენ ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია. სომხებს ტერიტორია არა აქვთ და მათთვის უფრო მოსახერხებელია კანტონი. და როგორც ისინი სცდებიან, როდესაც უარ-ჰუთიკუნ ავტონომიას ქართველებისთვის, ისე თქვენს სცდებით, როდესაც არ იწყებარებთ სომხების მიერ წამოუენებულ განტონის. ვიცი, იურისტები იტყვიან (და კრებაზედ სთქვეს კი-

დეც), ამ გვარი ფედერაცია იურიდიულ ლიტერატურაში უცნობი მოვლენაა; გარდა ამისა, რა ნაირად გინდათ შეუკავშიროთ ავტონომიური კავკასია რესერტი? — ფედერატიულად? ეს ხომ კონფედერაცია გამოვა? როგორ უნდა იმოქმედოს სამმა პარლამენტმათ. იურისტები კი დევ სხვას ბევრს რასმე იტყვიან, ავიწყდებათ მხოლოდ ერთი რამ — ერთა დაკავშირების კომბინაციებს თვით ცხოვრება ჰქმნის და არა იურისტები. თუ კავკასია წარმოშობავს ეროვნულ ავტონომიების და კანტონების დაკავშირების საჭიროებას, ამ საჭიროებას, წინ ვერავინ აღუდგება, თუნდაც ამ გვარი საჭიროება აღნუსხული არ ყოფილიყოს იურიდიულ წიგნებში... აი ამგვარი პოზიცია უნდა დაეჭიროთ სოციალისტ-ფედერალისტებს იმ დრომდე, სანამ ისინი სახელწიფოებრივ ნიადაგზედ სდგანან.

და თუ სოციალისტ-ფედერალისტები კავკასიის ფედერაციის წინააღმდეგნი არიან, ისინი უკანონოდ ატარებენ ფედერალისტების სახელწოდებას. სოციალიზმთან (სახელმწიფოებრივ სოციალიზმთან, რომელსაც აღიარებენ) ხომ არავითარი კავშირი აღარ ექნებათ. შეიძლება პარლამენტალურ მოქმედების მომხრე სოციალისტები იყოთ, ხოლო არ უარ-ჰყოფდეთ იმ ფაქტს, რომ განჯის და ბაქოს გუბერნიის გლეხები და მუშები იმავ ტანჯვით იტანჯებიან, რა ტანჯვაშიაც ქართველი გლეხები და მუშები არიან და რომ ყველა ამათუების ერთი გზა არის, ერთი საშუალებაა თავისუფლების მოპოებისათვის. და თუ ეს ასეა, ნუ თუ ხმას ვერ გააწყვეტინებდით იმ ქართველ შოვინისტებს, რომელნიც იძახდნენ, ქართველებს და კავკასიელ დანარჩენ ხალხებს შორის არავითარი საერ-

თო ინტერესი არ არის და კავკასიის ფედერაციის შესახებ ლაპარაკიც კი არა ღირსო?!

ამ რიგად ვხედავთ, რომ ავტონომიის და ფედერაციის კითხვას დიდი განსაკრელი მოელის. სოციალ-დემოკრატები არსებითად წინააღმდეგნიარიან ერთია და მეორისაც. სოციალისტ-ფედერალისტები არ იცავენ სოციალისტურ ფედერაციას, ხოლო სახელმწიფოებრივ ფედერაციასც ლალატობენ. საგანი კი ფრიად სერიოზულია და მის განმარტებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენ ვამბობთ, ეროვნული, გინდა ოლქებრივი (კავკასიის) ავტონომია სახელმწიფოებრივი დაწესებულებაა. სახელმწიფო (არისტაკრატიული, გინდ დემოკრატიული) კერძო საკუთრების, კაპიტალისტურ წყობილების მცველია. სოციალისტური პროლეტარიატი და გლეხობა-ებრძვის და ძირს უთხრის კერძო საკუთრებას და კაპიტალისტურ წყობილებას. მაშასადამე, თუ სოციალისტებმა ზელი შეუწყვეს სახელმწიფოებრივ ხასიათის ავტონომიის დაარსებას, ისინი თავიანთ. ინტერესების წინააღმდეგ წავლენ.

კითხვა რომ გავაფართოვოთ უნდა ვსთქვათ: შეგნებულმა პროლეტარიატმა და გლეხობამ, რომელიც შრომის და მფლობელობის სოციალიზაციისაკენ მიისწრაფება, ომი უნდა გამოუცხადოს სახელმწიფოს, სახელმწიფოურორგანიზაციას, ეროვნული იქნება იგი თუ ცენტრალისტური. უნდა გამოუცხადოს ომი ამგვარ პოლიტიკურორგანიზაციას, რადგან იგია დარაჯი ეკსპლუატატორებისა და დაუძინებელი მტერი კომუნისტურ წყობილებისა.

ამ გვარ პრინცების წინააღმდეგ ბევრნი აგვიმხედრდეს

ბიან და მათ შორის სოციალდემოკრატებიც, რომელნიც
ლამის ავტონომიაზედაც დათანხმდნენ, ოღონდ უვნებ-
ლად დარჩეს მათთვის საყვარელი სახელმწიფოებრივი ორ-
განიზაცია. არა, გვეტყვიან ისინი, სახელმწიფოებრივი
ორგანიზაცია საჭიროა პროლეტარიატის განთავისუფლე-
ბის საქმისათვის. ჯერ ხნობით სახელმწიფურ ორგანიზა-
ციას იმ სახით გამოვიყენებთ, რომ მას გავადემოკრა-
ტებთ, შევქმნით შრომის დამცველ კანონებს. ეს ერთი.
ხოლო მეორე ისა, რომ, როდესაც რიცხვით უმრავლე-
სობას შევადგენთ პარლამენტში, დაფიპურობთ სახელმწი-
ფურ მართვაგამგებლობის ძალას, ხელში დავიჭროთ მართ-
ველობის მექანიზმს, გამოვაცხადებთ პროლეტარიატის
დიკტატურას და განვახორციელებთ კოლეკტივიზმს.

ჩვენ ქვემოდ გვექნება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ
შუშათა კლასის დემოკრატიული კანონშდებლობა, რო-
მელიც იურიდიულ ნორმებში ათავსებს შრომისა და კაპი-
ტალ შორის ატეხილ ბრძოლას, ასუსტებს და ძირს
უთხრის სარევოლუციო ენერგიას. გვექნება ლაპარაკი
იმის შესახებაც, რომ ძველ „ინტერნაციონალს“ არაფრად
სწამდა დიკტატურის პრინციპი და მართვა-გამგებლობის
მექანიზმის დაპყრობას პროლეტარიატის მიერ არ უყურე-
ბდა როგორც იმგვარ საშუალებას, რომლის ძალით
სოციალური რევოლუცია უნდა განხორციელდეს.

აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ კომუნისტური წყობი-
ლება იქნება განსიარციელებული დეპრეტების საშუალებით
ერთ არამედ თავისუფალ საზოგადოებრივ ძალების
მიერ. კერძო საკუთრების გაუქმებისათვის სახელმწიფოე-
ბრივ მექანიზმის დაპყრობა კი არ არის საჭირო, არამედ
მისი დამხობა და ძირიან ფესვიანად აღმოფხვრა. ამიტომ,

ჩვენის აზრით, სოციალური რევოლუცია ზევიდან კი არ დაიწყება, არამედ ქვევიდან. იგი იქნება პირისპირი შეტაკება შრომის და კაპიტალისა, ერთის მხრივ, შრომისა და სახელმწიფოსი, მეორეს მხრივ.

მაში რუსეთში რომ ზოგიერთ ერს და პროვინციებს (და მათ შორის საქართველოს და კავკასიას) ავტონომიები მიენიჭოს, სასურველი იქნება ეს მოვლენა თუ არა? ფრიად სასურველი. მხოლოდ აირა მხრივ: ავტონომიურ ნაწილებად რუსეთის დაყოფვა მოასწავებს სახელმწიფოს მართვა-გამგებლობის უფლების დაყოფას, და ეს უკანასკნელი კი მოასწავებს ამ უფლების შესუსტებას. მაშასადამე, სახელმწიფოებრივი დეცენტრალიზაცია რევოლუციისთვის ფრიად საგულისხმო პირობებს შექმნის.

სოციალ-დემოკრატები ამბობენ, ცენტრალისტურ სახელმწიფოს მომხრენი ვართ იმ მოსაზრებით, რომ ცენტრალისტური სახელმწიფო უფრო ცხადად ჰყოფს კლასთა ბრძოლას; იქ ცენტრალურ სახელმწიფოში გაერთიანებულ პროლეტარიატის პირისპირ დგას სახელმწიფოს უძლიერესი იარაღი — ფლოტი, არმია, ბიუჯეტი და სხვა. იქ უფრო თვალსაჩინოა განხეთქილებაო.

ეს ასედაც რომ ყოფილიყო, ე. ი. მართალი. რომ ყოფილიყო ის აზრი, ვითომ კლასთა ბრძოლის გამწვავებისათვის საჭიროა პოლიტიკურ ფართო ერთეულების შექმნა და დაცვა, სრულიად საეჭვოა მეორე მოსაზრება, ვითომ გაერთიანებულ მშრომელ ხალხს ძლიერ ფლოტან, არმიასთან, ბიუჯეტთან და სხვა ამგვარ ძალასთან უფრო გაუადვილდება ბრძოლა, ვიდრე პატარა, დაკუჭულ სახელმწიფოებრივ ძალასთან.

ამ სწორედ ამ მხრივ ვაფასებთ ჩვენ პოლიტიკურ
დეცენტრალიზაციის მნიშვნელობას.

ზემოდ ნათქვამი გვქონდა, რომ ავტონომიურ და
ფედერალურ ორგანიზაციებში სხვა შინაარსსა ვდებთ, რომ
წინად მომხრენი ვიყავით სახელმწიფოებრივ პრინციპისა,
ეხლა კი ჩვენს წინ გადაშლილ რევოლუციის ზედგავლე-
ნით, უარ-ვყოფთ ამ პრინციპს და მაშასადამე უარ-ვყოფთ
აგრეთვე ავტონომიურ და ფედერატიულ სისელმწიფოე-
ბრივ ორგანიზაციებს. სიჰლო ეს სრულიად არ ნიშნავს ავტო-
ლომიურ და ფედერატიულ პრინციპების უარ-ჭურვებს. ეს ნიშ-
ნავს შეთღოდ ამ პრინციპებიდან სისელმწიფოებრივ ელემენტის
განდევნებს. და რომ ჩვენ მართალი ვართ, ამას თვით ჩვენი
ცხოვრება ამოწმებს, ამოწმებს საქართველოში მომხდარი
რევოლუციონური მოძრაობა. რევოლუციის დასაწყისში
ყველგან აღდგნენ სოფლის საზოგადოებანი, კომუნები
და გაინთავისუფლეს თავი სახელმწიფოს ოპეკუნობისაგან;
გააუქმეს სახელმწიფო სამსჯავრო, აღმინისტრაცია, სკო-
ლა, უარი სთქვეს გადასახადებზე. თავიანთ საქმეების გა-
ძლობა თვითონვე იკისრეს. სოფლის ყრილობები (ან
მისგან ამორჩეული კაცები) სწყვეტდნენ და არიგებდნენ
იმას, რაც წინად მთავრობის მოხელეების ხელში იყო.
სწყვეტდნენ და არიგებდენ სულ სხვანაირად, სულ სხვა
უეხედულების მიხედვით; აღმინისტრაცია და პოლიცია
გააუქმეს. ყველა ამაში არამც თუ მარტო თვით-მოქა-
მედების სურვილმა იჩინა თავი, არა, აქ, ამ მოძრაობის
სიღრმეში ვხედავთ თვით სახელმწიფოებრივ ორგანიზა-
ციის უარ-ყოფასაც. ეს იქ და არის ძლიერი კომუნისტური
შრომისათბა.

ამ კომუნალურ მოძრაობის მიმდინარეობა ჯერ არ

დასრულებულია. შესაძლებელია იგი მოძრაობა დროებით შეჩერდეს და შესუსტდეს (და შესუსტდა კიდეცა დღეს). მაგრამ, რაც უკვე გაკეთდა, ამას ვერავინ აღმოფხვრის. ხალხმა ჩაჰყარა საფუძველი მომავალ სოციალურ ორგანიზაციისა, და ეს ორგანიზაცია იქნება თავისუფალ საზოგადოებათა ფედერაცია. ხალხს სიტყვა „ფედერაცია“ ჯერ არ წარმოუთქვამს, მაგრამ დადგება დრო, როდესაც ის პარიზის კომუნარებსავით იტყვის: რას ითხოვს ქართველი ხალხი? დაუყონებლად აღიარებას კომუნის სრულის ავტონომიისას მთელ მხარეში ყველასათვის სრულის უფლებით! თვითოული კომუნა თხოულობს, როგორც თავისთვის, ისე ყველა სხვა კომუნებისთვის უფლებას თავისუფლად, ფედერატიულად მოწყობისას და უფლებას თავისუფალ კავშირისას, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ხალხის ერთობას... (1)

აი. ამ ნიადაგზე აშენდება მომავალი ფედერატიული ორგანიზაცია, ორგანიზაცია, რომელიც თან-და-თან გაფართოვდება, გადიდდება, გადააცილებს ერთგნულ საზღვაოთა ფარგვალს. აქ ამ თანამდებობის თავს მოიერან ეველა ერთა კომუნები ეპონომიურად გათხნასწორებული, მშრომელი სოციაციები და იმგვარი წელიდება იქნება საუკეთესო ჩათხოვისათვის. ფედერატიული კომუნა-ლიზმი (2) შეიქნება კომუნიზმის გარებრი ფორმად. ჩვენმა ჩაფიქრობ დღეს ჩაუყირა საფუძველი ამ მომავალის!

ყველა ზემოდ ნათელამი ბევრს ლამაზ, ხოლო განუ-

(1) ის. კომუნის პროკლამაცია (19 აპრ. 1871) „ნობათი“ № 1. ამ პროკლამაციაში სიტყვა „ფრანგი“ უკვევალეთ სიტყვით „ქართველი“

(2) კომუნას, რასაკვირველია, თანამედროვე ხასიათი დაეკარგება. იგი გახდება თავისუფალ ამხანაგობის კავშირად.

ხორციელებელ უტოპიად ეჩვენება. ყველას დარწმუნებას ჩვენ არ ვკისრულობთ. ჩვენ ვწერთ მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტების საყურადღებოდ. ამ პარტიამ წამოაყენა ჩვენში ფედერალიზმის კითხვა. იგი ვალდებულია ცხოვრების გაკეთილებს ჩააკვირდეს და ფედერალიზმს მკვიდრი რეალური ნიადაგი მოუპოვოს.

საჭიროა პარტიამ თავზედ იდვას დაწვრილებითი ანალიზი არა-სახელმწიფოებრივ ფედერალიზმისა. და რათა ამ კითხვას ჯეროვანი ნათელი მოეფინოს და რათა ყოველივე ზემოდ ნათქვამს დოგმატიურ მსჯელობის ხასიათი დაეკარგოს, საჭიროა ზედმიწევნით თვით სახელმწიფოებრივ პრინციპს დავუკვირდეთ, საჭიროა განვმარტოთ ნამდვილი ხასიათი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებისა და დაწესებულებისა.

თავი მესამე

ზაჟელ ზრი ფორმა

რად არსებობს სახელმწიფო? რა არის მისი არსებითი თვისება? საჭიროა იგი, თუ არა აღამიანთა და ერთა ურთიერთობის განმტკიცებისათვის? ყველა ამ კითხვაზე აუცილებლივ უნდა გვქონდეს. მარტივი და ნათელი პასუხი და ეს განსაკუთრებით იმიტომ, რომ მთელი ჩვენი ცხოვრება როგორც ქსელში ისე არის გაბმული სახელმწიფო-ებრივ დაწესებულებათა ორგანოებში. თუ სახელმწიფო თავის ორგანოებით სასარგებლო და აუცილებელი დაწესებულებაა, მაშინ არა გვეთქმისრა ამ ქსელის წინააღმდეგ. ხოლო თუ იგი ხუთავს ჩვენ თავისუფლებას, არა-

მკითხე აპეკუნობას გვიწევს, ქსელის დახვ-დაგლეჯაა მაშინ საჭირო.

ჩვენ აქ ისტორიულ გამოკვლევას არ გამოვუღებით, არ განვმარტავთ იმას, თუ საიდან და როგორ წარმო-სდგა სახელმწიფო. დავაკვირდებით მხოლოდ თანამედროვე სახელმწიფოს, მარტო რუსეთისას კი არა, არამედ საზო-გადოდ. თანამედროვე საზოგადოებრივ მოძღვრებათა შორის სოციალიზმს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფოს განმარტება-დაფასებაში. სოციალიზმა აღმოაჩინა კლასობრივი ხასიათი თანამედროვე სახელმწი-ფოსი და დასახა იგი გაბატონებულ კლასების ხელში დამჩაგრავ ორგანოდ. ანარხიზმა სრულიად უარ-ჰყო სა-ხელმწიფო. თუ თანამედროვე სახელმწიფო დამჩაგრავია და კლასურ ხასიათისაა, საჭიროა მისი ძირითადი აღმო-ფხვრა, მით უფრო, რომ კლასთა გაუქმების შემდეგ მის არსებობას აზრი დაეკარგება.

სოციალ-დემოკრატები ამგვარ კატეგორიულ უარის-ყოფამდე არ მიდიან. მათის აზრით, მომავალშიაც იარ-სებებს სახელმწიფო, მხოლოდ ამ სახელმწიფოს მისი თანა-მედროვე ფუნქციები აღარ ექნება. ამ აზრთა განსხვავებაში იმაღება არსებითი განსხვავება ანარხიზმის და სოციალ-დემოკრატიულ მოძღვრებათა შორის.

სოციალ-დემოკრატები ენგელსის პირით ამბობენ: „სახელმწიფო ყოველთვის მთელ საზოგადოების ოფი-ციალურ წარმომადგენელად სთვლილა თავის თავს . . . ნამდვილად კი სახელმწიფო მხოლოდ იმ კლასის ინტე-რესების დამცველი იყო ხოლმე რომელიც ამა თუ იმ ხანაში საზოგადოების წარმომადგენელი იყო. ძველ დრო-ში არსებობდა სახელმწფო იმგვარ მოქალაქეთა, რომელ-

таც მონები ემსახურებოდნენ. სუშუალო საუკუნეში იყო
სახელმწიფო ფეოდალურ თავად-აზნაურობისა. ჩვენს
დროში კი ბურუუზული სახელმწიფოა. მაგრამ როდე-
საც სახელმწიფო მთელ საზოგადოების ინტერესთა ნამდ-
ვილ წარმომადგენელად შეიქნება, მაშინ სახელმწიფოს
სრულიად დაეკარგება მისი თანამედროვე ფუნქციე-
ბით“ (1). როგორც ხედავთ, ენგელსი სახელმწიფოს
გაუქმების პრობლემას არ აყენებს. მას სახეში აქვს
სახელმწიფოს ფუნქციები და არა თვით სახელმწიფო.
მისის აზრით სახელმწიფოს შეუძლიან იყოს შოედ საზო-
გადოების ინტერესთა დამცველად. ეს მოხდება მაშინ,
როდესაც „პროლეტარიატი მართვა-გამგეობის უფლებას
დაიპყრობს და საწარმოვთ იარაღს სახელმწიფოს კუთვ-
ნილებათ გახდის. მაშინ გაუქმდება პროლეტარიატიც და
კლასობრივი განსხვავება და წინააღმდეგობა და სახელმწი-
ფო იმ როლს, რომელსაც დღეს ასრულებს, აღარ ითა-
მაშებსო“ (2). ასე რომ, ლაპარაკია როდების გამოცვ-
ლაზე და არა სახელმწიფოებრივ “თეატრის“ გაუქმებაზედ.

კითხვის ამ გვარად დაყენება სრულიად შეუწყნარე-
ბელია. სოციალ-დემოკრატულ ლიტერატურაში არ
ვპოვებთ სახელმწიფოს ანალიზს. მათ სახელმწიფოს
ფუნქმები უფრო აინტერესებენ, ვიდრე არსებითი თვისება
სახელმწიფოსი. ასე რომ თუ ადამიანმა მოინდომა ზემოდ-
ალნიშნულ კითხვების განმარტება, სოციალ-დემოკრა-
ტები მას ვერავითარ ხელმძღვანელობას ვერ გაუწევენ.

სანამ შევუდგებოდეთ თანამედროვე სახელმწიფოს

(1) Отъ утопії къ наукоюй теорії — Ф. Энгельст —
стр 41.

(2) აქვთ.

დახასიათებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ გაბატონებულ კლასების მეცნიერნი და იდეოლოგები ძველის დროიდანვე ცდილობდნენ ხან თეორიულ, ხან ზნეობრივ დასაბუთებას და გამართლებას სახელმწიფოსას. იყო დრო, როდესაც სახელმწიფოს არსებობას რელიგიურ სანქციას აძლევდნენ. ბოსიუეტის სიტყვით, „მეფენი ღვთის მსახურნი არიან და მეფის ტახტი აღამიანის ტახტი კი არ არის, არამედ ღვთაებისა. სახელმწიფო განხორციელებულია მეფის პიროვნებაშიო.“ (1) ამგვარსვე მისტიურ სანქციას ჩვენ ვპოულობთ საქართველოს ისტორიაშიც. აი მაგალითად, რა სიტყვებით დალოცა კლარჯეთის მონასტრების დიდმა არქიმან დრიტმა გრიგოლ ხანძლელმა აშოტ კურატპალატის შვილები: „გაკურთხონ ყოველნი პირმან ქრისტესმან და ყოველთა წმიდათამან; რამეთუ კეშმარიტად სამართალ არს სიტყვა ეს: საღა არს პატივი მთავრობისა, მუნ არს მსგავსება ლმერთებისანი, რამეთუ თქვენ სეჭმწიოვენთ უფაღ ბეჭედ დმერთმან ქვემენის განკუბისად.“ (6. მარის გამოცემა—ცხოვრება გრიგოლ ხანძლელისა) (2). ანტონ კუონდიდელი თამარ მეფეს ასე იხსენიებდა: „ღვთის სწორსა, მეფეთ მეფესა თამარსა შევეხვეწეო“. საქართველოს მეფის პიროვნება, ამბობს. ივ. ჯავახიშვილი, მთავრობის მომხრე წრეებმა გააღმერთეს, მხოლოდ მის უფლებას ზეციური ძლიერება და უცოდველობის თვისება მიანიჭეს.“ (3).

უნდა აღვნიშნოთ რომ მარტო მონარქიულ სახელ-

(1) Общее учение о государстве — Ельяека, стр. 92.

(2) საქართველოს მეფე ჯა მიხი უფლების ისტორია, ივ. ჯავახიშვილისა.

(3) იქვე.

მწიფოებს არა ჰქონდათ რელიგიური სანქცია. პროფ. ელნეკის გადმოცემით, ახალ ინგლისის რესპუბლიკანური სახელმწიფოები იმ შეხედულობის ზედ გავლენით იყვნენ დაარსებულნი, რომ ღვთაებრივ განმგებლობის წყალობით როგორ საეკლესიო, ისე საპოლიტიკო მართვა-გამგეობრის უფლება ხალხს უნდა ეკუთვნოდეს (1).

მაგრამ ამ ხასიათის მისტიურ შეხედულებას დრო მოექამა. ევროპა-ამერიკის დემოკრატიულმა მოძრაობამ სხვა აზრი წამოუყენა სახელმწიფოს გასამართლებელ საბუთად. ეს აზრი არის საზოგადოებრივი ხელშეკრულობა (Общественный договоръ). ამ შეხედულების მიხედვით მართვა-გამგეობის უფლება ხალხშია დამყარებული. ამ უფლებას ღვთაებრივობის ხასიათი არა აქვს. იგი გამომდინარებს კერძო ადამიანთა სურვილიდან. კერძო პირთა კრებულმა ხელშეკრულება დასდო და სახელმწიფო ამ ხელშეკრულებაზე არის დამყარებულით.

ეს თეორია დიდ ხანს იყო გაბატონებული იურ დიულ ლიტერატურაში. დღესაც ჰკვებავს იგი დემოკრატიულ ხასიათის სხვა და სხვა მისწრაფებათ. ხოლო დღეს იურიდული მეცნიერება ეჭვის თვალით უყურებს ამ საბუთს. ელნეკი ამბობს — სახელმწიფო უნდა იყოს დამყარებული საზოგადოების ხელშეკრულობის პრინციპზე, რომლის ძალით ყოველი ადამიანი, ხელშეკრულობის მონაწილე, საერთო სურვილს ემორჩილება, და რაღაც ამ საერთო სურვილში კერძო ადამიანის სურვილიც არის ჩასახული, ამიტომ ამ ნიდაგზე აშენებულ სახელმწიფოს ფარგალში თვითეული ადამიანი მხოლოდ თავის თავს ემორჩილება და

(1) Общее учение о государстве, стр. 119.

თავისუფლება სახელმწიფო შიაც დაცული რჩება. ამ რიგად რუსოს მიერ წამოყენებული ხელშეკრულობა, რომელზე-დაც სახელმწიფო არის აგებული, თითქოს საზოგადოებ-რივ ხასიათის ხელშეკრულობაა, მხოლოდ საქმეს რომ დავაკვირდეთ, დავინახავთ, რომ, გობზის ხელშეკრულობისა არ იყოს, რუსოს ხელშეკრულობა დამორჩილებაზე თან-ხმობის გამოცხადების ხელშეკრულობაა. აქ ადამიანი მოქალაქეა იმდენად, რამდენადაც იგი მონაწილეა საზოგა-დო სურვილისა, ხოლო ქვეშევრდომია, რამდენადაც ის ემორჩილება საზოგადო სურვილსო. (იქვე გვ. 134.) ასე, როგორც ვხედავთ, ხელშეკრულობის საფუძველიც გამო-სადევი არ ყოფილია. ამ თეორიის ძალით სახელმწიფოს არსებობის წყარო თვით ადამიანი და მისი ნება-ყოფლო-ბაა; მხოლოდ გამოდის, რომ ეგ ადამიანი თავის ხელითვე ჰბოჭავს თავის თავს, რადგან მორჩილებას უცხადებს სახელმწიფოს.

მაშ თუ არც ღვთაებრივ სანქციაზედ, არც ხელშეკრუ-ლობის ძალაზედ არ ყოფილი დაფუძნებული სახელმწიფო, რაზედ არის დამყარებული მისი არსებობა? რატომ უნდა ვემორჩილებოდეთ ჩვენ რაღაც გარეშე ძალის, რომელსაც სახელმწიფოს უწოდებენ? ჩემი სურვილი სხვის სურვილს რად უნდა დაემორჩილოს? მეცნიერებამ ბევრი ჩხრიკა, ბევრი ეძება და ბოლოს გამოტყდა, სახელმწიფოს არსე-ბობას არავითარი თეორიული საფუძველი არა აქვსო; ყველა ამ კითხვების გარკვევა ზნეობის საზომით უნდა გაიზომოსო. „წმინდა იურიდიული დასაბუთება სახელმწი-ფოსი, ამბობს იგივე ელნეკი, შეუძლებელია, კითხვა სხვა, ეთიკურ ნიაღაგზე უნდა გადავიტანოთ და გადავწყვიტოთ, მოვალენი ვართ თუ არა ქედი მოვიხაროთ სახელმწიფოს

და მის ძალის წინაშე იმ აუცილებლობის გამო, რომელიც
კერძო ადამიანის ინტერესებზე მაღლა სდგასო. (იქვე
გვ. 116.).

ამ რიგად, კითხვა შოფადების და ზნეობის საფუძვე-
ლზე გადააქვთ და მით სრულიად უკარგავენ მას მეცნიე-
რულ მნიშვნელობას. თანამედროვე ეთიკურმა მეცნიერე-
ბამ ხომ უარპყო მოვალეობის პრინციპი. მოვალეობა
მეტაფიზიკური ცნებაა. მეტაფიზიკური ეთიკა გვასწავლიდა,
მოვალე ხარ ასე თუ ისე მოიქცე, ვინაიდგან ეგ ლვოს
სურვილიაო. ან კიდევ, მოვალე ხარ აასრულო ეგ საქმე,
რადგან ეს მოთხოვნაა კატეგორიულის იმპერატივისაო.
ხოლო ღმერთის არსებობაც და კატეგორიულ იმპერატივის
არსებობაც უკვე დამტკიცებულ საგნად მიაჩნდათ. ერთის
სიტყვით მოვალეობის იდეას ყოველთვის ახლავს თან
მეტაფიზიკურ ხასიათის სანქცია. დღევანდელმა მეცნიერე-
ბამ კი წამოაყენა პრინციპი იმგვარ ეთიკისა, რომელსაც
არც მოვალეობის, არც სანქციის ცნება არა / აქვს (1).

რაკი ჩვენს პრაქტიკულ მოქმედებას განვათავისუფ-
ლებთ მეტაფიზიკურ მცნებათა ზედგავლენისაგან, იმ წამსვე
ხდება ეს მოქმედება თავისუფალი, დამოუკიდებელი ტრა-
დიციისაგან და უმრავლესობის ტირანიის ძალმომრეობი-
საგან. ერთად ერთი ხელმძღვანელი ადამიანის მოქმედებისა
ხდება მისი გონიერება. გონიერება კი ეუბნება ადამიანს,
არამც და არამც არ დაემორჩილო იმას, რაც შენს სინი-
დისს და აზრს ეწინააღმდეგებაო. მოვიყვანოთ რამდენიმე
ნიმუში ამგვარ მსჯელობისა.

(1) ამ საგნის უსახელ იხ. ოზურება გიურისი — L'irreligion de
l'Avenir და „Morale sans obligation, ni sanction“.

როდესაც ადამიანი ადამიანზედ ბრძანებლობას იწყებს, მონობა იბადებაო, ამბობს პრუდონი. ვინც ხელსა მკიდებს იმ განზრახვით, რომ დამიმორჩილოს, ის მტარვალი და დესპოტია, ის ჩემი მტერია.... ავტორიტეტი, მართველობა, უფლობა, სახელმწიფო — ყოველივე ეს სიტყვა ერთსა და იგივეს ნიშავს: ყოველი ადამიანი ამაში ხედავს საშუალებას თავის მოძმის გაყვლეფისას. აპსოლიუტისტები, ღოკტრინიორები, დემაგოგები და სოციალისტები ხშირად იბრუნებენ პირს მართველობის მექანიზმისაკენ. ყოველი პარტია, რომელიც კი მართველობის ძალას ეტრუიალება, თვითმშეყრობელობის მგზავსია. როდესაც მართველობის პრინციპისადმი რწმენა დაიკარვება, მხოლოდ მაშინ გაჩნდება, თავისუფლება მოქალაქეთათვის, წესიერება საზოგადოებისათვის და ერთობა მშრომელთათვის (1).

იურისტები გვეუბნებიან, სახელმწიფოს ძალას უნდა დავემორჩილოთ, რადგან ეგ ძალა „უფლებრივი“ ძალააო. სალი გონება კი, მაქს შტირნერის პირით, გვეუბნება: სახელმწიფო მხეცურ ძალმომრეობის საშუალებით მოქმედობს, ხოლო ამ ძალმომრეობას „უფლებას“ უწოდებენ. კერძო ადამიანის ხელშიკი ამ გვარივე ძალა დანაშაულობაა. დააკვირდით, რანაირად ამრქმედებს სახელმწიფო თავის ძალას. მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოს თითქმის სიკეთის განხორციელება სწადიან, ამ წადილისაგან არა გამოდისრა და ეგ იმიტომ, რომ მას ბრძანებლობით სურს მოქმედება; ხოლო ყოველი ბრძანებლობა, ამბობს ბაკუნინი, ალვიძებს ადამიანში კანონიერ პროცესტს. ადამია-

(1) აქ და ყველგან ქვემოდ ანარქისტ-მწერლების სიცუვები მოგვყვავს შერცხახერის წიგნისა: „L'Anarchisme“.

ნური, ნამდვილ ეტიკის შეხედულობის სიკეთე ბოროტებად იქცევა ხოლმე, რაკი ეგ სიკეთე ნაბძანებია. თავისუფლება, ზნეობა და ღირსება ადამიანისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის იმიტომკი არ აკეთებს სიკეთეს, რომ იგი ნაბძანებია, არამედ იმიტომ, რომ ამისი შეგნებული სურვილი და სიყვარული აქვს.

მაშ რანაირად გინდათ ცხოვრების მოწყობაო, ამბობენ: განცვითურებულნი იურისტები: ყველაფერი შეგიძლიანთ უარპყოთ, მაგრამ განა აშკარა არ არის, რომ სახელმწიფო იცავს საკუთრებას, მართველობას და ადამიანის პიროვნებას? — რაც შეეხება საკუთრების მფარველობას, პასუხს უგებს კროპოტკინი; სოციალისტებმა კარგად იციან, რაში მდგომარეობს ეგ მფარველობა. საკუთრების შესახებ კანონები იმ გვარის, რომ არც საზოგადოებას, არც კერძო ადამიანს არა აქვს გარანტია იმისა, რომ თავის შრომის ნაყოფი თავის თავს მოახმაროს. ეს კანონები, პირიქით, იმნაირ ხასიათისაა, რომ მშრომელს თავის ნამუშავარის ერთს ნაწილს ართმევენ, ხოლო უსაქმურებს უზრუნველ უყოფენ ნაპარავ ქონებას, იმ ქონებას, რომელიც უსაქმურება მშრომელ ხალხს და მთელ საზოგადოებას გამოაცალეს. მთავრობის მფარველი კანონები! ჩვენ კარგად ვიცით, რომ ყოველ მთავრობის, მონარხიულ, კანსტიტუციონალურ თუ რესპუბლიკანურ მთავრობის დანიშნულება იმაშია, რომ მფარველობა გაუწიონ და ძალით დაიცვან გაბატონებულ კლასთა (არისტოკრატიის, სამღვდელოების, ბურჟუაზიის) ინტერესები... ამგვარადვე უსარგებლონი და მავნენი არიან კანონები, რომელნიც ადამიანის პიროვნებას ვითომდა ჰმფარველობენ, „დანაშაულობას“ სჯიან და სპობენ. ყველამ იცის, რომ დასჯის შიში არც ერთ ავაზაკზე

არ მოქმედებს. ვინც თავის მეზობელს ჰკლავს, ან შურის ძიებით, ან სილატაკის გამო, არ უფიქრდება იმას, თუ რა შედეგი მოჰყვება მის საქციელს. და ყოველ მკვლელს იმედი აქვს, რომ ის სასჯელს გამოეპარება. იმ დღეს, როდესაც არც ერთ ავაზაკს აღარ დასჯიან, ავაზაკთა რიცხვი არ გაიზრდება. პირ-იქით, მოსალოდნელია, რომ ავაზაკთა რაოდენობა დაიკლებს, რადგან ციხეებში რომ ირყვნებიან რეციდივისტები, მათ ჩამოეცლებათ.

არა, ყოველივე ეს შეწყნარებელიაო, ჯიუტობენ იუ-რისტები. სახემლწიფო თუ მოსპეც, აღებ-მიცემბა და კულტურა მოისპობაო. ადამიანი ბოროტია და ბოროტების ასალაგმავად ბორჯილი ესაჭიროება. აი მოისმინეთ მეცნიერ ელნეკის მონოლოგი: „სახელმწიფოს საჭიროების დასაბუთება მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც პრინციპიალურად კულტურას და კულტურისთვის საჭირო პირობებს აღიარებსო“ (Общее учение о государствстве, ст. 141) თურმე, ნუ იტყვით, კულტურა მხოლოდ სახელმწიფოს ფარგალში ყოფილა შესაძლებელი! ვინც კულტურას აღიარებს, სახელმწიფოც უნდა აღიაროსო! მაგრამ ეს კიდევ არაფერი ყური დავუგდოთ მეცნიერს: „დისციპლინალური მცირე ძალა მაინც თუ არ არის, არც ერთს რიგიან კავშირს ან კრებას არ შეუძლია გამოიჩინოს ნაყოფიერი მოქმედება... ვინც ამას უარჲყოფს და აღიარებს, ვითომ ეკონომიკურ ცხოვრების გაცვლა-გამოცვლის სისტემა (Министерская система) დაამყარებს ბუნებრივ პარმონიას აღამიანთა ინტერესებისას, ვისაც ჰგონია რომ გონივრული ეგოიზმი ან რაიმე სხვა თვისება ფსიხიურ ბუნებისა იქამდე მიგვიყვანს, რომ ეკონომიკური ნორმები, რომელნიც არ მოქმედობენ ძალდამტან-კანონების საშუალებით, სოციალურ ცხო-

ვრების მიმდინარეობისთვის შესაფერ პირობებს შე-
ქმნისო, ვინც ამ აზრისაა, იმას უტოპისტებსავით. ცრუ
და ცალმხრივი შეხედულება აქვს ადამიანის ბუნების შე-
სახებ, იმის თვალში ადამიანი სოციალურად მომწიფებუ-
ლია და თუ რაიმე სისუსტე ემჩნევა, ამისი ბრალი ადა-
მიანის ბუნებას კი არ ედება, არამედ გარეშე პირობებს.
ნამდვილათ კი არც ერთ თეორიას არ შეუძლია უარ-
ჰყოს ის გარემოება, რომ ცხოვრებაში, ბევრია იმისთანა-
ადამიანი, რომელიც დაბლა სდგას ზნეობით და რომ ამი-
სათვის სოციალისტურ საზოგადოებაშიაც აუცილებელი
იქნება ბოროტმოქმედება... სრულიად უნაყოფოდ ამი-
ტომ ფრაზები თავისუფალ საზოგადოებისა და სახელწიფოს
გაუქმების შესახებ... (იქვე 142, 143).

როგორც ხედავთ, ადამიანი თურმე ბუნებით ბო-
როტია და ამიტომ არის საჭირო სახელმწიფო. სახელ-
მწიფო რომ არ იყოს; ბოროტი დასჩაგრავს სუსტს და
კეთილსინიდისიერსო. აბა დააკვირდით ამ აზრს, თუ იგი
შეჰვერის მეცნიერს. ჯერ ერთი საიდან, რომელ მეცნი-
ერებაშია გამორკვეული, რომ ადამიანი ბუნებით ბორო-
ტია? თუ ფსიხოლოგიას დაასახელებთ, ფსიხოლოგიას
ამგვარივე უფლება აქვს გითხრათ, რომ ადამიანი საზო-
გადოებრივი და გონიერი ცხოველია. და ამ აზრს არა ნა-
კლები მეცნიერული სანკცია ექნება, მით უფრო რომ
სხვა მეცნიერებაც, ბიოლოგია, მაგალითად, მხარს დაუ-
ჰქონდა ამ აზრს. ბიოლოგია ცხოველთა სამეცოშიაც-კი
ჰპოვებს სოლიდარობის; სიყვარულის. და ურთიერთ და-
ხმარების გრძნობას. ადამიანმა, რომელიც ცხოველთა კიბე-
ზედ ნიჭიერებით ყველაზე მაღლა სდგას, უმაღლეს წერ-
ტილამდე განავითარა საზოგადოებრივი ინსტინკტები, და

თუ მისი ბუნება ამ მხრივ უფრო თავისუფლად არ იშ-
ლება, ამის მიზეზს უნდა ვეძებდეთ აღამიანის გარეშე,
სოციალურ პირობებში. ვინც იტყვის, რომ ამ ჩვენ მოსა-
ზრებას მეცნიერული ხასიათი არ აქვს; ე. ი. რომ ობი-
ექტიურად ვერ დავამტკიცებთ, რომ აღამინის ბუნება
(ეხლანდელ განვითარების წერტილზე) ბოროტების წყა-
რო არ არის, ვერც წინააღმდეგ აზრს დაამტკიცებენ ობი-
ექტიურად, ვერ დაამტკიცებენ, რომ აღამიანში სიბორო-
ტე და ანტისოციალური ინსტინკტი მეტია, ვიდრე სო-
ციალური ინსტინკტები.

სახელმწიფო თუ გააუქმეთ, ბოროტი დასჩაგრავს. არა
ბოროტსაო! დღესკი რასა ვხედავთ? განა ამაზე მეტი სი-
ბოროტის ფართაშობა შეიძლება კიდევა? დღეს ძალმომ-
რეობა, გარყვნილება და კაცო-მოძულება სახელმწიფოს
კალოებს ამოჰფარვია! დღეს არის ბოროტი გაბატონებული.
დაგვიმტკიცეთ ჯერ, რომ სილატაკე და აღამიანის გაყვლე-
ფა აღამიანისაგან სიბოროტე არ არის, დაგვიმტკიცეთ
ჯერ, რომ სახელმწიფო თავის მექანიზმით არ ჰბადავს ბრძო-
ლას, დაჩაგვრას, დამონებას, ბოროტებას, დაგვიმტკიცეთ
ყველა ეს და შემდეგ ამისა გვისაყვედურეთ ჩვენი სურვილი
ამ მონობის გაუქმებისა, ამ. ძალმომრევ სისტემის დან-
გრევისა!

სახელმწიფოც არის, და სახელმწიფოც, არ სცხრებიან
ჩვენი მოპირდაპირენი. დემოკრატიული სახელმწიფო დიდ
შელავათს აძლევს ხალხს. ამ გვარ სახელმწიფოში საკუთრება
ბევრად თუ ცოტად ფართო წრეებშია განაწილებული.
დემოკრატიული სახელმწიფო ანიჭებს ხალხს პოლიტიკურ
უფლებებს და თქვენ კი ყველა ამას არ აფასებთ, იძახით,
სახელმწიფო ბოროტებას ჰქმნისო.

ზემოდ უკვე გვქონდა ლაპარაკი საკუთრების შესახებ. აღვნიშნეთ, რომ სახელმწიფო კერძო საკუთრების მცველია და აქედან გამომდინარეობს მისი ძალ-მომრეობითი ხასიათი, რადგან ადამიანის ადამიანისაგან გაყვლეთა, გამუდმებული ქიშპობა, ერთის გამდიდრება, მეორის გალატაკება, ყოველივე ეს არის შედეგი კერძო საკუთრებისა. ბაკუნინი სწერს: „კერძო საკუთრება მარტო შედეგი კი არ არის სახელმწიფოებრივ წყობილებისა, არამედ მისი ბუნებრივი საფუძველიაო.“ კროპოტკინი ამბობს: „რას ემსახურება ეს უზარმაზარი მაშინა, რომელსაც უწოდებთ სახელმწიფოს? განა იღებს რაიმე ზომას, რომ კაპიტალისტმა არ გაყვლიფოს მუშა, მემამულემ გლეხი? განა გვაძლევს სამუშაოს, გვიცავს წურბელებისაგან, განა აძლევს საკვებს იმ დედას, რომელსაც ძუძუ გაეშრო და ატირებულს ბავშვს წყლის მეტს ვერას აძლევს დასამშვიდებლად? არა, ათასჯერ არა, ხოლო სამაგიეროთ სახელმწიფო ჩვენის ცხოვრების ყველა კუთხეში ეჩრება. აკვნიდან სამარემდე გვახრჩობს თავის კლანჭებით, ყოველ ჩვენ მოქმედების შესახებ კანონებსა სწერს და ამ კანონებისა და უქაზებისაგან ისეთი დიდი გორა შესდგება, რომ გამოქნილ აღვოკატსაც არა ესმის რა. სახელმწიფო ჰერიტაჟის ჩინოვნიკების უზარ-მაზარ ჯარს, ამ ბრჭყალებიან ობობებს, რომელნიც ცხოვრებას თავიანთ კანცელიარების ჭუჭყიან ფანჯრებიდან დაჰყურებენ. ურიცხვ ფულს ართმევს ხალხს სახელმწიფო და ეს ფული არასოდეს არა ჰყოფნის მას. სახელმწიფო ყოველთვის მომავალ თაობათა ანგარიშზე ცხოვრობს, მუდმივ ვალებში და გაკოტრების მოლოდინშია. ვინც იხსენიებს სახელმწიფოს, ომიც უნდა გაიხსენიოს... ხოლო ამ გარეშე ომთან შინაური ომიც გამწვავებებულია.

ხალხი იმ განზრახვით დაემორჩილა სახელმწიფოს, რომ
იგი უნდა გამხდარიყო ყველას დამცველი, განსაკუთრებით
დამცველი სუსტისა, დღეს კი სახელმწიფო მდიდრის ციხე-
ბურჯად გამხდარა“.

იქნება სთქვან, რომ ყოველივე ეს მონარქიულ და
დესპოტიურ სახლმწიფოს თვისება იყოს. მაგრამ იგივე
თვისება თან ზღევს წარმომადგენელობით სახელმწიფო-
საც. ირლანდიის მოიჯარადრენი ორმოცის წლის განმავ-
ლობაში იბრძოდნენ. საიჯარო მიწას აკეთებდნენ, აუმ-
ჯობესებდნენ, ხოლო არ ჰქონდათ უფლება ესარგებლათ
თავიანთ ნამუშავრით. ორმოცის წლის განმავალობაში
ინგლისის პარლამენტი არავითარ ყურადღებას არ აქცი-
ვდა ამ საცოდავ მოიჯარადრეთ; და მხოლოდ მაშინ, რო-
დესაც ირლანდიის სოფლებს აგრარულ რევოლუციის
აღი მოედო, როდესაც ლორდების ინტერესი განსაკ-
დელში ჩავარდა, მაშინ მოაწესრიგა პარლამენტმა მოიჯა-
რადრეთა საქმე, და ასე ხდება ყველგან. როდესაც სა-
ხელმწიფო კაპიტალისტების ინტერესებს იცავს, რომელთ
წინააღმდეგ ხალხია აჯანყებული, წარმომადგენელობითი
მთავრობა სიველურეს იჩენსო, ამბობს კროპოტკინი. იგი
იცემება და იცემება ისეთის ამაყობით და ლაპრობით,
რომ გადააჭარბებს დესპოტისაც. უსახელო შეცმა, რომელ-
საც ექვსასი თავი აბია, სისასტიკეში გაუსწრო ლიუდო-
ვიკ XI-სა და ივანე IV-ს.

რაც შეეხება თქვენს მიერ ნაქებ მოქალაქეთა პო-
ლიტიკურ უფლებებსა, რომელნიც ჩაწერილნი არიან დე-
მოკრატულ კონსტიტუციებში, ამ უფლებათა ფასიც დი-
ლი არ არის. განა ეს უფლებები იმათვის არიან
შექმნილნი, ვისაც ესაჭიროება? რასაკვირველია არაო, ამ-

ბობს იგივე ავტორი. საყოველთაო არჩევნების უფლება ზოგიერთს შემთხვევაში იცავს ბურუუაზიას ცენტრალურ მთავრობის ძალ-მომრეობისაგან. ამ უფლების წყალობით ბურუუაზიას არ ესაჭიროება იარაღის ხელში აღება თაცის დაცვისთვის. საყოველთაო არჩევნების უფლება ზოგიერთ შემთხვევაში სასწორის როლს ასრულებს იმ პარტიათა შორის, რომელთაც სწადიათ მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდება. ამ არჩევნების წყალობით მოწინააღმდეგე პარტიები დანებით ხელში აღარ გამოდიან. საბრძოლველად, როგორც ევიურ დროში. მხოლოდ საყოველთაო არჩევნების უფლება სრულიად გამოუსადეგარია იმ შემთხვევაში, თუ რომ ზაღანს სურს დაახსოს მართვა-გამგეობის ორგანიზაცია, თუ რომ სურს შეამციროს ძალა სახელმწიფოსი და დაამზოს უფლობა. არჩევნების უფლება მშენები საშუალებაა მთართველთა წრეებ შორის ატეხილ ქიშვობის და კამათის შშვიდობიანად გადაწყვეტისათვის, მხოლოდ არავითარი სარგებლობა მას არ მოაქვს ხალხისთვის. იგივე ითქმის პრესის თავისუფლების შესახებ. რა გვარი მთავარი არგუმენტი ჰქონდა ბურუუაზიას პრესის თავისუფლების შემოღების სასარგებლოდ? ის განა, რომ პრესა უძლურია?! გადახედეთ, ამბობდნენ ისინი, ინგლისი, შვეიცარიას, ამერიკას; ამ ქვეყნებში პრესა თავისუფალია, მიუხედავათ ამისა, იქ უფრო არის გაბატონებული კაპიტალისტური ეკსპლოატაცია, ვიღრე სხვა ქვეყნებში; კაპიტალისტური მეფობა მტკიცედ არის დამკვიდრებული. ყრილობების თავისუფლების შესახებ ამგვარადვე სჯიან. მიუანიჭოთ ხალხს სრული თავისუფლება ყრილობებისა, ამბობს ბურუუაზია: ეს ჩვენს პრივილიგიებს არას ავნებს, ჩვენ უფრო საიდუმლო საზოგადოებებისა უნდა გვეშინოდეს.

თავისუფალი კრებები საუკეთესო საშუალებაა საიდუმლო
საზოგადოების შესუსტებისათვის. ბინის ხელშეუხებლო-
ბა? ღმერთო ჩემო, ჩასწერეთ კანონებში, იყვირეთ ყველ-
გან ამის სასარგებლოდ. ჩვენ არ გვიყვარს, როდესაც
პოლიციელი ეწვევა ჩვენს სახლს, მაგრამ თუ ვიგრძენით,
რომ ჩვენი საქმე ფუჭდება, ხელშეუხებლობის პრინციპს
გადავათურთხოთ, დავატუსაღოთ მავნე პირნი, გავუ-
ჩერიკოთ სახლები. კორესპონდენციების (წერილების)
საიდუმლოება? ყველგან სთქვით, იყვირეთ, დასწერეთ,
რომ წერილების გახსნა შეუწყნარებელია. მიიღეთ ზომები,
რომ ჩვენი საიდუმლო საქმეები; ერთმანეთს რომ ვატყო-
ბინებთ, გამოქვეყნებული არ გახდეს, მაგრამ თუ როგორ-
მე გავიგეთ, რომ ჩვენის პრივილეგიების წინააღმდეგ შე-
თქმულება შეუდგენიათ, ამ შემთხვევაში ნურაფრის ნუ
შეგვრცხვება, ყველა წერილები გავსხნათ, ამ საქმისთვის,
თუ საჭიროა, ათასი მოხელე გაეიჩინოთ. და თუ ვინმემ
ამის წინააღმდეგ პროტესტი გამოაცხადა, ვუპასუხოთ ის,
რაც ერთმა ინგლისელმა მინისტრმა სთქვა პარლამენტში :
„დისჩ; ბატონებო! ჩვენ ძლიერ გვეჯავრება წერილების
გახსნა და დიდის უსიამოვნობით ვაკეთებთ მაგას, მაგრამ
ამას ჩავდივართ, რადგან სამშობლო (ე. ი. არისტოკრატია
და ბურჟუაზია) განსაცდელშიაო“. ამ რა ფასი აქვს ეგრედ
წოლბულ პოლიტიკურ თავისუფლებათ! პრესის და შეკ-
რების თავისუფლება, ბინის ხელშეუხებლობა და სხვა
მხოლოდ იმ დრომდე არის დაცული და პატივცემული,
სანამ ყველა ამას ხალხი იარაღად არ მოიხმარს გაბატო-
ნებულ კლისების წინააღმდეგ, და როდესაც ხალხს ამ გან-
ზრახვით სურს ხოლმე პოლიტიკურ უფლებათა გამოყე-
ნება, ყველა ამ თავისუფლებას ფეხით გასთელავენ ხოლმე.

მაგრამ კმარა! სახელმწიფოს არსებითი თვისება საქმარისად გამოირკვა ჩვენთვის. გამოირკვა აგრეთვე იშ თავისუფლების ხასიათი, რომელიც სახელმწიფოს ფარგალში სურთ განახორციელონ. გამოირკვა „პოლიტიკურ უფლებათა“ სიყალბე. აი ამგვარ ორგანიზაციაშია. მოთავსებული ჩვენი სიცოცხლე და ამ ორგანიზაციის ხელში ჩაგდებისათვის თავებს ამტვრევენ, ერთმანეთს ებრძვიან პოლიტიკური პარტიები. ეხლა ჩვენთვის აშკარაა, რომ ამ ხასიათის ძალმომრევი ინსტრუმენტი, ვის ხელშიაც უნდა იყოს იგი, ვერავითარ სიკეთეს ვერ მოიმოქმედებს. აშკარაა ისიც, რომ სოციალიზმის განხორციელება სახელმწიფოს საშუალებით საცოდავი უტოპიაა, თვით სოზიალიზმის გარეუნა და დამახინჯებაა. მაგრამ სოციალისტური პოლიტიკური პარტიები სხვანაირად სჯიან. სოციალ-დემოკრატებმა მართვა-გამგეობის უფლების დაპყრობა მიზნად გაიხადეს. ხოლო დღესდღეობით დემოკრატიულ მუშათა კანონმდებლობის შექმნას ანდომებენ მთელ თავიანთ სარევოლიუციო ენერგიას. მუშათა კანონმდებლობა, მათის აზრით, გააღონიერებს პროლეტარიატს, განამტკიციცებს მისს რევოლიუციისადმი მისწრაფებას და სოციალისტურ წყობილებისათვის საჭირო პირობებს შეჰქმნისო. ამიტომაც არის, რომ სოციალ-დემოკრატები ასე ებლაუჭებიან სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას (კანონმდებლობის წყაროს). ხოლო მართალნი არიან ისინი, თუ რა, ამას გავიგებთ „მუშათა კანონმდებლობის“. შესწავლიდან და ანალიზიდან: და ეს იქნება შინაარსი, შემდეგის თავისა.

თ ა უ ი მ ე თ თ ხ ე

შუშათა კანონშდებლობა თუ სარევოლიუციო მოქმედება?

ბევრი სოციალისტი მოხარულია იმის გამო, რომ რუსეთში მყარდება დემოკრატიული რეჟიმი. ეს. სიხარული გამოწვეულია განსაკუთრებით იმითი, რომ დემოკრატიული პარლამენტი საშუალებას მისცემს მუშათა დამცველ წარმომადგენლებს ეგრედ წოდებული სოციალურ ხასა-ათის კანონმდებლობა შეჰქმნან. მუშათა კანონმდებლო-ბის განხორციელებით სოციალ-დემოკრატიულ პროგრა-მის მინიმუმი განხორციელდება და ეს გარემოება იმდე-ნად ხელს შეუწყობს მუშათა ხალხის ეკონომიკურ და გა-ნებრივ გაძლიერებას, რომ გაუადვილებს მას სოციალი-ზმის განხორციელებას მოკლე მომავალშით.

მაგრამ ამ გვარ სიხარულს და იმედს ნიადაგი არა აქვს. საქმე ის არის, რომ მოწინავე პროლეტარიატს დღეს ეჭვი შეეპარა მუშათა კანონმდნბლობის სარგებლო-ბაში. და თუ ეს მართლა ასეა, ამ გარემოებამ სრული-ად უნდა შესცვალოს პროლეტარიატის აზრი დემოკრა-ტიულ პარლამენტისადმი და მის მოქმედების ტაქტიკასაც სხვა გვარი მიმართულება მიეცემა.

დავაკვირდეთ საგანს. პროლეტარებს და კაპიტალის-ტებ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა. ამ ბრძო-ლის შინაარსი ის არის, რომ ერთის მხრივ, კაპიტალის-ტებს სურთ სხვის ოფლით შეძენილ სიმდიდრის განუ-საზღვრელი ზრდა, მეორეს მხრივ კი, პროლეტარებს სწადიანთ შექმნილ სიმდიდრის გასაზოგადოება. ბრძოლა მხოლოდ მაშინ დამთავრდება, როდესაც ერთი მოპირდა-

პირე მეორეს დაუთმობს ადგილს. პროლეტარიატმა იკის-
რა მშიმე და დიალი საქმე — გაუქმება კლასებისა და სოცი-
ალურ უთანასწორობისა. მხოლოდ მას კარგად ესმის,
რომ მისი გამარჯვება იქნება ნაყოფი მედგარის, მტკიცის
და შეუწყვეტელის ბრძოლისა და იგი ისედაც მოქმედობს.
ყველგან, საცა კი კაპიტალისტური წარმოება არსებობს,
პროლეტარიატი გაბედულად გაფიცვებს მართავს და ამ
გაფიცვების საშუალებით ცდილობს თითონვე გააუმჯობე-
სოს თავისი მდგომარეობა. მართალია, გაფიცვების გამო
მუშა ხალხი დიდ გაჭირვებაში ვარდება, მაგრამ, ეჭვს
გარეშეა, რომ კაპიტალიზმს გამუდმებულ გაფიცვებით
(განსაკუთრებით საყოველთაო ხასიათის გაფიცვებით) უფ-
რო მეტი ზარალი მოსდის, რადგან კაპიტალის ზრდა მოი-
თხოვს სიწყნარეს, სიმშვიდეს, თანდათანობას და შეუწ-
ყვეტელ მუშაობას, ე.. ი. ექსპლოტაციას. და აი, როდე-
საც, გაფიცვების გამო ირლვევა საჭირო პირობები წარ-
მოების გაგდელებისათვის, კაპიტალისტი იძულებულია
დაუთმოს მუშებს და მზად არის იმ გვარ კანონების გამო-
ქვეყნებას ხელი შეუწყოს, რომელნიც აკმაყოფილებენ რა
მუშათა ზოგიერთ მოთხოვნას, დროებით მაინც ამშვი-
დებენ მათ და კაპიტალისტურ წარმოებისათვის საჭირო
პირობებს ჰქონიან.

ამ საგნის შესახებ ქართულს ლიტერატურაში ჩვენ ვპო-
ვებთ გ. — ლია-ს საყურადღებო წერილს. ავტორი ამბობს:
„მუშათა კანონმდებლობას ბურჟუაზია თავის დასაცველ
იარაღად ყოველთვის და ყველაგან არა სთვლის, ამ ია-
რაღად კანონმდებლობა ბურჟუაზიისთვის. მხოლოდ განსა-
ზღვრულ პირობებში ხდება — საამისო ინიციატივას ბურ-
ჟუაზია არასოდეს არ კისრულობს. მუშათა რეფორმების

განხორციელებას ბურუუზია და შისი წარმომადგენელი მთავრობა თავის გულკეთილობით არ იწყებენ, ისინი ებრძვიან მუშათა მოთხოვნილების აღმოცენებას, მხოლოდ, რაკი ამ მოთხოვნილებამ ერთხელვე იჩინა თავი, ბურუუზია ცდილობს იგი იურიდიულს (1) ნიადაგზე გადაიტანს. იქ, სადაც მუშათა არავითარი მოძრაობა არ არის, არც არავითარი მუშათა შესახები კანონმდებლობა არსებობს, იქ კაპიტალისტებს დესპოტიურად შეუძლიანთ წაიყვანონ წარმოების საჭმე, მათ ენის შემბრუნებელი არავინ არ ჰყავთ. ამიტომ იქ ურთიერთობის დასამყარებლად კანონმდებლობა არ არის საჭირო, იქ ისედაც არის მტკიცედ დაცული ეს ურთიერთობა, — ბატონისა და მონის ურთიერთობა.

სადაც მოძრაობა არ არსებობს, სადაც წარმოების ნიადაგზე შეტაკება არ ხდება, სადაც მუშათა ორგანიზაციებს ძალა აკლიათ, იქ არაფერი არ არღვევს მოძრაობის თანდათანობას. ამ პირობებში ბურუუზია არა თუ არ იღებს თავზე მუშათა კანონმდებლობის ინიციატივას, არამედ ყოველივე ლონისძიებით ებრძვის მის აღმოცენებას. მაგრამ შემდეგ, როდესაც ფესვს იკიდებენ ორგანიზაციები და მუშათა მოძრაობა ფართო ხასიათს იღებს, როცა ხშირდება გაფიცვები, რომელნიც მუშათა კლასურ გრძნობას აძლიერებენ, როდესაც მუშათა კლასი პოლიტიკურად მწიფდება, მაშინ ბურუუზია თანხმდება მოპირდაპირედ იცნოს მუშათა კლასი და ბრძოლა. იურიდიულ (2) ნიადაგზე გადააქვს: ეს უფრო ეთანხმება მის ინტერესს, ფიდრე წამ-და უწუმ წარმოების შეჩერება. და ამით მის თანდათა-

ნობის დარღვევა. „ (ივერია, 188) მეორე თავის წერილში იმავე აზრს კ.— გ-ლია ამგვარად განმარტავს: „... მრეწველობის განვითარებისათვის თუ უმთავრესი პირობა არის წარმოების თანდათანობა, და მეორეს მხრივ, თუ ამისი განხორციელება შეუძლებელია, სანამ არ შემუშავდება ისეთი იურიდიული ნირშებია, რომელიც თანავე შეირჩევთ ის სავალდექიულობის იქნებან, ცხადია, ბურჟუაზია ეცდება სწორედ ამ სავალდებულო იურიდიულ ნორმებზედ დაამყაროს თავისი ურთი-ერთობა მუშებთან, ესე იგი, ეცდება შექმნას მუშათა კანონმდებლობა, რომელიც საბოლოოვოდ მისთვის სასარგებლო სავალდებულო ნორმების კრებულია“ (№ 186, ივერია).

კარგიო, გვეტყვიან, მაგრამ რანაირად გინდათ გაუმჯობესდეს მუშა კლასის მდგომარეობა, თუ სოციალურ ხასიათის კანონმდებლობა უარ-ჰყავით? ეს კანონმდებლობა ხომ თანდათან ფართოვდება? დეე, იყოს იგი სასარგებლო ბურჟუაზიისათვის, ოლონდ მუშა კლასს ვნებას არ აძლევდეს. ხოლო საქმე ის არის, რომ ვნებას კი არა, დიდ სარგებლობას აძლევს იგი მუშა ხალხსა, რადგან შეტ ლონეს და მეტ ძალას ანიჭებს მოპოვებულ პოზიციის წყალობით. გარდა ამისა, მუშა ხალხიც ხომ არ უარყოფს თანდათანობას, ისიც ხომ იმასა სცდილობს, რომ პატარ-პატარა გაუმჯობესობით გააღონიეროს თავისი მდგომარეობა; ხომ არც ერთ გაფიცვაში მუშებს არ წამოუყენებიათ, პრაკტიკულად არ წამოუყენებიათ საწარმოვო იარაღის გასაზოგადოების სიჭიროება? მაშ თუ მაგრეა, განა წინააღმდეგობა არ არის, როდესაც თქვენ, ერთის მხრივ, თანდათანობას აღიარებთ, პატარ-პატარა გაუმჯობესობის სარგებლობას სცნობთ, მხოლოდ, მეორეს მხრივ, უარ ჰყოფთ

მუშათა კანონმდებლობის მნიშვნელობას, იმ კანონმდებლობას, რომელშიაც აი სწორედ თქვენ მიერ მოწონებული გაუმჯობესობანი არიან გამოსახულნიო.

აი, ეს მოსაზრება მიაჩინათ დემოკრატებს ერთ-ერთ საზუთად პარლამენტარულ მოქმედების საჭიროების დასაცავად. მაგრამ, ჩვენის აზრით, აღნიშნული წინააღმდეგობა მხოლოდ გარეგანია. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ კაპიტალისტები მონატრულნი არიან ზოგიერთ შემთხვევაში მუშებთან ურთიერთობას იურიდიული ხასიათი მისცენ. ეს უფრო სასარგებლოა მათვის, ვიდრე რევოლიუციონურ ხასიათის ურთიერთობა. და თუ ეს სასარგებლოა კაპიტალისტებისთვის, იგი უსათუოდ მავნებელი უნდა იყოს მუშებისათვის. შრომისა და კაპიტალის შორის ძირითადი წინააღმდეგობაა და რაც ერთისათვის სასარგებლოა, მავნებელია მეორისათვის. მხოლოდ, რაც შეეხება იმას, რომ მუშებიც არ უარპყოფენ თანდათანობის პრინციპს, უნდა ვსთქვათ, რომ არის თანდათანობაც და თანდათანობაც. არის თანდათანობა ლეგალური, თანდათანი. შეცვლა იურიდიულ ნიადაგზედ დამყარებულ წესწყობილებისა, და არის თანდათანობა რევოლუციონური, რევოლუციონურ ბრძოლის საშუალებით ცხოვრების თანდათანი გაუმჯობესება. აი აქ იმალება ძირითადი განსხვავება, რეფორმისტთა და რევოლუციონერთა შორის არსებული. პირველნი იურიდიულ თანდათანობაზედ ლაპარაკობენ, მეორეთ კი სახეში აქვთ ახალ პოზიციების მოპოვება. რევოლუციის საშუალებით. პირველი სასარგებლოა კაპიტალისტებისათვის, მეორე კი მშრომელ ხალხისათვის. როდესაც მშრომელ ხალხის მოთხოვნას იურიდიულ ხასიათს და ფორმას აძლევენ, ამის სარევოლიუ-

ციო ენერგიის შემცირება მოსდევს ხოლმე. იურიდიული ნორმა **სავალდებულოა** ორივე მხრისათვის და ორივე მხარე, სანამ არსებობს ეს ნორმა, უნდა დაემორჩილოს მას და, რასაკვირველია, ამ გვარი მორჩილება უფრო სა- სარგებლოა იმისთვის, ვის ხელშიაც არის საწარმოვო ის- რალი. ამიტომაც არის, რომ საფრანგეთის სინდიკალისტე- ბი თავიანთ მოთხოვნებს არასოდეს იურიდიულს ფორ- მას არ აძლევენ, ისინი პირის-პირ ებრძვიან. კაპიტალის- ტებს და მათ ხელში აქცით ერთად-ერთი ბრძოლის საშუ- ალება — რევოლუციონურ საშუალებით გაუმჯობესობა- თა მოპოვება.

მაშ, გვეტყვიან, კანონმდებლობის გზა თუ უარ ჰყა- ვით, კუნკურენტულად უნდა გვიჩვენოთ, რანაირად, რა საშუალებით შეუძლიანთ მუშებს თავიანთ მდგომარ- ეობის გაუმჯობესება. მართალია „რევოლუციას“ იხსე- ნიებთ, ამბობთ რევოლუციონურის საშუალებით უნდა იცავდეს შრომის არმია თავის უფლებებს, ხოლო სიტ- ყვა „რევოლუცია“, რევოლუციონური საშუალება გა- მოურკვეველი ცნებაა. ამიტომ საჭიროა მარტივად და ყველასათვის გასაგებად აგვისტისნათ თქვენიაზრით.

ამის განსამარტივად მკითხველებს მივუთითებთ საფ- რანგეთის სინდიკალისტების პრაქტიკულ მოქმედებაზედ. სარევოლუციო სინდიკალიზმის შესახებ დაწვრილებით ქვემოდ გვექნება ლაპარაკი. აქ მივაჭრიოთ ყურადღება მხოლოდ იმას, თუ როგორ იბრძვიან სინდიკალისტები დღევანდელ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და რა ტაქტიკას ხმარობენ რვა საათიან დღის შემოღებისათვის.

საფრანგეთში დიდი წანია იბრძვის პროლეტარიატი რვა საათის სამუშაო დღის შემოღებისათვის, მაგრამ დღემ-

დე ეს ბრძოლა უნაყოფო დარჩა. „შრომის გაერთებულ კონფედერაციის“ აზრით — ეს სინდიკალისტების ორგანიზაციაა + ეს მოხდა იმიტომ, რომ დღემდე მუშები სხვებს, დეპუტატებს, ავალებდნენ ამ რეფორმის განხორციელებას. დეპუტატები ლამაზ სიტყვებს ხარჯავდნენ, საქმე კი წინ არ მიტიოდა. ეხლა მუშებმა თვითონ მოინდომეს საქმის გაძლოლა. დეპუტატებს აღარ ავალებენ, საპარლამენტო აგიტაციას აღარ მართავენ. იმათ პირდაპირ კაპიტალისტებთან სურთ საქმის დაჭრა და ამ კაპიტალისტებს გამოუცხადეს, რომ რვა საათის მეტს არ იმუშავებენ. ამ საქმის მოსაწყობად 1904 წელს ქალაქ ბურუში „კონფედერაციის“ კონგრესი მოხდა. წინდაწინვე არჩეულმა კომისიამ (15 კაცი) კონგრესს შემდეგი მოსაზრებანი წარუდგინა: „რაიც შეეხება იმას, თუ რა საშუალებით შეიძლება 8 საათიან სამუშაო დღის განხორციელება, ჩვენს კომისიაში ორმა მიმართულებამ იჩინა თავი: ერთი მიმართულება ითხოვს, რომ შემუშავებულ იქმნას კანონის პროეკტი, რომელსაც „კონფედერაციის“ კომიტეტი გადასცემს მთავრობას. ამის გარდა ითხოვენ, რომ შემუშავებულ იქმნას პეტიცია, გამართულ იქმნას სახალხო კრებები და მთავრობას დავუმტკიცოთ, რომ მუშა ხალხის უმეტესობა ამ რეფორმის მსურველი არის. მეორე მიმართულება იმ აზრის არის, რომ მთავრობას არ მივმართოთ და რომ თვითონ მუშა-ხალხმა ძალა დაატანოს თავის მოწინააღმდეგეს და ამ ბრძოლაში ყოველივე მისთვის ხელმისაწვდომ საშუალებას მიმართოს. სამის გარდა, კომისიის ყველა წევრი, ამ უკანასკნელ მიმართულებას მიემხრო. კომისია აცხადებს, რომ წარსული შეცდომებიც საქმარისია; დრო არის, ძველ პლატონურ საქმიანობის

მაგივრად დავიწყოთ ნამდვილი, გაბედული საქმიანობა ისე, რომ ჩვენი მოთხოვნილებანი განვახორციელოთ.

„მართლაც, 1889 წლის აქეთ, ყოველ წლობით პეტიციებს აღგენენ 8 საათიან დღის სათხოვნელად, ყოველ წლობით მუშათა წარმომადგენელნი მუშათა მოთხოვნილების სის აძლევენ მთავრობას, ყოველ წლობით I მაისის პლატონურ მანიფესტაციებს მართავენ, მაგრამ არც ერთხელ არ იქნა მიღებული მხედველობაში ეს პეტიციები და ამ მოთხოვნილებასაც ყურადღებას არავინ აქცევდა. ამ საქმეში გამოცდილება აღარ გვაკლია „სამუშაოს აღმოჩენის ბიუროების“ მოსპობის შემდეგ.. სხვა და სხვა დაწესებულება, რომელთაც მაგ ბიუროების მოსპობა პქონდათ სახეში, პეტიციებს სწერდნენ მთავრობასთან წარსადგენად და მთავრობაც მათ წარმომადგენელებს მეგობრულად იღებდა და პპირდებოდა: „თქვენის თხოვნის დაკმაყოფილებას გულწრფელად შევუდგებიო.“

„ამ ბიუროების მოსპობის საქმე ხშირად პარლამენტის და სენატის წინაშეც ყაფილა წარდგენილი. სესიის გახსნის წინ მანიფესტაციები იმართებოდა; იწერებოდა პეტიციები იმის დასამტკიცებლად, რომ თითქმის მთელი მუშათა კლასი ამ რეფორმის შემოღების მსურველი არის. მიუხედავათ ამისა, მთავრობამ უყურადღებოთ დასტოას პროექტი, რომელსაც აზრად პქონდა ამ დაწესებულების მოსპობა.... მხოლოდ მაშინ, როდესაც მუშებმა თვითონ დაიწყეს მოქმედება, ეს დაწესებულება მოისპო.... ყოველ დღე ბიუროების მეპატრონეთ ძალას ატანდნენ, მათ მაღაზიებს სტეხავდნენ. ბევრგან მუშებს პოლიციასთან შეტაკება მოუხდათ. პარიზი ისეთ მდგომარეობაში იყო, გეგონებოდათ ომიანობა დაიწყოვო,

და ამ მოძრაობის დასამშვიდებლად პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის ძალით ქალაქის გამგეობებს ნება მიეცათ ეს ბიუროები მოესპონთ.

„მაში ის რეფორმა, რომელიც ასე ენატრებოდა მუშა ხალხს, თვით მუშების გაბედულ მოქმედებით იქნა. შემო-დებული.

„აგრეთვე უნდა მოვიქცეთ რვა საათიან სამუშაო დღის განსახორციელებლად. ამ უკანასკნელ რეფორმისთვის დაწყებულ მოძრაობას მეტი მნიშვნელობა ექნება, რადგანაც მასში მიიღებს მონაწილეობას მუშათა მთელი კლასიო.“

ამ გვარი იყო კომისიის წინადადება, ამ გვარ ტაკტიკას ადგია დღეს საფრანგეთის პროლეტარიატის დიდი უმრავლესობა. ამ ტაკტიკის უპირატესობის აღიარებაში პარლამენტალურ მოქმედების გაკოტრება გამოსჭრებს და აქედან წარმოსდგება სრულიად ახალი ხანა მუშათა მოძრაობაში.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ მუშათა კანონმდებლობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონმდებლობის პირდაპირი დანიშნულებაა სარევოლუციო ენერგიის შესუსტება და შემცირება. ხოლო კანონმდებლობის მავნებლობა უფროვრცელია და საშიშარი. თუ მუშა ხალხს საკმარისი ძალისაც არა აქვს მექარხნეების ასაღმავად, კანონი ხშირად ცარიელ სიტყვად რჩება. მოვაგონოთ თუნდა მილიერან - კოლიარის ცნობილი კანონი (საფრანგეთში), რომელსაც მცირე წლოვანთა და ქალთა მფარველობა ქონდა სახეში. ამ კანონის ძალით 1904 წლიდან მცირე წლოვან ქალთა სამუშაო დდე 10 საათს არ უნდა ვაღასცილებოდა. გამოქვეყნდა თუ არა

ეს კანონი, მექარხნეებმა შემდეგი ხერხი იხმარეს. ზოგი-
ერთ ქარხნიდან დაითხოვეს მცირე-წლოვანი მუშები
(ვინც 18 წლ. ნაკლები იყო) და დათხოვნილების სა-
მუშაო სრულ-წლოვან დანარჩენ მუშებს გადასცეს. სხვა
ქარხნებში, დაუკლეს თუ არა სამუშაო დღე, იმ წამსვე
სამუშაო ქირაც დასწიეს და შინ გასაკეთებლად დაური-
გეს სამუშაო, ასე რომ თუ ქალი წინად 10 — 12 სა-
ათს მუშაობდა, ეხლა იძულებული გახდა 14 — 15 სა-
ათი ემუშავნა. (ქალების შინ მუშაობის სისტემას ტყუი-
ლად კი არ ეძახიან „ოფლის გამოწურვის“ მუშაო-
ბის სიმტემას (switcning system). ამ რიგად, კანონმა,
რომელსაც მუშაობის ვითომდა კეთილ-დღეობა ქონდა
სახეში, არამც თუ არ შეჰმატა არაფერი ამ კეთილ-
დღეობას, პირიქით, მავნებელიც გახდა მუშებისათვის.

ეგეც რომ არ იყოს, დემოკრატიულ კანონთა რიც-
ხეში ითვლება, მაგალითად, კანონი „სამედიატორო სა-
სამართლოების“ შესახებ შრომის და კაპიტალ შორის
ჩამოვარდნილ უთანხმოების მოსაწესრიგებლად... დააკვი-
რდით ამ სასამართლოების მოქმედების ხასიათს. იქ, სა-
დაც არსებობენ ამ გვარი სასამართლოები, მუშების და
კაპიტალისტების წარმომადგენლებისაგან შემდგარნი, გა-
ფიცვებს დიდი განსაკუდელი მოელის ხოლმე. მართლაც
რა აზრი აქვს გაფიცვას, — თუ კი სადაც საქმეს მედია-
ტორები გადადასწყვეტენ? მედიატორებს კი არ ძალუდო
შრომის და კაპიტალ შორის ატეხილ დავის ძირიანად
გადაწყვეტა. მათ შეუძლიანთ მხოლოდ დროებით შოა-
რიგონ მოდავენი, მორიგება კი, როგორც ზემოდ განვმარ-
ტეთ, სასარგებლოა კაპიტალის ზრდისათვის და მავნებე-
ლია სარევოლუციო ენერგიის განვითარებისათვის.

დიდი ნაწილი საფრანგეთის პროლეტარიატისა დღეს
სწორედ ამ აზრს დაადგა. რაյი „ლეგალურ“ მოქმედე-
ბის, „კლასთა თანამშრომლობის“, „შრომის და კაპიტა-
ლის მორიგების“ მავნებლობა და სუსტი მხარე მისთვის
გამოაშკარავდა, ბრძოლის სხვა საშუალებას მიმართა.
ზემოდ აღვნიშნეთ, რომ საფრანგეთის პროლეტარიატი
საყოველთაო გაფიცვისათვის ემზადება რვა საათის დასა-
პყრობად. და უნდა ვსთქვათ, რომ ამავე მიზნის განსა-
ხორციელებლად ნაწილებრივი გაფიცვები იმართებოდა
საფრანგეთში ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში
და ეს გაფიცვები ხშირად კეთილად დაბოლოვე-
ბულა მუშებისათვის. ასე მაგალითად, ნავთსადგურის
მუშების (დოკერების) გაფიცვა მარსელში, — გაფიცვა,
რომელიც ექვს კვირას გაგრძელდა და რომელსაც გაც-
ხარებულად შეებრძოლნენ კაპიტალისტები და მთავრო-
ბა, მუშების სასარგებლოდ დამთავრდა. მარსელის ნავთ-
სადგურში დაწესდა ჭირის მინიმუმი და 9 საათიანი სამუ-
შაო დღე. ასევე მოხდა სეტში (ნავთსადგურია). იქ და-
წესდა 8 საათიანი სამუშაო დღე და 8 ფრანკი დღიუ-
რი ჭირა. ყოველივე ეს მუშებმა კანონის დაუკითხავად,
კაპიტალთან პირდაპირის შეებრძოლებით შეიძინეს.

კანონმდებლობის მავნებლობის ამ მოკლე ანალიზის
შედეგაც კი საკმარისად გამოირკვა ის მარტივი აზრი,
რომ თუ მუშა ხალხმა შეიგნო „კანონმდებლობის“ უსარ-
გებლობა, იგი, რასაკვირველია, პარლამენტში აღარ გაგ-
ზავნის თავის წარმომადგენლებს, ხოლო პარლამენტა-
ლურ მოქმედების ნაცვლად იგი მონახავს სხვა გვარ მოქ-
მედებას. იგი პირდაპირ შეებრძოლება კაპიტალისტებს სა-
წარმოვთ იარაღის ჩამოსართმევად. ამ საქმის განხორცი-

ელებისათვის პროლეტარიატი გაიჩენს. კლასობრივ ნია-
დაგზე აგებულ პროფესიონალურ ორგანიზაციებს და
ამ ორგანიზაციების ფარგალში თვით ამ ორგანიზაციე-
ბის საშუალებით თან-და-თან მოემზადება თავის მისის
ასრულებისათვის. ამ გვარად, ჩვენს წინ სხვა კითხვაც
იპადება: როგორ, რა საშუალებით მოხდება კაპიტალის
განსპეციალიზაცია? ამ ექსპროპრიაციას ცენტრალური დაწე-
სებულება მოახდენს, თუ იგი იქნება განხორციელებუ-
ლი დეცენტრალისტურ ორგანიზაციების მიერ? რათა,
ეს საგანიც გამოირკვეს, საჭიროა ჯერ გავარკვიოთ სხვა
სავანი, რომელიც ამ საქმესთან ჰიწროდ არის დაკავში-
რებული, საჭიროა განმარტება, თუ საითკენ მიისწრაფვის
ონამედროვე ეკონომიურ ცხოვრების განვითარების ტენ-
დენცია. ეტყობა მას თუ არა დეცენტრალიზაციის ნიშ-
ნები? ხოლო თუ ეკონომიური ცხოვრება დეცენტრა-
ლიზაციისაკენ მიისწრაფვის, აშკარაა, ექსპროპრიაციის
საქმეც დეცენტრალისტურად მოხდება, მოხდება. მუშაო
რეგანიზაციების მეოხებით და არა ცენტრალურ. პარლა-
მენტის წყალობით. მაშ დავაკვირდეთ ეკონომიურ ცხოვ-
რების ვითარებას.

თავი შესუთხ

ეკონომიური დეცენტრალიზაცია

უნდა აღვნიშნოთ, რომ პოლიტიკურ ცენტრალი-
ზმის თეორიები აღმოცენებულია ეკონომიურ ცენტრა-
ლიზმის თეორიების ნიადაგზედ. სოციალ-დემოკრატიული
ცენტრალისტური პოლიტიკო-ეკონომიური სისტემა მა-
რაჭის და ენგელის კომუნისტურ მანიფესტზეა დამყარე-

შული და ეს მანიფესტი პოლიტიკურ სტრუქტურას ეკონომიურ ცხოვრების ცენტრალიზმს უდებს საფუძვლად. მანიფესტის აზრით, თითქმის ყოველი დარგი საზოგადოების წარმოებისა სახელმწიფოს ხელში უნდა გადაუიდეს. სახელმწიფო ოკინის გზები, სახელმწიფო ბანკი, მაღნეულობის და ტყეების გამოსყიდვა სახელმწიფოს მიერ, მემამულეთა ეკსპროპრიაცია სახელმწიფოს სასარგებლოდ მინდვრების და ყანების დამუშავება. მშრომელთა ბატალიონების მიერ ერთის გეგმის მიხედვით — აი ამ გვარი ეკონომიური საფუძველი დაუდო კარლ მარქსმა თავის პოლიტიკურ მოძღვრებას და მისი მოწაფენი, ომლებმაც სავსებით მიიღეს ეს მოძღვრება, რასაკვირველია, უნდა გამხდარიყვნენ პოლიტიკურ ცენტრალიზმის მომხრეებად, რადგან თუ წარმოება ცენტრალისტურია, მართველობა და კანონმდებლობა ცენტრალისტიურივე უნდა იყოს.

მაგრამ, საბედნიეროთ, ეკონომიურ ცხოვრების ევოლუცია, აღნიშნულ ყალიბებზე არ ჩამოისხა. ამ ევოლუციის დედა-აზრი თან-და-თან გამოირკვა და შემდეგი ხასიათი მიიღო: მსოფლიო წარმოება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ერთ ხალხს აქვს მონოპოლიად გადაჭცეული; ინგლისი ხდება ცენტრად ამ წარმოებისა. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში თან-და-თან ხდება მსოფლიო წარმოების დეცენტრალიზაცია. ეკონომიურ ასპარეზზედ სხვა ხალხები გამოდიან და იბადება მრავალ-შტოიანი ეროვნული წარმოება. თვითეულ ერში იზრდება კაპიტალი და პირველ ხანში ამ ერებშიაც კაპიტალის კონცენტრაციის ძალით თავს იჩენს ეკონომიური ცენტრალიზაცია. ხოლო დგება ახალი ხანა, და

თვითეულ ერის კაპიტალიზმის კონცენტრაციასაც ძირი ეთხრება. ამ რიგად, იბადება ტენდენცია ეკონომიურ დეკენტრალიზაციისა თვითეულ ერის ფარგალში, იბადებანიადაგი. წარმოების ავტონომიურ ერთეულებში მოწყობისათვის.

ეს მოვლენა დიდ მნიშვნელოვანია. შევჩერდეთ მასზედ შეტის ყურადღებით. როგორც ვთქვით, ინგლისს ჰქონდა ალებ-მიცემობის და მრეწველობის მონოპოლია. ინგლისის ულლიდან თავს ჯერ საფრანგეთი იხსნის. ამ უამად საფრანგეთს გარედ გააქვს ინგლისის საქონლის ნახევრის ოდენა; გარდა ამისა საფრანგეთი თან-და-თან იმასა ცდილობს, რომ თვითონვე მოიხმაროს ყოველივე თავისი ნაწარმოები და ამ მხრივ შესამჩნევლად აფართოვებს შინაურ ბაზარს. გერმანია ამ 30 წლის წინად ინგლისის მუშტარი იყო, დღეს იგი მისი მეტოქეა. 1861 წელს რუსეთში და პოლონეთში 14,000 ქარხანა იყო; აწარმოებდნენ 296.000,000 მანეთის საქონელს. ოცის წლის შემდეგ ქარხნების რიცხვი 35,160 ავიდა და შემოსავლის ლირებულება გახდა 1305,000,000. მან. 1897 წელს $\frac{4}{5}$ იმ მატყლისა, რომელიც რუსეთში მოჰყავდათ, საკუთარ ქარხნებში იყო დამუშავებული და მხოლოდ ამ მატყლის $\frac{1}{5}$ გაჰქონდათ საზღვარ-გარეთ. 1872 წ. ინგლისიდან რუსეთში 169,000000 საქონელი შემოდიოდა, 1894 წ. კი მხოლოდ 68,845,000. ჩრდილოეთ ამერიკაში 50 წ. განმამავლობაში (1870—1890) სამრეწველოში მომუშავეთა რიცხვმა ერთი ორად იმატა, ხოლო მათის ნაწარმოების რიცხვმა ერთი სამად. ამგვარივე კაპიტალიზმის განვითარების პროცესს დაეტყო არაშე თუ ევროპა-ამერიკის სახელმწიფოებს, არა-მედ შორეულ აღმოსავლეთსაც — იაპონიას, სამხრეთ-ამე-

რიკის ქვეყნებს, ბრაზილიას, არგენტინას და სხვას. ბრაზილიაში, მაგალითად, 1867 წ. 20 ქარხანა იყო მხოლოდ. 1887 წ. ქარხნების რაოდენობა აიწია 46-დე, და ამ ქარხნებში 41.000.000. მეტრ მიტკალს ამზადებდნენ. იაპონიას ნაქსოვი საქონელი 1886-88 წ. თითქმის სულ უცხოეთიდან შემოჰქონდა (შემოჰქონდათ $\frac{2}{3}$ იმისი, რაც ესაჭიროებოდათ); 9 წლის განმავლობაში ნაციონალურ ფაბრიკების ნაწარმოებმა 24 ჯერ იმატა. არა ნაკლებ საინტერესოა ინდოეთში მომხდარი ცვლილება: ინგლისს წინად ინდოეთში ჰქონდა საუკეთესო ბაზარი. ინდოეთი ჰყიდულობდა ინგლისიდან $\frac{1}{4}$ -ს ინგლისურ ბამბეულობის მთელ ნაწარმოებისას. 1860 წ. ინდოეთის ქარხნებში 23.000.000 გირვანქა ბამბას ამუშავებდნენ, 1877 წ. ოთხჯერ მეტს; 1887-88 დაიხარჯა 283.000.000 გირვ. ქარხნების რაოდენობა — 1877 წ. — 40, 1895 — 147. მუშების რიცხვი 1887 — 57.188, 1897 წ. — 146. 240 და სხვა და სხვა. (1)

ამ რიგად, ეკონომიურ დეცენტრალიზაციის პირველი საფეხური სხვა-და-სხვა ქვეყნებში კაპიტალისმის წარმოშობაა. ერთ კაპიტალისტურ ქვეყნის ნაცვლად ჩნდება მრავალი ახალი კაპიტალისტური ცენტრი. ეკონომიურ წარმოების ახალმა ერთეულებმა, რომელნიც სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა ფარგალში აღმოცენდნენ, შთანთქეს ერთ კაპიტალისტურ ქვეყნის მონპოლია. აი სწორედ ამ გვარივე პროცესი ხდება დღეს კაპიტალისტურ სახელმწიფოების ეკონომიურ ცხოვრებაშიაც. ეხლა დეცენტრა-

(1) უველა ამ ცნობას ვიღებთ კროპოფკინის წიგნიდან: Field, Factories et Workshops (რუსულად — Промышленность фабрично-заводская и земледѣлье).

ლიზაცია უნდა მოხდეს (და ზოგან ხდება კიდევაც) თვითეულ სახელმწიფოს ანუ ეკონომიურ ერთეულის ფარგალში. რამდენათაც პირველ საფეხურის დეცენტ-რალიზაციას ეროვნული ანუ სახელმწიფობრივი კაპიტალისტური ხასიათი ჰქონდა, იმდენათ ჩვენის დროის ეკონომიურ დეცენტრალიზაციას ავტონომიურ - სოციალისტური ხასიათი ექნება.

ეს უკანასკნელი პროცესი გამოწვეულია იმ საჭიროებით, რომ თვითეული რაიონი უნდა გახდეს თავის თავის მწარმოებელიც და მომხმარებელიც. მან უნდა შეჰქმნას როგორც სამრეწველო, ისე სამეურნეო ნაწარმოები. და ამ ხასიათით დეცენტრალიზაციას ხელს შეუწყობს როგორც ტეხნიკის განვითარება, ისე სოციალისტურ წარმოების საჭიროების ორგანიზაცია ადგილობრივ რაიონების მიერ. რაც შეეხება ტეხნიკის განვითარებას, დღეს უკვე შესაძლებლად სცნეს ჰიდრავლიურ (წყლის ძალის) და ელექტრონის ძალების განაწილება პატარა სახელოსნოებსა და ქარხნებში. საამხანაგო პატარა ქარხნის და სახელოსნოს მოწყობას დღეს ტეხნიკურის მხრივ დაბრკოლება აღარ უჩნდება. ხოლო სოციალისტურ წარმოების ორგანიზაცია აუცილებლივ უნდა იყოს დაფუძნებული ავტონომიურ და ფედერატიულ პრინციპები.

ჩვენ აქ სტატისტიკურ ცნობების ჩამოთვლით არ დავღალავთ მკითხველს, არ გამოვუდგებით იმის გამოანგარიშებას, თუ მსხვილ კაპიტალს და მსხვილ წარმოებას წვრილი კაპიტალი და წვრილი წარმოება რამდენად უწევს ქიშპობას; არ მოვიყვანთ ცნობებს იმის შესახებ, რომ კაპიტალის კონცეტრაცია არამც თუ სოფლის მე-

ურნეობაში, არამედ მრეწველობაშიც-კი არ გამართლდა, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მსხვილი წარმოება არის საკირო მხოლოდ განსაზღვრულ მრეწველობის დარგში; ასე, მაგალითად, მსხვილ წარმოებას ეკუთვნის სამთო მრეწველობა, თუჯის ჩამომსხმელი ქარხნები, გემების და ხომალდების ვერფები. და სხვა ამ გვარი. ეჭვს გარეშეა, გემი სადმე სოფელში ვერ გაყეთდება, მაგრამ, რაც შეეხება სხვა, შინ სახმარებელ აუარებელ საგანს, იგი სულ წვრილ მრეწველობის ნამუშავარია. ამ რიგად, წვრილი მრეწველობა პქმნის აუარებელ საგანს — ავეჯეულობას, სანოვაგეს, დანებს და სხვა და სხვა ინსტრუმენტებს, კლიტებს, აღვირებს, საბალოსნო ინსტრუმენტებს, ჰიგიენურ მოწყობილობას, საათებს, ფოტოგრაფიის აპარატებს, სათამაშოებს და სხვა. წვრილ წარმოების ხელშია აგრეთვე ტიპოგრაფიები, ლიტოგრაფიები, წიგნების საკაზმავი სახელოსნოები, თერძების, მეჩექმეების, ხელთათმანების და სხვა ამგვარი ქარხნები. ერთის სიტყვით, წვრილ წარმოებას ეკუთვნის იმ ხასიათის აუარებელ საქონლის მომზადება; რომლის ღირებულობა დამოკიდებულია ხელოვნურ დამუშავებაზედ. ხალხის გემოვნება და მოთხოვნილება იზრდება და ვითარდება. ამ გემოვნების დაგვარად უნდა იცვლებოდეს. აგრეთვე ყოველი საგანი, რომელიც კი მას ესაჭიროება. არა ერთი და ორი მსხვილი ქარხანა დაკეტილა მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინებს ახალ მოთხოვნილების დაგვარად ვერ სცვლიდნენ და ვერ აუმჯობესებდნენ.

მაგრამ სხვილ მრეწველობას მაინც დიდი ადგილი უჭირავს ჯერ-ჯერობით. ამის მიზეზი კაპიტალის ზრდაა. სხვილი კაპიტალის ხელში ბაზერია, სხვილი კაპიტალი სცდი-

ლობს იაფად იყიდოს და ძვირად გაასაღოს თავისი საქონელი, მის ხელშია აღებმიცემის საქმე და აქედან შემოსდის სხვილ წარმოებას დიდი მოგება. ასე რომ დიდი წარმოების უპირატესობა ტეხნიკურ ორგანიზაციიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ იქიდან, რომ მას საშუალება აქვს რამდენიმე წარმოების დარგი ერთ ხელში მოათავსოს და ყოველივე ის მოგება, რაც შუამავლებს მიაქვთ წარმოების შემუშავებისა და გასაღების პროცესში, თვითონვე დაინარჩუნოს.

მაგრამ ის მოგება, რომელიც სხვილ წარმოებას რჩება იქიდან, რომ მის ხელშია ხშირად მისვლა-მოსვლის საშუალება, თა-და-თან უნდა შემცირდეს, რადგან მისვლა-მოსვლის საშუალებანი იაფდებიან და მისაწდომნი ხდებიან ყველასათვის. რაც შეეხება ბაზარს, ბაზრის ცენტრების გამრავლების საჭიროებას, რაც შეეხება იმას, რომ კაპიტალი უცხო ქვეყნებში ეძებს უხვ მოგებას, ამის შესახებ უკვე აღვნიშნეთ, რომ კაპიტალს სხვა კაპიტალების ქიშპობის სალით თან-და-თან ინტერნაციონალური ხასიათი ეკარგება. 1886 — 1887 წლებში ინგლისში ეკონომიკურ კრიზისის დროს საპარლამენტო კომისია დაინიშნა ამ კრიზისის მიზეზების გამოსარკვევლად. ეს კომისია შემდეგ დასკვნამდე მივიდა — სამრეწველო ქვეყნები მყიდველებს ანუ საქონლის მომხმარებლებს ველარ პოულობენ გარედ და ამიტომ კაპიტალისტები თავიანთ კაპიტალებს ველარ ზრდიანო. ამ სიტყვებში კომისია მხოლოდ ის სთქვა, რომ მსოფლიო მრეწველობის ფარგალში ინტერნაციონალურმა კაპიტალმა მონაბოლია დაჰკარგა მრეწველობის დეცენტრალიზაციის წყალობით.

ამ რიგად თითონ კაპიტალი უთხრის ძირს თავის თავს. თან-და-თან ექარგება ინტერაციონალური ბაზარი. მასვე უნდა დაეკარგოს ნაციონალურ ბაზრის მონოპოლიაც. მრეწველობა ქსელსავით მთელ ქვეყანას მოედება და თვითეული კუთხე ამა-თუ იმ მხრისა თვითონვე შეიქნება გამკეთებელიცა და მომხმარებელიც ყველა საჭირო საგნებისა. ხალხი მხოლოდ ამ გზით დაახწევს თავს გამყვლეფავ შუამავლებს, რომელნიც ითვისებენ და ისაკუთრებენ მის ნამუშავარს.

მაგრამ ყოველივე ეს ერთი მხარეა მხოლოდ ჩვენ მიერ დაყენებულ კითხვისა. საქმე მარტო იმაში არ არის, რომ ეკონომიურ ცხოვრების ვითარება დეცენტრალიზაციისაკენ მიმდინარეობს; საქმე ის არის, რომ მშრომელმა ხალხმა ცხოვრების ამ ზვარი ვითარება გამოიყენოს თავის ინტერესების სასარგებლოდ და ეკსპროპრიაციის საქმეც დეცენტრალიზაციის ნიადაგზედ დააყენოს. მხოლოდ თვით ეკსპროპრიაცია უნდა იყოს სრული და არა ნაწილებრივი. წინააღმდეგ შემთხვევაში კაპიტალიზმი ისევ ფეხზედ იდგება და ხელს შეუშლის კომუნიზმის განხორციელებას. მაშ გადავავლოთ თვალი საწარმოვო იარაღთა სოციალიზაციის კითხვას.

თავი მეექვსე

სოციალიზაცია

სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამაში დღემდე მიწის სოციალიზაციის კითხვა იყო დაყენებული. ხოლო, რაც შეეხება საყოველთაო სოციალიზაციას, იმის შესახებ პროგრამა სდუმდა და მუშათა კითხვას ისე სწყვეტ-

და, როგორც სწყვეტენ სოციალ-დემოკრატები, მაგრამ, უნდა ვსთქვათ, რომ ამ კითხვათა გადაწყვეტაში პარტიაში ერთი აზრი არ ყოფილა: პარტიულ ლიტერატურაშიაც უკვე იყო წამოყენებული კითხვა იმის შესახებ, რომ სოციალისტურ პარტიის პროგრამაში სოციალიზმის მოთხოვნანი უნდა იყვნენ აღიარებულნი. „აი კრიტიკაში“ ვკითხულობთ — სოციალისტურ პარტიის პროგრამაში დემოკრატიულ რეჟიმის მოთხოვნანი კი არ უნდა იყოს ჩამოთვლილი, არამედ სოციალისტური პრინციპები. მართალია, ჩვენ არც წინად ვრაცხდით დემოკრატიულ ხასიათის რეფორმბეს სოციალისტურ რეფორმებად, მაგრამ სოციალისტურ ხასიათის მოთხოვნან; საპროგრამო კითხვების გარკვევის დროს კატეგორიულად და გადაჭრით არ გვქონდა წამოყენებული: ამ მხრივ; მეგობრების დახმარებით, ჩვენ ერთის ნაბიჯით წინ წავდექით... დღეს ჩვენ ვცანით ის, შეცდომა, რომელიც მოსდის სოციალისტს, როდესაც იგი „მახლობელ მიზნად“ ინტეგრალურ (სრულ) სოციალიზმის განხორციელების კი არ აყენებს, არამედ სხვა რაიმეს, რაც მიაგაფს სოციალიზმს, მხოლოდ სოციალიზმი კი არ არის: (1).

მაგრამ, სამწუხაროდ, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში ინტეგრალურ სოციალიზმის ქადაგების და განხორციელების საქმეს ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა. რომ ეს ასეა, ამის საბუთებს, სხვათა შორის, იმაშიც ვხედავთ, რომ დღეს პარტიის ერთმა ნაწილმა მიწის სოციალიზაციის კითხვასაც ბურჟუაზული და არა სოციალისტური ხასიათი მისცა. დღეს გავიგეთ, რომ მიწის

(1) „აი კრიტიკა“ გვ. 37 „საქართველოს“ გამოცემა № 1.

სოციალიზაცია სრულებითაც არ ყოფილია სოციალისტურ რევოლუციის წინამორბედი, არამედ მხოლოდ და მარტო პროგრამა - მინიმუმის განხორციელება, იმ პროგრამის განხორციელება, რომელიც ხელუხლებელ სტოკებს აწინდელ ძალმომრევ წყობილების საფუძველს — კაპიტალიზმს. პარტიულ ლიტერატურაში კი ეგ საგანი სხვანაირადაც ირკვევოდა. მიწის სოციალიზაციის შესახებ ვკითხულობთ; „კერძოობითი (частичное) მოსპობა საკუთრებისაც არ უნდა გვაღონებდეს, პირ იქით, მიწის განსაზოგადოებას აუცილებლივ მოჰყვება საწარმოვო ყველა იარაღთა განსაზოგადოება, მას მოჰყვება საზოგადო ექსპროპრიაცია კაპიტალისა და ყველა იმისა, რაც ადამიანთა დასამონავებელ იარაღად არის გამხდარი, და ამ რიგად მიწის სოციალიზაცია დასაწყისი გახდება სოციალურ-რევოლუციისა და ამიტომაც ვართ მისი მხურვალე დამცველნი.“ (1) სხვანაირად კითხვის დაყენება. შეუძლებელია, თუ არ გვინდა, რომ სოციალიზაციას ბურჟუაზული სუნი არ ასდიოდეს, თუ არ გვინდა, რომ სოციალიზაციამ ხალხს არ გაუმტყუნოს იმედები. ხომ კარგად ვიცით, რომ მიწის მფლობელობს განსაზოგადოება გლეხკაცს წელში ვერ გაშლის, რადგან გლეხი დღეს მარტო მიწის მფლობელობის უვარების ფორმისაგან არ არის დამონავებული, გლეხი შეწუხებულია მთელ თანამედროვე პირობების მიერ. საიჯარო ფასის გადახდა რომ აღარ დასჭირდეს, იგი მაინც სხვა მჩაგვრელთა ხელში რჩება. მას სჩაგრავს მექანიზმი, რომელიც ძვირად აძლევს

(1) როგორ უნდა გადასწუდეს ჩვენში მიწის მფლობელობის საქმე. გვ. 39 „საქართველოს“ გამოცემა № 4.

ყოველ გვარ საქონელს (იარაღს თუ ტანთ-საცმელს), გლეხს სჩაგრავს განუზომელი გადასახადი, რომელსაც იხდის სახელმწიფოს სასარგებლოდ, გლეხს სჩაგრავს ჯარის, პოლიციის, უანდარმების, სატუსალოების არსებობა, მათი შენახვა. იჩაგრება გლეხი მეურნეობის დაცემით, მრეწველობის აჩქარებულ განვითარებით, უცხო ქვეყნების კონკურენციით და ბევრ სხვა მიზეზებით. ზემოდ აღნიშნულ წიგნაკში ყოველივე ეს აღნიშნული იყო და რათა არავის ეჭვი არ შეპარებოდა იმის გამო, თუ როგორ ჯედა იყოს განმარტული მიწის სოციალიზაციის კითხვა, იქვე გამოწერილია რამდენიმე სიტყვა პ. კროპოტკინისა: „ჩვენ საზოგადოებაში ყოველივე ისე ვიწროდ არის ერთმანეთში დაკავშირებული, რომ ხელს ვერ ახლებთ მეურნეობის ერთ რომელსამე დარგს ისე, რომ სხვა დარგებსაც არ დაეტყოს ცვლილება. მოისპობა თუ არა კერძო საკუთრება ერთ რომელსამე დარგის ფარგალაში, იგი აუცილებლივ მოისპობა დანარჩენ დარგებშიაც“.

ამრიგად, ეჭვი აღარ არის იმის შესახებ, თუ როგორ ესმოდა პარტიის ერთ ნაწილს სოციალიზაციის კითხვა. და ლრმად ვართ დარწმუნებული, რომ სხვანაირად სოციალიზაციის განმარტება შეუძლებელია სოციალისტ-ფედერალისტისათვის. ჩვენ ხომ ყველანი შევთანხმდით იმაში, რომ დღეს სოფელში მარტო ბატონი ყმურ ნაშთების გაუქმება არ არის საკმარისი, რომ დღესვე საჭიროა ბრძოლა ბურჟუაზიულ ურთიერთობის, ბურჯუაზულ კერძო საკუთრების წინააღმდეგაც. და თუ აშაში შევთანხმდით, საკამათო აღარ უნდა გამხდარიყოს, თუ როგორ უნდა გვესმოდეს სოციალიზაცია, ბურჟუაზიულიდ, თუ სოციალისტურად. მაგრამ შეუთან-

ხმებლობა მაინც გამოაშკარავდა და ამ შეუთანხმებლობის უმთავრეს მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ პარტიამ სოციალიზაციის კითხვა ცალმხრივად დააყენა, რომ ლაპარაკი ჰქონდა მიწის სოციალიზაციის შესახებ, მრეწველობის დარგში კი, შრომის და სამრეწველო კაპიტალის ურთიერთობის ფარგალაში კი „მუშათა კანონმდებლობის“ მოთხოვნათა იქით არ მიღიოდა პარტიის აზრი. რა არის ამის მიზეზი? რატომ არის, რომ სოციალური პარტიები ვერ პბედავენ ინტეგრალურ სოციალიზაციის კითხვის წამოყენებას? ამის მიზეზი, ჩვენის აზრით, მარქსისტული „ფილოსოფიაა,“ რომელმაც ბევრი, ვითომდა მეცნიერულად დასაბუთებული, შეუფერებელი აზრი დასთესა საზოგადოებრივ წრეებში. ამ ფილოსოფიას სრულიად შეუგნებლივ აღიარებენ მართლმადიდებელ მარქსისტების მოპირდაპირენიც კი. ეს ფილოსოფია — დიალექტურ მეთოდის აღიარებაა ისტორიის განვითარების პროცესში. „ყოველი კითხვა დიალექტურად უნდა ისმოდეს, ვკითხულობთ გაზეთ „ელვაში“ (№ 14), ესე იგი ჩვენ არასდროს არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ყველაფერი იცვლება, ყველაფერი თავისი დრო და დაგიღია აქვს (კურსივი ჩვენია) და მაშასადამე, კითხვასაც პირობების შისიედებით უნდა ვაყენებდეთო“. აი, ბატონებო, თანამედროვე ოპორტიუნიზმის ფილოსოფია... სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთი ნაწერიც აღიარებს ამ ფილოსოფიას და სწორედ ამ ფილოსოფიის ძალით უდირესოდ მიაჩნია დღევანდელ პირობებში სოციალიზმის განხორციელება...

ყოველი განვითარება დიალექტურ პროცესის მიხედვით ხდება. აი, მაგალითად, პირველყოფილი კომუ-

ნიზმი — ტეზაა, კერძოსა კუთრება — (ტეზისის უარყოფაა) ან ტიტეზაა, მომავალი კომუნიზმი — სინტეზია, ანუ უარყოფის უარყოფაა. ან კიდევ, ვსოდეთ, ტეზისი — კაპიტალისტური წესწყობილებაა, ანტიტეზისის მოვლენა ომშესაძლებელი გახდეს, საჭიროა უკიდურეს წერტილამდე კაპიტალიზმის განვითარება და როდესაც იგი მიაღწევს უკიდურეს განვითარების წერტილს, მაშინ კაპიტალიზმი თავის თავად წარმოშობს ანტიტეზისს, თავის უარყოფას, ე. ი. სოციალიზმსო. ვინც ამ პროცესს შეიგნებს, ხელი უნდა შეუწყოს მას და დააჩქაროს იგი. დღეს რუსეთში, მაგალითად, დიალექტურ მეთოდის მიხედვით საჭიროა ბურჟუაზულ ურთიერთობის დამყარება, კლასთა ბრძოლის განვითარება და სოციალ-დემოკრატებიც სწორედ ამ საქმეს ემსახურებიან. იმათი ჩამონაკრების თეორია ფეოდალურ ნაშთების წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ გლეხი „ჩამონაკრებს“ არ სჯერდება, მას მთელი მიწის წართმევა სწადია, და აი სოციალ-დემოკრატებიც პქადაგობენ დღეს, ერთნი, მიწის გაყოფას, მეორენი მიწის მუნიციპალიზაციას. ხოლო პირველნიც, და მეორენიც ერთნაირ მიზანს ემსახურებიან — ბურჟუაზულ წყობილების დამყარების საქმეს. „ელვაში“ (14) ვკითხულობთ: „აგრძარულ პროგრამის პრინციპი — ბატონყმურ ნაშთების მოსპობა და კლასთა ბრძოლის თავისუფალი განვითარება — შეუცვლელად დაჩქნილა, შეცვალა შხოლოდ საშუალებანი ამ პრინციპის განხორციელებისათ“. რა უფრო უმჯობესია ბატონყმურ ნაშთების მოსასპობად და კლასთა ბრძოლის განსავითარებლად, მუნიციპალიზაცია თუ რიწების დაყოფა? აი რა გვარად აყენებენ კითხვას დიალექტიკის მიმდევარნი. რა-

კი გადაწყვიტეს, რომ „დიალეკტიკა“ მოითხოვს კაპიტალიზმის უკიდურეს წერტილამდე განვითარებას, ძარცვა-გლეჯის რეჟიმის დამყარებას, ოეორიებიც შესაფერი შესთხვეს — ჯერ ჩამონაჭრების თეორია, ეხლა მიწის გაყოფის და მუნციპალიზაციის თეორია.

„მიწის გაყოფა“ ან კიდევ „მუნციპალიზაცია“ მოამზადებს ნიადაგს კლასთა ბრძოლის განვითარებისათვის. ბურჟუაზული წყობილება წარმოშობავს კაპიტალის კონცენტრაციას და გლეხთა პროლეტარიზაციას. გაპროლეტარებული გლეხი შეუერთდება ქალაქის პროლეტარიებს. გაერთიანებული ძალა პროლეტარიატისა დაიპყრობს ხელში მართვა-გამგეობის პოლიტიკურ ძალას და ამ ძალის საშუალებით დაამყარებს და განახორციელებს სოციალიზმს. ამ ხანაში დიალეკტიკის პროცესსაც მოვლოლი ექნება ორი ეტაპი (ტეზისი და ანტიტეზისი) და მესამე ეტაპში ჩასდგამს ფეხს.

ეს გახლავთ თეორია. ცხოვრება კი სულ სხვა გზით მიმდინარეობს. ცხოვრებამ აღმოაჩნა, რომ არც კაპიტალის კონცენტრაციას, არც გლეხთა პროლეტარიზაციას აბსოლუტური ხასიათი არ აქვს და რომ სოციალიზმის განხორციელება არ არის დამოკიდებული იმ ობიექტიურ პირობებზე; რომელნიც ვითომდა დიალეკტურ პროცესს მსვლელობით უნდა შემუშავდნენ. დღეს, მაგალითად, კაპიტალიზმი უკიდურესს წერტილამდე არ არის განვითარებული, მიუხედავათ ამისა, შესაძლებელია სოციალიზმის განხორციელება, ე. ი. შესაძლებელია, რომ კერძო საკუთრების მოსპობისათანავე დღესვე ჩაეყაროს საფუძველი საზოგადოებრივ წარმოებას.

საზოგადოებრივი წარმოება და კმაყოფილებს ყოველ აღა-
მიანის მოთხოვნილებას ყველას ექნება შნოიანი ბინა,
რიგიანი ტანთსაცმელი და ჭამა-სმა; ყველას დარჩება
თავისუფალი დრო მაღალ მისწრაფებათა დაკმაყოფილე-
ბისათვისაც. საჭიროა მხოლოდ საზოგადოებრივ წყო-
ბილების გადაკეთება, საჭიროა ყოველმა ჯანსაღმა აღა-
მიანმა მიიღოს მონაწილეობა საზოგადოებრივ მუშაობა-
ში. არც ტეხნიკის, არც რაიმე სხვა მხრიდან დაბრკო-
ლება არ აღმოუჩნდება კომუნიზმის განხორციელებას.
ანარქიულ ლიტერატურაში საყურადღებო სტატისტი-
კური ცნობებია შეგროვილი ამ კითხვის შეახებ. სახ-
ლისა და საღვამის აშენებისთვის თითო ღვახმა წელი-
წადში რომ 40 ხუთ საათიანი სამუშაო დღე დახარჯოს,
ხოლო ტანისამოსის გაკეთებისათვის 50 ხუთ საათიანი
სამუშაო დღე, ყველას ექნება ბინაც, ტანისამოსიც.
გამოანგარიშებულია, რომ საფრანგეთის თუ დეპარტა-
მენტის მცხოვრებთა ($3\frac{1}{2}$ მილიონი სული) გამოსაკვე-
ბად საჭიროა შემდეგი შრომა: პურის მოსაყვანად საჭი-
როა 15 მილიონი სამუშაო დღე, ხორცისათვის 5 მილი-
ონი, სულ 20 მილიონი სამუშაო დღე, პური და ხორ-
ცი საკმაოდ რომ $3\frac{1}{2}$ მილ. სულს. თვითე
ულ აღამიანზედ ძალიან მცირე სამუშაო დღე მოდის.
 $3\frac{1}{2}$ მილიონ მცხოვრებთა შორის დახლოვებით იქნება
1,200.000 მოზარდი ვაჟი და ქალი, რომელთაც შეუძ-
ლიანთ მუშაობა, მაშასადამე წელიწადში თითო აღამიან-
ზე 17 სამუშაო დღე მოდის. მივუმატოთ 3 მილიონი
სამუშაო დღე რძის კეთებისთვის და სხვა მუშაობისათვის,
კიდევ ამდენიც რომ მივუმატოთ, გამოდის 25 სამუშაო

დღე. ამ მცირე შრომის წყალობით კი ყველას ექნება. პური, ხორცი და რძე. (1).

მაშასადამე, ტეხნიკის მხრივ დაბრკოლება არ არის სოციალიზმის განხორციელებისათვის. საჭიროა მხოლოდ საზოგადოებრივ წყობილების სხვა ნიადაგზედ აშენება, საჭიროა, რომ ყველამ იშრომოს და საწარმოვო იარაღი საზოგადო კუთვნილებად გადაიქცეს, და ყველა ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო დემოკრატულ ან სოციალისტურ რესპუბლიკის დამყარება, რადგან რესპუბლიკას არავითარი ლოდიკური კავშირი არა აქვს კომუნისტურ წყობილობასთან და წარმოებასთან.

ამ გვარად, ჩვენი ღონე და ენერგია ამ საქმის განხორციელებას უნდა მოხმარდეს, უნდა წამოვაყენოთ კითხვა საწარმოვო უველა იარაღთა ექსპროპრიაციისა და ამ მხრივ ჩვენი პროგრამა უნდა იყოს მთლიანი. ჩვენთვის არ უნდა არსებობდეს ცალკე აგრარული პროგრამა, ცალკე მუშათა პროგრამა. სოფელშიაც, ქალაქშიაც ჩვენ ერთსა და იმავეს ვესწრაფებით. მხოლოდ ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ექსპროპრიაციის საქმე უსათუოდ ჯერ ქალაქიდან დავიწყოთ და მერე სოფელზედ გადავიდეთ. ჩვენ ვიწყებთ ამ საქმეს იქ, საცა მეტი ხელშემწყობი პირობებია. დასავლეთ ევროპაში ექსპროპრიაციის საქმე შეძლება ქალაქმა იკისროს, რადგან იქ მრეწველობა ფრიად განვითარებულია, დიდალი რიცხვია პროლეტარებისათვის მოყრილი სამრეწველო ცენტრებში, პროლეტარიატის თვითშემეცნებაც უკიდურესს წერტილამდეა განვი-

(1) რა საწარმოვო ძალა აქვს აღაშიანს — ივერია, სექტემბერი,

თარებული. ჩვენში-კი ამ გვარივე მოძრაობა შეიძლება სოფლიდან იყოს დაწყებული. მხოლოდ სოფელში დაიწყება ამ გვარი მოძრაობა, თუ ქალაქში, მას უნდა მოჰყვეს ერთი და იგივე შედეგი, ესე იგი, ყველგან საწარმოვო იარაღი საზოგადოების კუთვნილებად უნდა გახდეს.

მაგრამ უნდა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ საქმის განხორციელებას ბევრი დაბრკოლება აღმოუჩნდება. ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ცალმხრივი სოციალიზაცია (მიწის სოციალიზაცია) ხალხს იმედებს გაუმტყუვნებს. ეხლა კი უნდა შევნიშნოთ, რომ არც სრული სოციალიზაცია გამოიღებს სასურველს ნაყოფს, მარტო მფლობელობის ფორმა რომ იქნეს გასაზოგადოებული. აი, ვსთქვათ, სოფელში: ყველა გლეხი ხომ ერთის შეძლების პატრონი არ არის; ერთს საქონელი ჰყავს და ფულიცა აქვს, მეორეს კი არც ერთი, არც მეორე. წარმოიდგინეთ ეხლა, რომ მიწა სოფელში გასაზოგადოებულია, ამ შემთხვევაშიაც-კი ლარიბი ლარიბადვე დარჩება, რადგან სახსარი არ ექნება გაფართოებულ მამულის დამუშავებისა. დიახ, სწორედ რომ ასე მოხდება, თუ სოფელში დამყარდება მარტო მიწის სოციალიზაცია და თუ ამავე დროს წარმოება და მოხმარება არ გასაზოგადოვდა.

მოკლედ, ჩვენ ვამბობთ, სოციალიზაცია მხოლოდ მაშინ მოიტანს ნაყოფს, როდესაც საზოგადო კუთვნილებად გახდება არა მარტო საწარმოვო იარაღი, არამედ ის ქონებაც, რომელიც უკუღმართ სოციალურ წყობილების წყალობით კერძო პირთა ხელშია შეგროვილი. ამის შესახებ კროპოტკინი ამბობს: მწერლობაში ბევრი ცდილობდა დაემყარებინა განსხვავება იმ კაპიტალ შორის, რომელიც წარმოებისათვის არის საჭირო და იმ სიმდიდ-

რის შორის, რომელიც ცხოვრების საჭიროებათა დაკმაყოფილებას უნდება; ერთის მხრივ, სახეში აქვთ მაშინები, ქარხნები, დაუმუშავებული მასალა, გზები და მიწა, მეორეს მხრივ-კი, სახეში აქვთ სადგომი სახლები, მანუფაქტურის საქონელი, ტანასამოსი და სურსათ-სანოვაგე. ამ მწერალთა აზრით პირველი რიგი საზოგადო კუთვნილებად უნდა გადაიქცეს, მეორე-კი კერძო კუთვნილებად დარჩება. მაგრამ, ამ გვარი განსხვავება ფანტასტიურია და ნამდვილად არც-კი არსებობს. სახლი, რომელშიაც ვცხოვრობთ, ნახშირი და გაზი, რომელსაც ვწვავთ, საჭმელი, რომლითაც ვიკვებებით, ტანისამოსი, რომლითაც ვიმოსებით სიცივის ასატანად, წიგნი, რომელსაც ვკითხულობთ გასანათლებლად და თვით გასართობი, რომლითაც ვერთობით—ყოველივე ეს აღამიანის არსებობისათვის იგეთივე დიდ მნიშვნელოვანია, ყოველივე ეს იმგვარადვი საჭირო არის წარმოებისთვის და აღამიანის განვითარებისათვის, რამდენადაც საჭიროა მაშინა, მანუფაქტურა, დაუმუშავებული მასალა და წარმოების სხვა აგენტები. თუ ჩვენ ამ ფარგალში სიმდიდრის კერძო საკუთრებას ხელშეხლებლად დავტოვებთ, იმით ჩვენ ხელს შევუწყობთ უთანასწორობას, ძალადობას და კერძო ექსპროპრიაციის ნაყოფს უსარგებლოდ გავხდითო (1).

ამ აზრის განსამარტავად მივუბრუნდეთ იმავ სოფელს. უკვე აღვნიშნეთ, რომ დარიბი გლეხი მიწის სოციალიზაციის წყალობით წელში ვერ გაიმართება, თუ ამავე დროს ქონების სოციალიზაცია არ მოხდა. მაგრამ, ვსოდეთ, სოფელში განხორციელდა ერთიც და მეორეც. გარემოება

არც ამითი გამოკეთდება. საქმე ის არის, რომ სოფლის მამულების დიდი ნაწილი დღეს ბანკების და ვაჭრების ხელშია დაგირავებული. ეხლანდელი მემამულე ფაქტიურად კრედიტორის მოურავია: მამულის შემოსავალს ბანკს აძლევს. ბანკია მიწის პატრონი. მაშასადამე, შეეხებით თუ არა მოწას, ამავ დროს ანგარიში უნდა გაუწიოთ ბანკსაც ბანკს-კი და მის ინტერესებს იცავს ბურჟუაზია და სახელმწიფო. ამ რიგად ახლებთ თუ არა ხელს დაგირავებულს მამულს, ბურჟუაზიასთან და სახელმწიფოსთან საბრძოლველად უნდა მზად იყოთ. ეს ხომ სოციალური რევოლუცია, გვეტყვიან. დიახ, სოციალური რევოლუციაა და ჩვენც სწორეთ ამ რევოლუციის გამოწვევა გვწადია.

ასე და ამ რიგად არის დაკავშირებული ერთი მოვლენა მეორესთან და ამ რთულ საქმის გადაწყვეტის დროს სხვა-და-სხვა მოვლენათა ამ გვარი კავშირი არ უნდა გვავიწყდებოდეს.

მაშ სოციალური რევოლუცია აუცილებელია, აუცილებელია ძირითადი გარდაქმნა ძალმომრეობაზედ აგებულ წყობილებისა. ვნახოთ ახლა, რანაირად ემზადება ამ საქმისთვის მებრძოლი მოწინავე პროლეტარიატი.

თავი მე შეიძე

სარევოლუციო ზინდიკატორი

კაპიტალისტურ წესწყობილებას ებრძვის დღეს პროლეტარიატი. პროლეტარიატის მოქმედება ჯერხნობით გაერთიანებული არ არის. ერთის მხრივ პროლეტარიატი მოქმედობს მარქსისტების ხელმძღვანელობით. აქ პროლეტარიატი სოციალ-დემოკრატულ პოლიტიკურ პარტიებში

შედის. ამ პოლიტიკურ პარტიების დედა აზრი ამნაირია: სოციალიზმი უნდა განხორციელდეს სახელმწიფო მექანიზ- მის საშუალებით; პირველ, მოსამზადებელ ხანაში სოცი- ალ-დემოკრატია ცდილობს სოციალიზმის დამყარებას ნია- დაგი მოუმზადოს „მუშათა კანონმდებლობის“ განმტკი- ცებით. მუშათა კანონმდებლობის საჭიროება ავალებს სოც-დ-ებს მონაწილეობა მიიღონ საპარლამენტო ბრძო- ლაში. ს.-დ-ები ცდილობენ საყოველიაო საარჩევნო უფ- ლების მეოხებით მცხოვრებთა უმრავლესობის თავისკენ მიმხრობას. „უმრავლესობის დაპყრობა“ მართვა-გამგე- ბის ძალის დაპყრობას შეუწყობს ხელს. სოციალ-დე- მოკრატიამ პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი ძალა ხე- ში უნდა ჩაიგდოს და ამ ძალას მოიხმარს სოციალიზ- მის განხორციელების საჭმელი.

ამგვარია მოქმედების ერთი მიმართულებათაგანი. მე- ორე მიმართულება, რომელმაც საფრანგეთში და ლათინ- თა სხვა ქვეყნებში მოიკიდა ფესვი, სულ სხვა გზით მიდის. პროლეტარიატი შეადგენს კორპორაციებს, ამ- ხანაგობებს. ამხანაგობაში ერთის ხელობის მუშები ჯგუ- ფდებიან. ამ ამხანაგობებს ანუ სინდიკატებს სამკვდრო- სასიცოცხლო ბრძოლა აქვთ გამართული კოპიტალის- ტებთან. ბრძოლა ორის ხასიათისაა. ერთის მხრივ, სინდი- კალისტები ცდილობენ მუდმივ შეტაკების საშუალებით გააუმჯობესონ თავიანთი ეხლანდელი მდგომარეობა. ეს არის კაპიტალის კერძოობითის ეკსპროპრიაციის პერიო- დი. მეორეს მხრივ, სინდიკალისტები ეშზადებიან დიდ ბრძოლისათვის. სწადიათ უშუამდგომლოდ, პირდაპირის მოქმედებით, ჩამოართვან კაპიტალისტებს საწარმოვო ია- რალი, ქარხნები, ფაბრიკები და სხვა. ამ საჭმის განხორ-

ციელებისათვის საშუალება — საერთო გაფიცვაა. საერთო გაფიცვა კაპიტალის სრულს ექსპროპრიაციას მოახდენს. სინდიკალისტები უარ ჰყოფენ აგრეთვე ლეგალურ ბრძოლას, მართვა-გამგეობის დაპყრობის პრინციპს.

აი ორი მიმართულება ერთი ერთმანეთისაგან მკაცრად განსაზღვრული. ჩვენც ამ ორ მიმართულებაში ან ერთი ან მეორე უნდა ამოვირჩიოთ. შუაში დგომა კი შეუფერებელი საქმეა.

ზემოდ აღნიშნული ორი მიმართულება პროლეტარიატის მოქმედებისა ახალი მოვლენა არ არის. ამ ორსავე მიმართულებას „ინტერნაციონალში“ (1868 წ.) პქონდა ჩაყრილი საძირკველი. „ინტერნაციონალი“ ორ ბანაკად გაიყო — ერთის მხრივ ცენტრალისტები იყვნენ, მეორეს მხრივ ავტონომისტები და ფედერალისტები. ამ ორ მიმართულებათა ბრძოლის ისტორიის მოთხრობას ეხლა არ შევუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ინტერნაციონალის შეურყეველ და დაუმახინჯებელ აზრის გამომსახველად გამოვიდნენ ფედერალისტები, ანარქისტები და დღევანდელ დროში კი სარევოლუციო სინდიკალისტები. უენევის კონგრესზე „ინტერნაციონალმა“ დაადგინა: „ეკონომიური დამონება მუშა ხალხისა მათ მიერ, უის ხელშიაც სამუშაო იარაღია, ე. ი. ცხოვრების წყარო, მთავარი მიზეზია მუშა ხალხის პოლიტიკურ, ზნეობრივ და მატერიალურ დამონებისა. მაშასადამე, მშრომელ ხალხის ეკონომიური განთავისუფლება არის მთავარი მიზანი, რომელსაც პოლიტიკური მოძრაობა უნდა ექვემდებარებოდეს ისე, როგორც საშუალება ექვემდებარება მიზანს“. გარდა ამისა „ინტერნაციონალმა“ აღიარა შემდეგი ფრანგულა: „გან-

თავისუფლება მუშა ხალხისა თვით მუშა ხალხის, საქმე უნდა იყოსო“.

და აი დღევანდელი სინდიკალიზმი არის პრაკტიკული განხორციელება და ლოლიკური დასკვნა ამ ფორმულებისა. „შრომის პარტია“, ანუ „შრომის კონფედერაცია“ (ასე ეძახიან სინდიკალისტების ორგანიზაციას) ცხოვრებაში ანხორციელებს დღეს „ინტერნაციონალის“ ნაანდერძევ პრინციპებს. 1895 წ., როდესაც „შრომის კონფედერაციის“ სტატუტები შემუშავდა, პირველ მუხლშივე იყო შეტანილი შემდეგი აზრი: „ყველანი, ვინც „კონფედრაციის“ წრეში შემოდიან, პოლიტიკურ სკოლათა გარედ უნდა იდგნენო“ ეს მუხლი „ინტერნაციონალის“ ზემოდ მოყვანილ დადგენილების განმტკიცებაა. რაც შეეხება „ინტერნაციონალის“ შეორე ფორმულას, მუშა ხალხის ავტონომიურ მოქმედების შესახებ, ამას სინდიკალისტები სავსებით ანხორციელებენ თავიანთ პრაკტიკულ მოქმედებაში.

დავაკვირდეთ სინდიკალიზმის ეკონომიურ სტრუქტურას. და ვნახოთ, რა მნიშვნელობა აქვს ამ სტრუქტურას საზოგადოების ძირითად გარდაქმნის საქმეში. სინდიკატი არის კავშირი ანუ ამხანაგობა განსაზღვრულ ხელობის მუშებისა. სინდიკატი არის მწარმოებელთა ინტერესების დაცვისათვის დაარსებული ჯგუფი. ეს ჯგუფი დაარსებულია თვითონ დაინტერესებულ მუშათა მიერ. ამ რიგად, სინდიკატი წმინდა ეკონომიური კავშირია. ამ კავშირში შედიან მწარმოებელნი, რომელნიც ერთნაირად დაჩაგრულნი არიან, რომელთაც ერთგვარი ინტერესები აქვთ. მაშასადამე, სინდიკატი არის წმიდნა კლასებრივი შეჯგუფება. ერთის ხელობის მუშები, რომელ-

ნიც სინდიკატს შეაღგენენ, ეკავშირებიან სხვა გვარ ხელობის მუშათა კავშირებს და ყველანი ერთად შეაღგენენ აღგილობრივ ფედერაციას, რომლის გამომსახველ ორგანოდ „შრომის ბირჟა“ ხდება. შრომის ბირჟებიც ერთმანერთს უკავშირდებიან და შეაღგენენ ნაციონალურ ფედერაციას, რომლის გამომსახველ ორგანოდ ხდება „შრომის გენერალური კონფედერაცია“.

რა დამოკიდებულება აქვს თავის ამხანაგებთან იმ მუშას, რომელიც სინდიკატის ორგანიზაციაში შედის?

მუშა ხელშეკრულებას სდებს ამხანაგებთან და პირდება მათთან ერთად ყოფნას ჭირსა და ლხინში. ხოლო ამ ხელშეკრულებას ზნეობრივ ვალდებულების ხასიათი აქვს და არა ძალდატანებითი. მუშას ყოველთვის შეუძლია გავიდეს ორგანიზაციიდან და მას ამის გამო არავითარ სასჯელს და ჯარიმას არ გადაახდევინებენ, თუნდაც რომ რაიმე დანაშაულობა მიუძლოდეს სინდიკატის წინაშე. სინდიკატის საქმეების წარმოებისათვის ირჩევენ. ხოლმე საბჭოს (*Conseil syndical*). ამ საბჭოს წმინდა ადმინისტრატიული ხასიათი აქვს. არჩეული პირები ბრძნებელნი არ ხდებიან. ამ გვარ არჩევნებში მართვა-გამგეობის უფლებების დელეგაცია არ ისახება.

რა მიზნისთვის არსდება სინდიკატი? რა გვარ ინტერესების დაცვა. სურთ მუშებს და რა საშუალებას და იარაღს ხმარობენ ამ ინტერესთა დასაცავად? სინდიკატს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორგვარი მიზანი აქვს: ერთის მხრივ, იგი ზრუნავს მწარმოებელთა კორპორაციის დღიურ ჭირ-ვარამზე; თავის საკუთარის ძალ-ლონით გამუდმებულად ებრძვის კაპიტალს, ხან სამუშაო ხელფასის მომატებისათვის, ხან სამუშაო დღის შემცირებისა-

თვის, ხან ერთისა და მეორესთვისაც ერთად, ხან ჰიგიენურ პირობათა გასაუმჯობესებლად და სხვა... და რადგან ყოველ ამ გვარ გაუმჯობესობის შემოღება მუშათა ცხოვრებაში ბრძოლით და არა ლეგალურის საშუალებით კეთდება, ამიტომ ამ ხანაში სინდიკატი კაპიტალის ნაწილებრივს ეკსპროპრიაციას ანხორციელებს. ბძოლა კაპიტალის ნაწილებრივ ეკსპროპრიაციისთვის ატეხილი უმეტეს შემთხვევაში ისახება გაფიცვებსა, ბოკოცისა, საბოტაქსა (1) და სხვა ამ ხასიათის საშუალებაში.

მაგრამ სინდიკატი, როგორც ვსთქვით, ამგვარ მოქმედებით არ კმაყოფილდება. სინდიკატს მიზნადა აქვს აღამიანის დაქირავების სისტემის დარღვევა, — იმ სისტემისა, რომელიც დამყარებულია საწარმოვთ იარაღთა ზოგიერთთა მიერ მითვისებაზედ. სინდიკატი საწარმოვო იარაღთა გასაზოგადოებას ცდილობს, სურვილი აქვს დაეპატრონოს იმ სოციალურ სიმდიდრეს, რომელსაც იგი ჰქმნის, ხოლო, რომელსაც დლეს სხვა ისაკუთრებს: და დიად საქმის ასრულებისათვის სინდიკიატი დლესვე ემზადება, აგი ავარჯიშებს პროლეტარიატის ენერგიას და და აფართოვებს მის სოლიდარობას. სინდიკატი ემზადება საყოველთაო გაფიცვისათვის, რომელიც დასაწყისი იქნება სოციალურ რევოლუციისა. საყოველთაო გაფიცვისათვის დაარსებული საპროპაგანდო კომიტეტი ამბობს: „დლევანდელ პირობებში... საყოველთაო სარევოლუციო გაფიცვა არის ერთად-ერთი და ნამდვილი

(1) საბოტაჟი (sabotage) — ზარმაცი შეშაობაა. ამ გვარ მუშაობით, თუ იგი რამდენსამე ხანს გაგრძელდა, მუშები დიდ ზარალს აუენებენ მექანიზებს, რადგან ერთხაშად უკლებენ წარმეობების რაოდენობას.

იარაღი მუშა ხალხის სრულ განთავისუფლებისათვის კაპიტალის და მთავრობის ულლიდან (1). ამასვე ამბობდა ინტერნაციონალი, რომელიც აღიარებდა: „ყოველ-დღიურ ბრძოლასთან ერთად ეკსპლოატატორთა წინააღმდეგ მუშა ხალხმა თავის კორპორატიულ ორგანიზაციებშივე უნდა მოამზადოს ნიადაგი კაპიტალის ეკსპროპრიაციისათვის. ეს ექსპროპრიაცია საბოლოვოდ გაანთავისუფლებს მას და იგი განხორციელდება თვით მუშა ხალხის მიერ (2).

ამ გვარია სქემა სინდიკილიზმის ორგანიზაციისა და მოქმედებისა. ახლა ვნახოთ, რა ურთი-ერთობაა დამყარებული სინდიკატთა და პოლიტიკურ ჯგუფთა და სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა შორის. რა თვალით უყურებს სინდიკალიზმი პოლიტიკურ პარტიებს, ინტელიგენციას, კანონს, დემოკრატიას და სახელმწიფოს. სორელის საყურადღებო წიგნში სინდიკალიზმის შესახებ ვკითხულობთ: „ძეველ გრუპებს განსაკუთრებით პოლიტიკური ხასიათი ჰქონდათ, ამ გრუპების სურვილი იყო მართვა-გამგეობის უფლების დაპყრობა, ამ ჯგუფებში გამბედავი ხალხი იყო, ხოლო ამ ხალხს არავითარი შენოარა ჰქონდა თავის რჩენისა საკუთარის შრომით. ახალი გრუპები კი პროფესიონალური გრუპებია. მათი საფუძველი საფუძველია მატერიალურ ცხოვრების წარმოება და მათ ინდუსტრიის ინტერესები აქვთ სახეში. მაშასადამე, თანახმად ისტორიულ მატერიალიზმის პრინციპებისა, ეს ჯგუფები სოციალისტურ სტრუქტურის საძირკვლად გამოდგებიანო“ (3). სორელი გვითითებს მო-

(1) Commission des grèves et de la grève générale (წანასიცვალება). (2) იქვე.

(3) G. Sorel. L'avenir socialiste des syndicats გვ. 46.

მავალ საზოგადოების საფუძველზე, და ამ საფუძვლის
შესახებ ემილ პუჟე განმარტავს : „მწარმოებელთა ჯგუ-
ფი ახალ საზოგადოების უჯრედებად (კლეთი) უნდა გახდეს.
სხვა საფუძველზედ შეუძლებელია მოხდეს სოციალური
ტრანსფორმაცია... მაშასადამე, აუცილებლად საჭირო
არის, რომ მურომელი ხალხი მოემზადოს ეკონომიკურ
ტრანსფორმაციის საქმისთვის და იგი მოემზადება მხო-
ლოდ სინდიკატის ფარგალში. მხოლოდ იქ შეიძლება
შესწავლა იმ პირობებისა, თუ რანაირად გააძევებენ კაპი-
ტალისტებს, რა გვარად აწარმოებენ საქმეს და რანაი-
რად გაანაწილებენ შრომის ნაყოფს კომუნისტურ ნია-
დაგზედ... სამინისტროები, აღმინისტრაციები ყოველივე
ეს უარყოფილი იქნება. „ცხოვრება ამ დაწესებულებათა
გარედ დარჩება, რადგან ახალი ორგანიზმოები იკისრე-
ბენ სოციალურ შეთანხმების ფუნქციებს... ეს ორგანიზ-
მოები კორპორატიული ფედერაციები იქნებიან, რო-
მელნიც იკისრებენ წარმოების რეგულიარიზაციას და
რომელნიც დააკმაყოფილებენ ხალხის მოთხოვნილებათ...
„შრომის ბირჟა“ მუნიციპალიტეტის ადგილს დაიკერს
და გახდება კომუნისტურ კერად... ამ ახალ სოციალის-
ტურ აგრეგაციის დამახასიერებელ თვისებად ის იქნე-
ბა, რომ იგი განახორციელებს კაპიტალისტურ ნანგრე-
ვებზედ აღორძინებულ ეკონომიკურ დეცენტრალიზაციას,
განახორციელებს აგრეთვე დეცენტრალიზაციას სახელ-
მწიფოებრივს და მუნიციპალურს (1).

აი ახალ სოციალურ ფილოსოფიის პრინციპი. იგი
ძირითადად განსხვავდაბა კოლექტივიზმის ანუ სახელმწი-

ფოებრივ სოციალიზმის ფილოსოფიისაგან. მომავალ საზოგადოების ასაშენებლად სრულიად ახალი ელემენტებია აღიარებული. სახელმწიფოებრივი კოლექტივიზმი მომავალ საზოგადოებაში ოთხ სხვადასხვა ელემენტს ხედავს — ინდივიდუუმს, სინდიკატს, კომუნას და სახელმწიფოს. ახალი სისტემა ორ უკანასკნელ ელემენტს უარ-ჟოფს, სტოვებს მხოლოდ პირველ ორს — ინდივიდუუმს და სინდიკატს. სახელმწიფო უარ-ჟოფილია, ოფიციალურ ძალმომრებითი და ცენტრალისტური ორგანიზმი. ოჯი წარმოებას დეცენტრალისტური ხასიათი მიეცემა, ამ წარმოების რეგულიატორად ცენტრალისტური ორგანო ვეღარ იქნება. კომუნაც დემოკრატიული მცნებაა. კომუნა არ არის გამომსახველი მწარმოებელთა ინტერესებისა; კომუნაში პირ-იქით ეჯახებიან ერთმანეთს სხვადასხვა ინტერესების ჯგუფები. ამიტომ კომუნის დეცენტრალიზაციაც არის საჭირო სოციალისტურ წყობილებაში. ამ დეცენტრალიზაციის ლოდიუსური საზღვარი მწარმოებელთა ჯგუფია, სინდიკიტია.

მაშ რა ადგილი უნდა ეჭიროს ამ მოძრაობაში პოლიტიკურ პარტიებს, ინტელიგენტურ პროლეტარიატს? სინდიკალიზმი ამ მხრივ ულმობელია. ჯერ კი-დევ „ინტერნაციონალის“ ერთ ერთ ცირკულიარში (21 ივლ. 1873) მარკსი აღიარებდა: „ადვოკატები, უსაქმოდ დარჩენილნი, უმეცარი ექიმნი პრაქტიკას მოკლებულნი, ბილიარდზე მოთამაშე სტუდენტები, პატარა პრესის ჟურნალისტები — ყველა ესენი მუშათა ჯგუფების წინამდლოლობას ჩემულობენ და ამ რიგად სოციალიზმი მათთვის კარიერად ხდება.“ — „ძალიან მოხარული ვარ, ამბობს სორელი (აღნიშნულ წიგნში), რომ

ინტელიგენტ - პროლეტარიატის დაფასებაში ჩემი და
მარქსის აზრი ერთი და იგივეა. ამ კლასის წევრების სურ-
ვილია გენერალურ შტაბის დაარსება, იმ გვარ შტაბისა,
რომელიც ვითომდა შუამავლად უნდა გახდეს ხალხის
ინსტინქტებისა და რევოლუციონურ აზრებთა შორის.
მათ აქვთ პრეტენზია, რომ ისინი გონიეროვ კლასი
(classe pensante) შეადგენენ. ხალხი კი ზარბაზნის
ხორცია და ექსპლოატატორთა დავლაა (1). ინტელი-
გენტ - პროლეტარიატი უმეტეს შემთხვევაში პოლი-
ტიკურ პარტიებში ჯგუფდება და ამ პარტიების შუა-
მავლობით ყვავებსავით დასჩენდიან მწარმოებელ პრო-
ლეტარიატს და სულ იმის ცდაში: არიან, რომ სოცი-
ალიზმის კითხვა დემოკრატულ ნიადაგზედ გადაიტანონ
და პროლეტარიატსაც ხელი ააღებინონ წმინდა კლასურ
ორგანიზაციებზე. მაგრამ, საბედნიეროდ, — სორელი გვე-
უბნება ამასაც — „რევოლუცია მუშებისთვის სულ სხვა
არის; იგი არ არის რომელიმე პარტიის გამარჯვება. იგია
პოლიტიკურ მზრუნველობისაგან თავის დაღწევა და გან-
თავისუფლება. რევოლუცია მმართველობის დაშლაა. იგი
ორგანიზაციაა სოციალისტურ ურთიერთობისა არა-მშრო-
მელთა მმართველობის გარედ. ამიტომ საყოველთაო გა-
ფიცვა არ იქნება გაფიცვა რომელიმე პოლიტიკურ პარ-
ტიის ხელმძღვანელობით (განხორციელებული) გაყოველ-
თავებული (généralisée, генерализирована); ეს იქნება მო-
ფიქრებული აჯანყება მოწყობილ მუშათა ორგანიზაცი-
ებისა, რომელთაც იმდენი სიმწიფე ექნებათ, რომ ისინი
აღარ ისაჭიროვებენ პოლიტიკურ პარტიების ხელმძღვა-

(1) L'Avenir socialiste des syndicats წინასიცყვ. XIII.

ნელობას (იქვე, წინასიტყვაობა VII): მეორე ადგილას იგივე ავტორი ამბობს: „სინდიკალისტებს კარგად ესმით, რომ თუ მუშამ სიარული დაიწყო იმ პირთა ბრძანებლობის ქვეშ, რომელნიც საჭრომოვალ კორპორაციის გარედ დგანან, იგი თავის თავს ვერასოდეს ვერ მოუვლის და ყოველთვის გარეშე მდგომ დისციპლინას უნდა დაემორჩილოს (იგივე გვ. 23). ერთის სიტყვით, სინდიკალიზმი წარმოების ნიადაგზედ სდგას, ამავე ნიადაგზედ მოქმედობს და მომავალსაც ამავე ნიადაგზე ამყარებს.

სორელის აზრით, სოციალიზმის მიზანი ის კი არ არის, რომ თვითეულ მუშისაგან გამოიყვანოს უურნალისტი რომანისტი, ან ორატორი (1), სოციალიზმის აზრია ყველაზე წარმოების ფარგალში ჩააყენოს.“ (გვ. 83).

ხოლო უმთავრესი მიზეზი სინდიკალიზმის შეურიგებლობისა პოლიტიკურ პარტიებთან (გინდაც სოციალისტურებთან) არის სინდიკალიზმის და დემოკრატიზმის ერთ-მანეთთან შეურიგებლობა. სინდიკალიზმი არის სოციალურ მოვლენა, აღმოცენებული მწარმოებელთა ერთგულ ინტერესების ნიადაგზე; დემოკრატიზმი არც მოვლენა ჰოდი-ზიგური და ნიადაგად ინტერესთა სხვადასხვაობა უდევს. დემოკრატიზმი დამყარებულია საყოველთაო საარჩევნო უფლებაზედ, რომელიც ვითომდა საყოველთაო სურვილის ვამომხატველია, ნამდვილად კი გამოსახვაა მცხოვრებთა ერთის ნაწილის (უმრავლესობის, თუმცა ეს უმრავლესობა ხშირად უმნიშვნელო) გაბატონებისა მეორე ნილზე. დემოკრატიზმი სოციალურ მშვიდობიანობას“

(1) ბევრ ქალს ქალთა ემანსიცაცია სწორედ მაგრე ესმით. მათ სურთ ნემსი საწერ-კალამზედ უესცვალონ. ფეხინიზმი ამიცნობ ხშირად სასაცილოა და არსებითად რეაკციონურია.

ჰქადაგებს, ჰქადაგებს „კაპიტალის და შრომის შეთანხმების საჭიროებას“, „კლასთა თანამშრომლობაზე“ ლაპარაკობს. და ამიტომაც არის, რომ, ოფენსაც კი სახელმწიფო ჩაერევა ხოლმე სოციალურ ბრძოლაში, იგი ყოველთვის ცდილობს დააყენოს მუშათა მოძრაობა დემოკრატულ ნიადაგზე, ე. ი. იმ ნიადაგზედ, რომელსაც უარ-ჰყოფს სარევოლუციო სინდიკალიზმი. და ამიტომაც არის, რომ საფრანგეთში, მაგალითად, სინდიკალისტებია სრული უნდობლობა გამოუცხადეს ვალდეკ-რუსოს და მილიერანს, რომელნიც სხვადასხვა იურიდიულ დაწესებულებათა დაარსების საშუალებით (1) ცდილობდნენ ლეგალური ხასიათი მიეცათ სარევოლუციო მოძრაობისთვის.

„სინდიკალურ უფლებას (Droit syndical) არავითარი კავშირი არა აქვს დემოკრატიულ უფლებასთან (Droit démocratique), ამბობს ემილ პუჟე; ეს უკანასკნელი გამოსახულებაა შეუგნებელ უმრავლესობისა, რომელიც ბლოკს ადგენს შეგნებულ უმცირესობის აღმოსაფხვრელად. იგი ხალხის სუვერენიტეტის დოგმაზეა დამყარებული და თუმცა იმ დოგმას აღიარებს, რომ ყველანი ძმები და თანასწორონი არიან, დემოკრატიზმის სანკციის აძლევს ეკონომიკურ მონობას... სინდიკალური უფლება სულ სხვაა. მისი საფუძველი სუვერენიტეტია. ინდივიდუუმის, ადამიანის არსების ავტონომიაა. მისი დასკვნა — შეთან-

(1) Conseil supérieur du Travail (შრომის მთავარი საბჭო), Conseil du Travail (შრომის საბჭო), Réglementation des grèves (გაფიცვის მოწესრიგება კანონით), Arbitrage obligatoire (ხავალდებულო სამედიატორო სასამართლო), Capacité juridique octroyée aux organisations ouvrières (მუშათა ორგანიზაციებისათვის იურიდიულ პიროვნების უფლების მინიჭება).

ხმება სიცოცხლისათვის — სოლიდარობაა. ასე რომ ლო-
ლიკური და აუცილებელი მიზანი სინდიკალიზმისა განხორ-
ციელებაა თავისუფლებისა და სოციალურ თანასწორო-
ბისა (1). „ამრიგად, განაგრძობს ავტორი, სინდიკალუ-
რი უფლება ისახება, როგორც ახალ უფლების ჩამონა-
სახი, იგი ამზადებს სოციალურ განახლებას. ის საზოგა-
დოებას უმზადებს საძირკველს, სადაც კანონის ძალმომ-
რეობით რეჟიმის ნაცვლად დამყარდება თავისუფალ
ხელშეკრულობის სისტემა.... სადაც კაპიტალისტურ
წარმოების აღგილს დაიჭერს ექონომიური ფედერალი-
ზები“ (გვ. 23).

მაშასადამე, სინდიკალიზმი გადაჭრით უარპყოფს სა-
ხელმწიფოებრივ მექანიზმს და მომავალ წყობილებას ამ-
ზადებს არა მარტო ამ მექანიზმის დაუხმარებლად, არა-
მედ ამ მექანიზმთან შებრძოლებით. პოლ დელესალი ამ-
ბობს : „ბურეუაზულ მმართველობის ფარგალში მოქმე-
დების ნაცვლად, ნაცვლად იმისა, რომ მივიღოთ მონა-
წილეობა სამმართველო დაწესებულებაში; რაც ყოველ-
თვის რევოლუციის საწინააღმდეგო მოქმედება იქნება,
ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ იმგვარ მოქმედებას, რო-
მელიც გარედან მოქმედებს მმართველობის ორგანოებზე,
უპირატესობას ვაძლევთ მძლავრ პროპაგანდის საქმეს, რო-
მელიც ყოველთვის რევოლუციონურ ხასიათისაა და
უკომპრომისო“... (2).

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სინდიკალისტები ამ-
ზადებენ პროლეტარიატს საყოველთაო გაფიცვისთვის. ამ

(1) Les bases du syndicalisme, par E. Pouget, გვ. 22.

(2) Les deux méthodes du syndicalisme. P. Delesalle
გვ. 10.

გალაშქრებამ მურომელ არმიისამ უნდა ბოლო მოულობს საფლარიაზე (დაჭირავებას აღამიანის ძალლონისაას) და პატრონაზე (საწარმოვო იარაღთა კერძო პირებისაგან მითვისებას). საყოველთაო გაფიცვის მოსამზადებელ კო-მისიის ანგარიშში ვკითხულობთ : კორპორატიული ჯგუფები, სინდიკატები და საკუთრებიან სახელოსნოებს და ქარხნებს. თვითეულ ინდუსტრიის ნაწილში სინდი-კატები თავიანთ ფედერაციებთან შეთანხმებით გამოარ-კვევენ, რამდენი საქონელია საჭირო გასაკეთებლად. შრო-მის ბირჟებს, რომელნიც ახალ სოციალურ ორგანიზა-ციის ნერვიული განგლიონები გახდებიან, შეუკვეთავენ ამ საქონელს... რაიც შეეხება გაგზავნ-გამოგზავნას (ცირ-კულიაციას), ეგ საჭმე დაევალება ტრანსპორტების ფე-დერაციას (1).

აქ რომ შევჩერდეთ და დავასკვნათ ის, რაც გამომ-ლინარებს სინდიკალიზმის ანალიზიდან, უნდავ ვსთქვათ შემდეგი. ჩვენ წინ ახალი სოციალური სისტემაა. ამ სისტემამ მომავლის იდეალი გვიჩვენა; გვიჩვენა ისიც, თუ რაგვარ კონკრეტულ საშუალებით დავიპყრობთ ამ მო-მავალს და რა ხასიათის ფორმებში ჩამოისხმება ჩვენი ცხოვრება. ამ სისტემის სიძლიერე და სინამდვილე თეო-რიულ, განყენებულად დაყენებულ ფორმულებიდან არ გამომდინარებს. იგია ლოლიკური დასკვნა. სინდიკალი-ზმისა, მებრძოლ პროლეტარიატის პრაქტიკულ მოქმე-დებისა. ეგ მოქმედება ანტი-პარლამენტალური და ანტ-სახელმწიფოებრივია და მას წმინდა კლასური ხასიათი აქვს. სინდიკალიზმა უარპყო სახელმწიფოებრივ კოლექტივი-

(1) Commission des grèves et de la grève générale.

ზმის სისტემა. მართლაც, განა აშკარა არ არის, რომ სოციალურ წარმოების ორგანიზაციის ვერ მოახერხებს ვერავითარი ცენტრალური დაწესებულება? ვერ მოახერხებს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თვით წარმოება დეცენტრალიზაციისაკენ მიმდინარეობს, ვერ მოახერხებს, რადგან პროლეტარიატი დეცენტრალისტურ (და არა სახელმწიფოებრივ) ორგანოებში მოქმედობს და იბრძვის; ვერ მოახერხებს უმთავრესად კი იმიტომ, რომ ვერ შესძლებს ხალხის ცეკვებად მოთხოვნილებათა დროზედ დაკმაყოფილებას. საქმე ის არის, რომ სოციალისტური წარმოება ქიმიკობის პრინციპები კი არ იქნება დამყარებული, არა მეღვ ჰარმონიულად შეთანხმებულ ინტერესებზე. რათა წარმოებას ნორმალური მსეულელობა ჰქონდეს, საჭიროა, რომ ბაზარში გატანილი საქონელი არ აღემატებოდეს იმ ნორმას, რომელიც ესაჭიროება ხალხს. და თუ ეს ნორმა გადაცილებული იქნება, წარმოების სისტემას ზიანი მოუვა. დღეს კონკურენციის გამო, ამ მოვლენას კაპიტალისტები მნიშვნელობას არ აძლევენ და ამიტომაც არის, რომ, ერთის მხრივ, ხალხის უმრავლესობა უსაჭიროეს საგნებს არის მოკლებული, და მეორეს მხრივ კი, გროვდება აუარებელი სიმდიდრე და ამასთან ერთი კაპიტალი ძირს უთხრის მეორეს და ამ რიგად ჰბადავს სამრეწველო კრიზისებს. რომელი ცენტრალური ბიურო შესძლებს ამ ნორმის დაწესებას? რაც გინდა კარგად მოაწყოთ სტატისტიკური საქმე, ყოვლად შეუძლებელია ცენტრიდან თვალყური აღევნოთ ცვალებად აუარებელ საჭიროებათ, რომელნიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ხალხს ებადება. ეგ ბიურო ან გადააჭარბებს საქონლის განაწილებაში, მეტ საქონელს დაამზადებს ვიდრე საჭიროა, ან

საჭირო ნორმას დააკლებს.. ორივე შემთხვევაში შერყეული იქნება წარმოების სისტემა.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ი

პარლამენტი და კლასთა პრძოლა

ყველა ზემოდ ნათქვამის შესახებ აუცილებლივ გვეტყვიან: ლაპარაკი გაქვთ კაპიტალისტების და პროლეტარიების, მემამულეების და მიწის მუშაკთა შეტაკების და ბრძოლის შესახებ; და განა ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადოთ ხალხის ცხოვრებაში ეკონომიური საკითხი და ბრძოლაა ერთად-ერთი საყურადღებო მოვლენა? განა ხალხს საწარმოვო ინტერესების გარდა არა აქვს მეცნიერული, ფილოსოფიური და რელიგიოზური იდეალები? და განა ამ იდეალების განმარტებისათვის საკმარისია კლასთა ბრძოლის პრინციპი? სამართლიანია ისტორიულ მატერიალიზმის პრინციპი, ე. ი. განა ჭეშმარიტია ის აზრი, რომ ისტორიულ ევოლუციას, პროგრესს ყოველთვის მატერიალური საფუძველი აქვსო?

ისტორიულ მატერიალიზმის პრინციპებს ჩვენ სხვა-გან და სხვა დროს გავარჩევთ: საგანი რთულია; მოითხოვს ვრცელ დასაბუთებას. ამ ნაწერების ფარგალში მას ვერ მოვათავსებთ. ეხლა შეგვიძლია აღვნიშნოთ ის, რომ დღევანდელ პირობებში, ისტორიის დღევანდელ ხა-ნაში კლასთა ბრძოლის პრინციპი ცხოვრების ამოძრავების მთავარი ღერძია. და კლასთა და წოდებათა ბრძო-ლა კი თავისებურ ელფერს და განმარტებას აძლევს ხალ-ხის ცხოვრების ყველა სხვა მხარეებსაც. ჩვენ, რასაკვირ-ველია, არ უარვყოფთ იმას, რომ მეცნიერებას, ფილო-

სოფიას, ხელოვნებას, რელიგიას, და ეროვნულ საკითხს განსაზღვრული ადგილი უჭირავსთ ცხოვრებაში. ვამბობთ მხოლოდ, რომ მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება, რელიგია, ეროვნული კითხვა, — ყოველივე ეს ხალხში იბადება და ვითარდება, ხოლო რაღან ხალხს ეკონომიკური ფაქტები ამოძრავებს, ამიტომ ყველაფერს ამ ფაქტორის გავლენა ატყვია და არა მარტო გავლენა ატყვია, კითხვის განმარტება დღევანდელ პირობებში მხოლოდ კლასთა ბრძოლის პრინციპის მიხედვით შეიძლება. ჩვენ უკვე გაკვრით შევეხეთ ეროვნულ კითხვას და ვნახეთ, რომ ეროვნული კითხვა აუცილებლივ სოციალისტურ კითხვას უნდა დაექვემდებაროს. სოციალიზმი სამართლიანად სწყვეტს ეროვნულ კითხვას, ეროვნული კითხვა კი სოციალიზმს არ შეიცავს. რაც შეეხება დანარჩენ არა-ეკონომიკურ კითხვებს, ამის შესახებ ბაასი, როგორც ვსთქვით, სხვა დროსთვის გადავდოთ.

წინა წერილებში განვებ შევჩერდით სინდიკალიზმის განმარტებაზედ. სინდიკალიზმი გვეუბნება — თუ გინდათ სოციალიზმის განხორციელების საქმეს ემსახუროთ, გასწყვიტეთ ყოველივე კავშირი პოლიტიკურ პარტიებთან, ხელი შეუწყეთ პროფესიონალურ კავშირების დაარსებას და შეადგინეთ ამ კავშირების საშუალებით „შრომის პარტია“. ამას გვირჩევს სინდიკალიზმი. ლრმად დარწმუნებული ვართ, რომ კავკასიის და საქართველოს მშრომელი ხალხი, დღეს თუ ხვალ, ამ ახალს გზას აირჩევს. და აი სოციალისტ-ფედერალისტებისთვის იშლება ფართო მოედანი ნაყოფიერ მოქმედებისათვის. მაგრამ... ამ გვარ მოქმედებას პარტია ხელს ვერ მოჰკიდებს, თუ ძი-

რითადი ცვლილებანი არ მოახდინა, როგორც პარტიულ პროგრამაში ისე პარტიულ ორგანიზაციებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სოციალისტ - ფედერალისტები პრინციპიალურ წინააღმდეგობას თავს ვერ დააღწევენ, გარკვევულ გზას ვერ დააღვებიან, მშრომელ ხალხს დაშორდებიან და კლასთა ბრძოლის პრინციპს ვერ დაიცავენ. და თუ სოციალისტური პარტია კლასთა ბრძოლის ნიადაგს ასცდა, მას არავითარი გავლენა აღარ ექნება მშრომელ ხალხის განთავისუფლების საქმეში. სოციალისტთ-ფედერალისტა პარტია კი, ჩვენის აზრით, სწორეთ ამ ხასიათის თავთაქვეზედ იმყოფება ამ უამაღ.

მართლაც, დააკვირდით პარტიის მოქმედებას. რამდენადაც ვიცით, პარტიის ამ უკანასკნელ ხანაში გადაწყვეტილი აზრი არ ქონდა პარლამენტარიზმის შესახებ, ამ საქმის გადაწყვეტაში ორმა მიმართულებამ იჩინა თავი. ერთი მიმართულება გადაჭრით უარყოფდა პარლამენტალურ მოქმედების სარგებლობას, მიუხედავათ. ამისა პარტიის დელეგატთა კრებაზე პრინციპიალური კითხვა კი არ იყო წამოყენებული (მივიღოთ თუ არა მონაწილეობა პარლამენტში, საზოგადოთ,) არამედ ტაკტიკური კითხვა, მივიღოთ თუ არა მონაწილეობა რუსეთის სათათბიროში. დელეგატთა კრებამ დაადგინა, მონაწილეობას ნუ მივიღებთო. ხოლო გავიდა რამდენიმე კვირა და ამ საგნის შესახებ პარტიის ფედერალურმა კომიტეტმა აუწყა ქვეყანას, გარემოება გამოიცვალა, კადეტები იმარჯვებენ, „დუმას“ ოპოზიციონური ხასიათი ექნება და ამიტომ არჩევნებში მონაწილეობა უნდა მივიღოთ. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. რაკი პრინციპიალურ უარყოფილი არ იყო პარლამენტარიზმი, ერ-

თის ტაქტიკურის დადგენილების შეცვლა ძნელი საქმე აღარ უნდა ყოფილიყო:

პარტიამ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში და დაადგა თუ არა ამ გზას, დექემბერ თავთაქვეზედ და სრულიად მიაფუჩება კლასთა ბრძოლის პრინციპი. პარლამენტარულ ნიადაგზედ მომქმედ სოციალისტურ პარტიებისათვის კლასთა ბრძოლის უარ-ყოფა იქიდან იწყება, როდესაც ეს პარტიები კანდიდატების ამოსარჩევად ან რაიმე კანონის შესამუშავებლად არა-სოციალისტურ პარტიებს ეკავშირებიან „საერთო“ მოქმედებისათვის. საცა კლასთა შორის „საერთო მოქმედება“ ჩნდება, იქ კლასთა ძირითად შეურიგებლობაზე ლაპარაკი აღარ უნდა იყოს. სოციალ-ფედერალისტები, რომელნიც ვითომდა იდგნენ კლასთა შეურიგებლობის ნიადაგზე, დაუკავშირდნენ თბილისში ქართველ დემოკრატებს და რადიკალებს? პროვინციებში კი ზოგიერთ ადგილებში უკავშირდებოდნენ პარტიების გარეშე მდგომ „საზოგადოების“ უპრინციპონაწილს. ვინ არიან ქართველი დემოკრატები ან რადიკალები? საიდან დაიბადნენ? რას და ვის ემსახურებიან? რასაც ემსახურებიან, პროგრამებით გაიგებოთ, გვეტყვიან. მაგრამ ჩვენ დიდ ფას არ ვაძლევთ ამ პროგრამებს, ჩვენ ვიცით, რომ ამ პარტიების წევრნი ორი-სამი წლის წინად ან სრულიად გულგრილად ეკიდებოდნენ ხალხის განთავისუფლების საქმეს, ან თუ თანაუგრძნობდნენ, თანაუგრძობდნენ პასიურად და ამასთან თანაუგრძნობდნენ მხოლოდ კონსტიტუციის დამყარებას, ე. ი. თანაუგრძობდნენ იმგვარ წყობილების დამყარებას, საღაც გამოისახება ბურჟუაზიის პოლიტიკური გაბატონება. ეს ხალხი არსებითი წინააღმდეგია კლასთა ბრძოლის გამწვავებისა. მათი

სარწმუნოების სიმბოლო — „შრომის და კაპიტალის“ მორიგება და „კლასთა თანამშრომლობაა“. აი ამ ხალხს უკავშირდება სოციალისტური პარტია!

ჩვენ კარგად ვიცით, რომ სოციალისტ-ფედერალისტებს სხვა გზა არ ჰქონდათ, რავი ერთხელ შესდგეს ფეხი პარლამენტალურ პლატფორმაზედ. აქ კომპრომისი, პრინციპის ღალატი და შეუფერებელი დაკავშირება იგეთივე ლოლიკური და ბუნებრივი მოვლენაა, როგორც შეურიგებლობის და პრინციპის სიწმინდის დაცვა ლოდიკური და ბუნებრივი მოვლენაა რევოლუციონურ პლატფორმაზე მდგარ სოციალისტისათვის. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ პარტია ასე ადვილად არ უნდა დამდგარიყო ამ სახითათო გზაზედ. გვეტყვიან, სოციალ-დემოკრატებს მხარი ვერ დავუჭირეთ, რადგან ჩვენთან შეთანხმება არ მოინდომესო; სოციალ-დემოკრატიის კანდიდატებს მიეცით თქვენი ხმა და თქვენ კანდიდატებს ნუ წამოაყენებთო. მაგრამ, ჩემის აზრით, არც სოციალ-დემოკრატებთან შეთანხმება იხსნიდა სოციალ-ფედერალისტებს კომპრომისების ქსელითან. ამ შეკავშირებას გარეგნულად რევოლუციონური ხასიათი ექნება, მხოლო ასევე ითანაბეჭდი მას უფრო ლეგალიზმის ელფერი ედებოდა. ვინც პარლამენტში მიდის, რევოლუციას უნდა გამოემშვილობოს. სოციალ-დემოკრატებიც მიისწრაფიან პარლამენტში, მაშასადამე, არც მათთან დაკავშირებით დაიცავდნენ სოციალ-ფედერალისტურ სოციალიზმის და რევოლუციის პრინციპებს.

ეს რომ ასეა, გადავავლოთ თვალი ევროპიელ სოციალ-დემოკრატიის მოქმედებას, მოვიგონოთ ამსტერდამის კონგრესზე აღძრული კამათი და დავრწმუნდებით,

რომ თუ დღეს სოციალ-დემოკრატია კრიზისს განიცლის, ამის მიზეზი ის არის, რომ სოციალ-დემოკრატია პარლამენტში მოქმედებს და „რეფორმის“ და „რევოლუციის“ სინტეზის და შეერთების საქმეს ემსახურება.

„საქართველოს“ ფურცლებზედ ამ ორის წლის წინად ვრცელი წერილი დავბეჭდეთ ამ საკითხის შესახებ (1). მოვიყვანოთ იგი ზოგიერთის შემოკლებით.

1896 წელს ლონდონში მომხდარ სოციალისტურ კონგრესზე დაადგინეს: სოციალისტი, რომელიც პარლამენტალურ მოქმედების სარგებლობას უარჲყოფს და რომელსაც სოციალურ რევოლიუციის მოსახლენად პოლიტიკურ ძალის მოპოვების საჭიროება არ სწამს, გამორიცხულ უნდა იქნას კონგრესიდან და მომავალ ინტერნაციონალურ კონგრესზედაც მონაწილეობა არ უნდა მიღებოს. იგივე დადგენილება განმეორებულ იქნა ბრიუსელის კონფერენციაზე 1899 წ. ამ დადგენილებას ის მოჰყავა, რომ ინტერნაციონალურ სოციალიზმს ჩამოშორდნენ ანარქისტები, სარევოლიუციო სინდიკალისტები და საზოგადოდ მუშათა ის ორგანიზაციები, რომელთაც პარლამენტისადმი რწმენა დაეკარგათ და ხსნას წმინდა ეკონომიკურ ხასიათის ბრძოლაში და ხედავენ. პირიქით, ინტერნაციონალურ კონგრესებს დაეპატრონენ პარლამენტარიები, პოლიტიკოსები და მუშათა ორგანიზაციების ის წარმომადგენელნი, რომელთაც სწყურიათ პოლიტიკურ ძალის მოპოვება, ე. ი. დაეპატრონენ ს.—დემოკრატები.

1896 წლის კონგრესში სოციალიზმი პოლიტიკურ

(1) რეფორმა თუ როვოლუცია? (ამსაფერდამის კონგრესის გამო) „საქართველოს“ ნომრები 18, 19

ცხოვრების ფარგალში ჩააყენა, ქარხნიდან გააძევა და პარლამენტში შეამწყვდია. და ამ გარემოებას დიდ-მნი-შვნელოვანი შედევი მოჰყვა. სოციალიზმს სარევოლუ-ციონ ხასიათი თან და თან დაეკარგა. სიტყვას „რევოლუ-ცია“-ს შინაარსი დაეკარგა, სამაგიეროდ „რეფორმა“-ს თან და თან მოქალაქობრივი უფლება მიენიჭა. ამ ცვლი-ლებამ 1900 წ. პარიზში მომხდარ კონგრესზე ისეთის სიამაყით წამოჰყო თავი, რომ ზოგიერთ ს.-დემოკრატ „რევოლუციონერს“ გული გაუხეთქა, ჩააფიქრა და „რევო-ლუციონის“ დასაცავად საომრად გამოიწვია რეფორმისტე-ბის წინააღმდეგ. ამსტერდამში ხელმეორედ შეეჯახნენ ერთმანეთს მოპირდაპირენი და, კენჭის ყრას რომ მივაქ-ციოთ ყურადღება, უნდა ვსთქვათ, რომ „რევოლუციამ“ გაიმარჯვა „რეფორმაზე“ და მით სოციალიზმს დიდი სა-ფრთხე ააცილა. მაგრამ, საქმეს რომ დააკვირდეთ, აღმო-აჩენთ, რომ სოციალიზმი მაინც განსაცდელში დარჩა, რომ „რეფორმისტებზე“ „რევოლუციონერების“ გამარ-ჯვება უმნიშვნელოა, რადგან ორსავე ვითომდა მოპირდა-პირე ჯგუფს ერთი და იგივე პროგრამა აკავშირებს, ორივე ჯგუფი ერთსა და იმავე საშუალებას ხმარობს პროგრამის განსახორციელებლად, და რომ პარლამენტში მოქმედება ორსავე ჯგუფს, მიუხედავად ზოგიერთ სიტყვიერ ფართი-ფურთისა, რეფორმისტების ხასიათს აძლევს.

რეფორმიზმს და მის მავნებლობას ასე ახასიათებს პოლ ლუი (გედისტი):

„1904 წ. კონგრესს სწავლა ბოლო მოეღო ექვსის წლის წინად გაჩენილ კრიზისისათვის. თეორიის და კრიტიკის სფერაში ბერნუფეინი სცდილობა მარქსიზმის საძირკველის დარღვევას, იგი უარყოფდა კაპი-

ფალის კონცენტრაციას (1), კლასთა შორის არსებულ უთანხმოებას, უარ-უფლეს ეკონომიურ ეკოლუციის გავლენას სოციალურ ცხოვრებაზედ. პრაქტიკულ ფარგალში მიღიერანი გაჩნდა, რომელიც უორესის, ვივიანის და რუანეს მოწოდებით, ღენერალ გალიფესთან (2) ერთად შეღის მინისტრთა კაბინეტში. კაბინეტს თავს არ ანებებს შეგობრების რჩევით შალონსა და მარტინიკში მომზღვარ ამბების შემდეგაც (3). მის შეგობრებს პროცესით არ გამოუცხადებიათ მაშინაც, როდესაც მიღიერანი რუსის ხემითვის წინაშე ქედმოხრილი იდგა. სოციალისტ-რეფორმისტების პარტია თან და თან თავის პრაქტიკულ მოქმედებას თეორიულ საფუძველს აძლევს. იგი შექიდროდ უკავშირდება რაღიკალებს და ოპოზიციონერებს... ამ პარტიის ზოგიერთი გავლენიანი წევრი დათმობის გზას აღდას. უორესი იცალის მეფესთან ერთად მიირთმევს საუზმეს. იგი შხარს აძლევს მიღიერანს, როდესაც ამ უგანასკნელს უსაყველურებლენენ, რომ კენჭის ურის დროს პარლამენტში მიღიერანი წინააღმდეგი არ იყო არც სარწმუნოების ბიუ-ჯეტისა, არც ჯარის შემცირებისა და არც ანგიმილიფარულ პროცეგან-დას თანაუგრძნობდა... რეფორმისტების ფრაქცია, თავის პარლამენტა-ლურ მოქმედებაში იმდენად უახლოვდება რაღიკალიზმს, რომ თითქმის მისაგან აღარ განირჩევა... ამ მოვლენის სხვა ქვეყნებშიაც აქვს აღვრლი. უვიცარიის კანტონებშიაც სცადეს სოციალისტებმა მინისტრთა კაბინეტში შესვლა, ეს ცდა სამარცხვინოდ გათვალ მათვის. გერმანიის სო-ციალ-დემოკრატის ერთს ფრაქციას სწავლა, ვიცე-პრეზიდენტის აღგიღი სოციალისტმა უნდა მოითვლოს. ესლახან მომზღვარმა ავსტრიის სო-ციალისტურმა კონგრესმა ძლიერ ცუდი ჟენერაციები გამოააშკარავა. იტა-ლიაში ფურატიმ, მართალია, არ შილო სამინისტრო პორტფელი, რო-მელსაც აძლევდნენ; სამაგიეროდ, სამინისტროს შაინც შხარს აპლევს; ბელგიაში ანზელი და ფურნემონი უორესის მიმართულებას და აზრის იცა-ვენ და ნიაღავს ამზადებენ მომავალ კაბინეტში. შესვლისათვის (4).

(1) მარქსიზმის კრიტიკა მარტო ბერნულების არ ეკუთვნის, მარქს არ ეთანხმება ბევრი რევოლუციონერი, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ბერნულებისა და რევოლუციონისტებთან.

(2) გალიფე ის ღენერალია, რომელმაც კომუნის დროს (1870) დიდ ძალი ხალხი ამოკლიფა.

(3) რამდენიმე მუშის შოკვლა.

(4) Européen, 143.

აი სოციალ-რეფორმისტების სურათი. ს.-დემოკრატიის „რევოლუციონური“ ნაწილი წინააღმდეგა ამ გვარ მიმართულებას, წინააღმდეგა და შესანიშნავი ის არის, რომ რევოლუციონიზმის დასაცავად იძულებული შეიქნა თავის თავის წინააღმდეგ გალაშქრებულიყო და უარეყო პოლიტიკური ნიადაგი, რომელზედაც მანამდე იდგა.

ამსტერდამის კონგრესზე ს.-დემოკრატიის „რევოლუციონური“ ფრაქცია უორესს უსაყვედურებდა: ჩასუებისართ რესპუბლიკას და გვონიათ, პროლეტარიატს ხსნას რესპუბლიკა და თქვენი პარლამენტალური მოქმედება მოუტანს! ბებელმა რესპუბლიკანურ რეჟიმის დასამცროებლად გერმანიის მონარქიასაც კი დაუწყო გუნდრუკის კმევა.... „მე მონარქიის მცველად უნდა გამოვიდე „თქვენს წინააღმდეგ, — უთხრა მან უორესისტებს, — „მოხდება თუ არა თქვენში (საფრანგეთში) მუშათა გაფიცვა, იმ წამსვე ჯარს მიუსევენ. ჩვენში კი ამას არ შვრებიან.. ეს იმიტომ, რომ მონარქიას არ შეუძლიან სავსებით „მიიღოს მონაწილეობა იმ ბრძოლაში, რომელიც კლას „თა შორის არის აღძრული, მონარქიამ ხალხსაც უნდა „გაუწიოს ანგარიშით“ (1).

ბურჟუაზული რესპუბლიკა, რასაკვირველია, გაფრულთა ცუდი მცველია, მაგრამ მონარქია კი განა უკეთესია? ამის შესახებ გერმანიის ს.-დემოკრატულ ორგანო „ფორვერტ“-ში კურტ აიზნერი ამ ნაირად უპასუხებს ბებელს:

„განა შესაძლებელია ამგვარ საბუთების წამოუენება სასარგებლოდ გერმანიისა, იმ გერმანიისა, სადაც სოციალისტების წინააღმდეგ განსა-

(1) იხ. კონგრესის ანგარიში L' «Humanité» № 122.

კუთრებული განონები არსებობდენ, საღაც კანონის პროექტია უემუშავებული, რომლის ძალით გაფიცულნი ადვილად იქნებიან გასევებულნი... საკვირველია, რომ ჯავიწყელათ უცნება ბისმარკისა, პროლეტარიატის გასრება რომ სწოროდა პირდაპირ უეტაებაში. და თუ, საზოგადოდ, გერმანიაში არ გზავნიან ჯარს გაფიცულთა წინააღმდეგ, ეგ იმიტომ, რომ ხავანგების პოლიცია გვჟავს და პროლეტარიატის დისციპლინა უმაღლეს სარისხამდეა განვითარებული. პოლიცია ისე სასფიკად ეპურობა შანიფესიანულების, რომ ჯარის მოწვევა საჭირო აღარ არის. ვის უნდა ესროლონ ჯარის კაცებმა? ქუჩაში, ეპრედ წოდებულ, „უვრთელ“ ორგანიზაციების 1) მუშებს თუ ნახავენ. პროლეტარიატი გაწვრთნილია, იჩიტესვე ემორჩილება პოლიციას და მანიფესტაციების წინააღმდეგი. უალონში საფრანგეთის მუშებმა მანიფესტაცია რომ მოახდინეს, რამდენი მსხვერპლი იქნებოდა შაჭირო და რამდენ მუშას უკრავდნენ თავს ციხეში (2).

ამ რიგად, როგორც ვხედავთ, ბებელს თვით მისი ამხანაგები ამტყუნებენ. და, რასაკვირველია, გაამტყუნებენ, რადგან უორესის წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვები პოლემიკის საჭიროებისათვის წარმოსთქვა ბებელმა, თორემ იგი თითონ რესპუბლიკელია და შარშან დრეზდენის კონგრესზედაც აღიარა თავისი რესპუბლიკანიზმი: „პრუსიის გერმანიაში რაც უნდა უვარებისი რესპუბლიკა „არსებულიყო, ჩვენ ეხლა საყოველთაო საარჩევნო „თანასწორი, ფარული და პირდაპირი უფლება გვექნებოდა ყველა საწარმომაღენელო დაწესებულებისათვის... „ჩვენი კანონები ასოციაციებისა და კრებების შესახებ „უფრო ლიბერალური იქმნებოდნენ, სოციალური რეფორმებიც უფრო განვითარებული. პრესასაც უფრო მე-

(1) კაპიტალისტების მიერ უექმნილი ორგანიზაციებია გაფიცულების წინააღმდეგ საბრძოლველად.

(2) სიტყვები მოგვყავს L' «Humanité»-დან, 155.

„ტი თავისუფლება ექნებოდა... ერთის სიტყვით, ჩვენის „პროგრამის ბევრი მუხლი ეხლავე განხორციელებული „გვექნებოდა. ამ უამაღ კი იძულებულნი ვართ დიდხანს. „და მედგრად ვიბრძოლოთ და ამ ბრძოლას ბევრი ძალი „შევწიროთ“ (1).

ასე რომ ბებელის გალაშქრება ჟორესის რესპუბლიკანიზმის წინააღმდეგ ცარიელი ბაქა-ბუქი იყო, სხვა არა-ფერი. მაგრამ რაკი ამსტერდამის კონგრესზე „რეფორმიზმი“ ამოიღეს ნიშანში, ამიტომ საჭირო იყო რესპუბლიკის გმობაც. ბებელმა მონარქია ირჩია — იქ უფრო აღვილად განვითარდება რევოლუცია. ხოლო გედმაც გადააბოტა რესპუბლიკას და მოულოდნელად ანარქიულ ნიადაგზე შედგა. თქვენ რესპუბლიკის დაცვას უნდებითო, — უთხრა მანაც კონგრესზე ჟორესს: მაგრამ გეკითხებით, რანაირად უნდა შეუწყოს ხელი პროლეტა „რიატის განთავისუფლებას თქვენ მიერ გადარჩენილმა „რესპუბლიკამ?... თქვენი შეცდომა ძირითადია. თქვენ „სოციალიზმს რესპუბლიკას და დიდ რევოლიუციას უკავშირებთ. ჩვენ კი ვამტკიცებთ, სოციალიზმი წმინდა „ეკონომიურ მოვლენათა შედეგია და ჩვენი შეხედულება სრულიად ეწინააღმდეგება თქვენსას. თქვენს თვალში რესპუბლიკა პირველი თავი ან კიდევ შესავალია სოციალიზმისათ“. (2)

ამაზე ნათელად ანარქიულ კონცეპტიის აღიარება შეუძლებელი იყო, მაგრამ საჭმე ის არის, — ყოველივე ესეც სიტყვის მასალად იყო ნახმარი; თორებ გედი არ იყო განა,

(1) L' «Humanité», 123.

(2) იხ. ანგარიში L' «Humanité», 123.

საფრანგეთის ჩრდილოეთ ქალაქებში ეგრედ წოდებულ მუნიციპალურ სოციალიზმის განვითარებას რომ უწყობდა ხელს? განა 1893 წელს პარლამენტში დეპუტატობრივ დროს გედი არ ეხმარებოდა კანონმდებლობის შექმნის საქმეზი სხვა სოციალისტებს, რომელნიც რესპუბლიკის გაუმჯობესობას ცდილობდნენ და რესპუბლიკის საშუალებით პროლეტარიატის ხსნას? დიახ ეს ასე იყო და ამიტომაც თვით სოციალ-დემოკრატულ წრეებშიაც კი ვერაფრად მოიწონეს გედის გალაშქრება რესპუბლიკის წინააღმდეგ. „ფორვერტსმა“ გედის პოლიტიკა ამნაირად დაათასა :

„გედის აზრით, კლერიკალიზმის წანააღმდეგ ბრძოლა ფუჭი საქმეა. რიგიანი სკოლა, მისის აზრით, მარცო სოციალისტურ საზოგადოებაში დარსდება. ეს იმ მხრივა მართალი, რომ საზოგადოდ ყველა ჩვენთა მისწრაფებათა სავსებით მხოლოდ სოციალიზმი განახორციელებს, მაგრამ განა გერმანული სოციალ-დემოკრატია უურადღებოდ სტოვებდა საყოველდეო ურობას ამა თუ იმ რეფორმის განსახორციელად? გედს როგორ გავუვეთ, პარლამენტარიზმის თავი უნდა დავანებოთ, (კურსი ჩვენია) აღარ უნდა ვიმოქმედოთ საკანონმდებლო ნიაღვებედ... ამ ხასიათის გედთან გერმანელ სოციალ-დემოკრატიას საერთო არა ექნებოდა რა, მას რომ ჩვენში ემოქმედნა იგი დაიჩრდილებოდა ანარქისტების პარა ჯგუფში (1).“

გედის წინააღმდეგ დრეზდენის რეზოლუციაც ლალადებს. დრეზდენში მომხდარ სოციალ-დემოკრატულ კონგრესზე „რევოლუციონურმა“ ელემენტმა გაიმარჯვა. ამ კონგრესზე ბებელის მიერ რესპუბლიკის სასარგებლოდ წარმოთქმულ სიტყვის შემდეგ რეზოლუცია გამოიტანეს, რომელშიაც, სხვათა შორის, აღიარებულია, რომ ს.-დე-

(1) L'«Humanité», 1905.

მოკრატიამ უნდა ისარგებლოს თავის პარტიის ზრდით. და განამტკიცოს და განავითაროს პოლიტიკურ თავის-უფლების უფლებანი და „უნდა ცდილობდეს ენერგიულად განაუმჯობესოს სოციალური კანონმდებლობა“. აშკარაა კანონმდებლობას ვერ გააუმჯობესებთ, თუ პოლიტიკური ფორმა არ დაიცევით. და მაშასადამე, დრეზდენის კონ-გრესის მიერაც არიან გამტყუნებულნი ამსტერდამის კონ-გრესის „რევოლუციონერები“. მაგრამ, ყველაზე საკვირ-ველი ის იყო კონგრესზედ, რომ „რევოლუციონური ალფროვანება“ გამოიჩინეს გერმანელ ს.-დემოკრატიის წარმომადგენლებმა, რომელნიც, ჩვეულებრივად, თავიანთ მუდმივ პრაქტიკულ მოქმედებაში არასოდეს არ გასცილებიან ლეგალურ ნიადაგს. ამგვარი შეუსაბამობა უორესმა აღნიშნა თავის სიტყვაში, როდესაც კაუცის და ბებელს მიჰმართა და უთხრა :

„ოქვენი პარტია პროპაგანდის განვითარების მხრივ შეუძარებელია. ამას ამჟეკცებს 1903 წლის არჩევნები, როდესაც ოქვენ სამი მილიონი ხმა მოიპოვეთ. მაგრამ ოქვენი მოქმედება შეფერხებულია, რადგან პო-ლიტიკურად უძლურნი ხართ. მოქმედების ორი საშუალება გაკლიათ. ოქვენ არა გაქვსთ რევოლუციუნური ფრაძიცა. რეფორმები, საყოველ-თაო საარჩევნო უფლება — ყოველივე ეს მთავრობისაგან მიიღეთ, ჩვენ-სავით ბარიკადების საშუალებით არ დაგიძურიათ იგი. ოქვენ კანგა-იცით, რომ ამ უამაღ გემუქრებიან, ჭსურთ საყოველთაო საარჩევნო უფ-ლება წაგაროონ, მაგრამ ოქვენ ფეხს არ იცვლით. საქსონიაში, რომელ-საც „წითელ სამეფოს“ უწოდებენ (ისე ბევრია აქ სოც.-დემოკრატები), უკვე მოსპეს ეს უფლება, მაგრამ ოქვენ პროცესფი არ გამოგიცხადებიათ. ოქვენ (მიუბრუნდა უორესი ბებელს) კრუპის (1) ინციდენტის გამო

(1) კრუპი — ცნობილი ზარბაზნების მკეობელი მექანიკენ იყო გერ-მანიაში. ს.-დემოკრატებმა გამოაქვეყნეს ფაქტები მის გარუებილობის უე-სახეს და იმანაც თავი მოიკლა. იმპერატორს ძლიერ ეწყინა და მუშებს თანაგრძნობის გამოსაცხადებლად აღრესი დაწერინა.

შეგენიერი სიცუვა წარმოსთქვით რეიხსფაგში, სიცუვა, რომელიც ჩვენ
ყველა ენებზე გადავთარგმნეთ; მაგრამ ოქვენ შეურაცხყავით ოქვენი თა-
ვი, რაჯგან მუშებს ურჩიეთ, რომ იმპერატორისთვის თავმდაბალი აღრი-
სი მიერთმიათ. ოქვენი უძლურება იმაშიაც გამოისახება, რომ საპარლა-
მენტო ძალა გაკლიათ. კენჭის ყრას ოქვენში არავითარი მნიშვნელობა არა
აქვს, რაჯგან ოქვენი პარლამენტი ერთად - ერთია, სადაც მინისტრები პა-
სუხს არ აგებენ და სადაც უოველი დადგენილება იმპერატორისაგან აღ-
ვიღად გაუქმებულია ხოლმე. ღრეზდენის კონგრესიდან ბევრს რასმეს მო-
ველიოდით. გვეგონა, რამე გეგმას, პროგრამას უეიშუავებდით; მაგრამ
ოქვენ დარწმუნდით რა, რომ პროლეტარიატი მომზადებული არ არის,
ოქვენი უძლურება ამოაფარეთ ოქონიულ და სარევოლუციო ხასიათის
ფორმულებს, რომლებსაც კაუცი ისე აღვიღად გიცხობსთ ხოლმე“ (1).

აი ამ გვარად კამათობენ ერთმანეთში ს.-დემოკრატიის „ორის მიმართულების“ წარმომადგენელნი. ამ კამათს რომ
ვაკვირდებით, ვრწმუნდებით, რომ ინტერნაციონალურ
ს.-დემოკრატიაში კრიზისმა იჩინა თავი. იმან, ერთის მხრივ,
შეიწყნარა ბურჟუაზიული პარლამენტალური რეუიმი და ამ
რეუიმის საშუალებით ცდილობს განახორციელოს კოლექ-
ტივიზმის იდეალი; მეორეს მხრივ, მასში ეჭვი დაიბადა:
ბურჟუაზულ რეუიმის შეწყნარება ხომ ღალატია პრო-
ლეტარიატისა, იგი ხომ სარევოლუციო სოციალიზმის
უარპყოფაა. მაგრამ საუბედუროდ, ეგ მეორე ნაწილი
ს.-დემოკრატიისა, რომელსაც სარევოლუციო პრინცი-
პებისადამი მისწრაფება ვითომდა გაეღვიძა, ვერ პბედავს
იმ ფარგლის გადაცილებას, რომლითაც შემოზღუდულია
იგი, ვერ პბედავს ბადეს (პარლამენტარიზმის) დახევას,
რომელშიაც გახვეულია იგი და რომელიც აფერხებს მის
სარევოლუციო მოქმედებას. მას არ ესმის, თუ რა გზით
შეუძლია იხსნას თავი, იგი არ ხედავს თავის პრინციპების

(1) L' « Européen », 144.

ძირითად შეცდომას; იგი სარევოლუციო ფრაზეოლო-
გით არის დაბრმავებული და თავის ამხანაგებს, რომელ-
თაც მედიდურად „რეფორმისტებს“ უწოდებს (თითქოს
თვითონ რეფორმების წინააღმდეგი ყოფილიყოს) შემდეგს
სიტყვას ეუბნება: „რამდენადაც უფრო აპატარავებენ
„სოციალისტები პროლეტარიატის მოთხოვნათა ფარგალს,
„იმდენად მეტად ლალატობს პროლეტარიატი სოცია-
ლიზმს (უკედ—ს.-დემოკრატიას.) და ანარქიზმს ითვი-
სებს“ (1). ამ სიტყვების ავტორს და მის ამხანაგებს
უნდა გაეგოთ, რომ ვინც ბურჟუაზულ პარლამენტში
მოქმედობს პროლეტარიატის ინტერესების დასაცავად,
იგი ჯუცილებლივ და მუდმივ ლალატობს ამ ინტერესებს.
ეს რომ გაეგოთ ამ სიტყვების მთქმელს და მის ამხანაგებს,
ანარქიზმს აღარ გაექცეოდნენ, პარლამენტს თავს და-
ანებებდნენ და თავიანთ ძალლონეს პროლეტარიატის ორ-
განიზაციას კაპიტალთან პირდაპირ ბრძოლისთვის მოან-
დომებდნენ. მაშინ ექნებოდათ ლოლიკური და ზნეობ-
რივი უფლება „რეფორმისტების“ წინააღმდეგ ბრძოლისა.
ეხლა კი მათ მიერ ატეხილი აყალ-მაყალი კომიკურ შთა-
ბეჭდილებას ახდენს.

მარტლაც, რას უსაყვედურებენ „მარტლ მორწმუნე“
მარქსისტები რეფორმისტებს? იმას, რომ რეფორმისტები
პარლამენტში ბურჟუაზულ პარტიებს ეკავშირებიან და
ამ საქციელით კლასთა ბრძოლის ბადლად კლასთა თანამ-
შრომლობის პრინციპს აღიარებენო. ეს სრული კეშმარი-
ტებაა. მაგრამ განა ამასვე არა სჩადიან „რევოლუციონერები?“
კაუციი ამბობს: „პარლამენტალურ ბრძოლის დროს ამა

„тү ом კანონის განსახორციელებლად ხშირად მეტი „განსხვავება და წინააღმდეგობაა ლიბერალებსა და ბურ-უჟაზიის სხვა პარტიათა შორის, ვიდრე ლიბერალებსა „და სოციალისტებს შორის. ამ შემთხვევაში სოციალისტებმა ლიბერალებთან ხელი-ხელ ჩაკიდულნი უნდა „იარონ“ (1). ასე რომ, სრულიად გაუგებარია, რას უასყვე-დურებენ მარქსისტები რეფორმისტებს? ორივენი ერთიანად ლალატობენ კლასთა ბრძოლის პრინციპს. რაკი რევოლუციონერი პარლამენტის სავარდელში ჯდება და თანახმაა სხვა ფრაქციებთან ერთად კანონების შემუშავებაში მონაწილეობა მიიღოს, რაც უნდა წინააღმდეგი იყოს იგი პარლამენტში მყოფ ყველა ბურუჟაზულ პარტიებისა და რაც უნდა პროტესტი გამოაცხადოს ამა თუ იმ კანონის გამოქვეყნების გამო, რევოლუციონერი უკვე ლალატობს თავის პრინციპებს და პარლამენტში შესვლისთანავე კომპრომისის ბადეში ეხვევა. საქმე ის არის, რომ კანონების შექმნაში პრიუნიას მგებელია მთელი შენიჭადებითი. განსაზღვრულ კანონის შორინებდმდეგეს იგივე პასუხისმგებლობა მიუძღვის ამ კანონის შექმნის და გამოქვეყნების საქმეში, რა პასუხისმგებაც მის მომხრევა აქვს. კანონის მოწინააღმდეგე დეპუტატიც ისე უნდა დაემორჩილოს მას, როგორც მისი მომხრე ემორჩილება. ეს იმიტომ, რომ კანონი არის პარლამენტის მოქმედების აქტი, იმ პარლამენტისა, რომლის არსებობას იწყნარებს „რევოლუციონერი“. ასე რომ მაშინაც კი, როდესაც სოციალისტურ დეპუტატებს პარლამენტში შხოლოდ აპოზიციის ხასიათი აქვსთ, მაშინაც კი ლალატობენ ისინი კლა-

თა ბრძოლის პრინციპებს, რადგან ბურუუაზულ დაწე-
სებულებების მიერ გამოქვეყნებულ ანტისოციალურ კა-
ნონებს ემარჩიოდებიან, ემორჩილებიან, როგოც დეპუტა-
ტები და ლეგალისტები.

მაგრამ მაგარი ის გახლავთ, რომ სოციალისტი დე-
პუტატი მარტო ოპოზიციურ მოქმედებას არ სჯერ-
დება პარლამენტი. ან როგორ უნდა დასჯერდეს, როდე-
საც ს.-დემოკრატიის მინიმუმის პროგრამა აღვილად გან-
ხორციელდება თვით ბურუუაზულ პარლამენტის საშუ-
ალებითაც. და რაკი იგი მოწადინებულია განახორციე-
ლოს თავის პროგრამა, ამ შემთხვევაში აუცილებლივ უნდა
დაუკავშიროს, დროებით მაინც, ბურუუაზულ პარტიების
იმ ფრაქციის, რომელიც თანაუგრძნობს მის პროგრამას.
პარლამენტალური მოქმედება იმ ხასიათისაა, რომ ყოვე-
ლითერი დამოკიდებულია პარტიათა დაკავშირებაზე. არც
ერთი პოლიტიკური პარტია, რა გინდ ძლიერი ძირი
იგი, თავის საკუთარის ძალ-ღონით, სხვა პარტიების დაუ-
ხმარებლივ, ვერ გაიყვანს ვერც ერთ კანონს. იგი იძუ-
ლებულია ამისათვის უმრავლესობა შექმნას. და ასედაც
ხდება ხოლმე ყოველთვის, როდესაც კანონის შექმნა
ჰსურთ. ს.-დემოკრატი დეპუტატებიც უფლებობების და
უფლებობების და უფლებების ამ შეკავშირებით ღალატობდნენ
კლასთა ბრძოლის პრინციპებს.

მართალია, „რევოლუციონერები“ ამბობენ, ჩვენ წინა-
აღმდეგნი არა ვართ „შეკავშირებისა“, ხოლო იგი შეკავ-
შირება უნდა იყოს დროებითი და არა მუდმივი.

„მაგრამ საჭმე ის არის, — ამბობს ცნობილი ფრანგი რალიკანი,

მოქანი (Maujan) : მნელია განსაზღვრა იმისი, თუ სად უნდა თავდებოდეს ღროებითი შეკავშირება რაღიცალებთან ! უორეს აქვს უფლება სოქვას, — ჩემი კავშირი უმრავლესობასთან (ბლოკთან) ღროებითა, ხოლო ამ გვარივე უფლება აქვს გეძს, როდესაც იგი ამციკლებს, რომ იგი კავშირი მუძმივია. არ არის განსაზღვრული, თუ რა არის ღროებითი... არიან რევოლუციონერები, რომელნიც პარლამენტში. არ უდინან, ცდილობენ, კალმის, სიცუვის და სინდიკატების საშუალებით გაავრცელონ თავიანთი აზრები. მაგრამ, რაკი პარლამენტში მოღიან. შეთანხმებისთვის მოღიან — c'est pour parlementer. აქ იმაღლება ძირითადი კამპრომისი. არიან ანგიპარლამენტალური კომუნისტები და უორესის ფიპის პარლამენტალური სოციალისტები. მაგრამ ჩვენ ვერ გაგვიგია, რანარად უნდა არსებობდეს მესამე პარტია; რომელსაც ორსავე სისტემაზე სურს ჯდომა, და გეძი სწორედ ამისთანაა. ღიღი სულგრძელობაა საჭირო, რომ უენტუნაროთ იგი. ერთსა და იმავე ღროს უეუძღებელია იური პარლამენტის მომხრე და რევოლუციონერი. გეღისტების (მარქსისტების) წინ ღილებმაა, მათ უნდა ამოარჩიონ ან ფრიბუნა (პარლამენტი) ან ბარიკადა (რევოლუცია), თუ სწალიათ სერიოზულ რევოლუციონერების სახელი მოხვეჭონ“ (1).

ამ გვარია ლოლიკის ულმობელი მოთხოვნილებანი. მაგრამ ლოლიკასაც რომ ყურადღება არ მივაქციოთ, და ფაქტებსა და სინამდვილეს დავაკვირდეთ, დავრწმუნდებით, რომ ეგრედ წოდებული „სარევოლუციო“ ფრაქტიკა ს.-დემოკრატიისა თავის პრაქტიკულ მოქმედებაში არათ არ განირჩევა „რეფორმისტებისაგან“. და ეს განსაკუთრებით მართალია გერმანელ მარქსისტების შესახებ, იმ მარქსისტებისა, რომელნიც წამდაუწუმ სარევოლუციო ფრაზებს ისვრიან, ხოლო თავიანთის მოქმედებით კი რევოლუციას აფერხებენ. შორს რომ არ წავიდეთ, მოიგონეთ საერთო გაფიცვის კითხვა, რომლის წინააღმდეგ გაილაშქრნენ გერმანელი ს.-დემოკრატები. სხვა

მოპირდაპერენიც ჰყავდა ამსტერდამის კონგრესზე საერთო გაფიცვის კითხვას, მაგრამ ისე მტრულად არავინ მიჰვებებია სარევოლუციო საშუალების აღიარებას, ომგორც თრთოდოქსალური მარქსისტები. „რევოლუციონერთა“ ხმის უმეტესობით უარყოფილ იქნა საერთო გაფიცვის პრინციპი.

ამსტერდამის კონგრესის შემდგ გერმანელ ს.-დემოკრატიამ თავისი ნაციონალური კონგრესი მოიწვია. ამ კონგრესზე ბებელის და კაუცის მეთაურობით „სარევოლუციო“ ელემენტებს მეტი გავლენა და ხმის უმეტესობა ჰქონდათ, ვიდრე „რეფორმისტებს“ — და ამ „რევოლუციონერებმა“. ამ სახით ისახელეს თავი კონგრესზე.

კონგრესს ანგარიშს აძლევდნენ ს.-დემოკრატ დეპუტატების რეიხსტაგში მოქმედების შესახებ. გერმანიას ამ უამაღ აფრიკაში ცხარე შეტაკება აქვს პატარა „ველურ“ ხალხთან, ჰერეროსებთან. ბიულოვმა რეიხსტაგს კრედიტი სთხოვა ამ ექსპედეციის გასაძლოლად. როცა კენჭის ყრაზე მიღვა საქმე, ს.-დემოკრატებმა თავის მხრივ კენჭი არ უყარეს ამ კითხვას. კრედიტის წინაღმდეგ რომ გვეყარა კენჭი, — მთახსენა კონგრესს ლედებურმა, — „უველას ეგონებოდა, ვითომ ს.-დემოკრატებს ჰსურთ გერმანელ მოქალაქეთა ამოწყვეტა ჰერეროსების მიერო“. ბებელი ისე მხურვალედ ამართლებდა დეპუტატების მოქმედებას ამ კითხვის გადაწყვეტის დროს, რომ კონგრესზე „ნაციონალ-დემოკრატის“ სახელიც კი მოიხვეჭა (1). მეორე საგანი უფრო საყურადღებოა. ლიბკნეხტმა (შვილმა

(1) On lui appliqua même l'épitète plutôt dure de national-démocrate. n. პოლ ლუის ანგარიში L'« Européen », 148.

უკვე გადაცვალებულ ცნობილ ს.-დემოკრატიისამ) წინა-
დადება შეიტანა კონგრესზე, საჭიროა ანტიმილიტალის-
ტური პროპაგანდა მოვახდინოთ ყაზარმებში ჯარის კაცებ
შორის, ავუხსნათ, რომ სალდათებმა აფიცრების ბრძანებით
თავიანთ მამებსა და ძმებს არ უნდა ესროლონ ხოლმე თო-
ფებიო. ეს წინადადება „რევოლუციონერებმა“ უარჲყვეს.
„ძნელი საქმეა, ძნელია ფსიხოლოგიურადო“ და განი-
ხილეს მხოლოდ ამა თუ იმ მოქმედების სარგებლობა (1).

მაგრამ ამ ფაქტებსაც დავანებთ თავი, ფაქტებს, რო-
მელნიც გვიჩვენებენ არა სარევოლუციო ხასიათს ს.-დე-
მოკრატიის „სარევოლუციო“ ფრაქციისას. ჩვენ ვამტკი-
ცებთ, რომ იგი ფრაქცია სიტყვა „რევოლუციას“ ფრა-
ზის მასალად ხმარობს მხოლოდ და არავითარ მნიშვნე-
ლობას და შინაარსს არ აძლევს მას. გადაშალეთ ორტო-
დოქსალურ მარქსიზმის თანამედროვე თხუზულებები, და-
აკვირდით, რას ამბობს მარქსიზმის თეორეტიკოსი კარლ
კაუცკი თავის „სოციალურ რევოლუციაში“ და დარწმუნ-
დებით, რომ ს.-დემოკრატია გაურბის რევოლუციას, გარ-
კვეულად და ყველასათვის გასაგებ რევოლუციის მცნე-
ბას სიბნელესა ჰქონის.

კაუცკი აყენებს კითხვას : რანაირად უნდა მოხდეს
სოციალური რევოლუცია? ჩვენ უკვე ვიცით, რომ „რე-
ფორმისტების“ პოლიტიკას კაუცკი არ იწყნარებს. მარ-
თლაც, იგი შესაწყნარებელი არ არის, რადგან რეფორ-
მისტებმა სრულიად უარ-ჲყვეს ტრადიციები სარევოლუ-
ციო სოციალიზმისა. და უი თქვენ ამ პრინციპების აღი-
არებას მოელით კაუცკისაგან. მაგრამ თქვენი მოლოდი-

(1) იხ. იქვე.

ნი გაცრუებული რჩება. მოისმინეთ, რას ბრძანებს „სარევოლუციო“ ს.-დემოკრატთა წინამძღვრლი: ზოგსა ჰგონია, რევოლუცია უნდა მოხდეს ხალხის შეიარაღებულ აჯანყების საშუალებით; ზოგი ჰფიქრობს, რევოლუციას გამოიწვევს სახელმწიფოს ფინანსიური დასუსტება; ზოგი რევოლუციას ომისაგან მოეღის; ზოგიც საერთო გაფიცვას უყურებს, როგორც სოციალიზმის განმახორციებელ იარაღსაო. ხოლო, კაუცის აზრით, არც ერთი აქ ჩამოთვლილი საშუალება; არც ცალკე, არც საერთოდ აღებული, სოციალურ რევოლუციას ვერ მოახდენს.

„არავითარი საბუთი არა გვაქვს ვითიქროთ, რომ შეი-
„არაღებულ აჯანყებას, ბარიკადებზე ბრძოლას და სხვა ამ
„გვარ სამხედრო ხასიათის ეპიზოდებს ჩვენს დროში რაი-
„მე გადაჭრილი მნიშვნელობა ჰქონდეს რევოლუციის-
„თვის“ (1). ეს ისეთი აშკარა ჭეშმარიტებაა კაუცის
თვალში, რომ ამის შესახებ ლაპარაკსაც მეტად სოვლის.
„მაგრამ როგორც შეიარაღებული აჯანყება ვერ და-
„ამხობს აწინდელ წესწყობილებას, — განაგრძობს კაუც-
„კი, — ისე არც ფინანსიურ გაკოტრების გამო იქნება
იგი დამხობილიო“ (2). ისტორიაში მაგალითები ყოფი-
ლა, რევოლუცია ზოგი ერთ ქვეყნებში ომისაგან იყო
გამოწვეულით (საფრანგეთში 1870), „მაგრამ არავითარი
„სურვილი გვაქვს, ჩვენი წინსვლა ამის მიერ იქმნეს დაჩ-
„ქარებულიო“ (3). დარჩა საერთო გაფიცვა. მართალია,

(1) Социальная революция გვ. 79.

(2) იქვე.

(3) გვ. 88.

— ამბობს კაუცი, — წინად გაფიცვის მომხრე ვიყავი და
ვწერდი (Neue Zeit 1890—91 № 50 გვ. 757):

„ზოგიერთ პირობებში, როდესაც საქმე უკიდურესობამდის მიღის, რო-
დესაც მუშათა უმრავლესობა ღიღმისვნელოვან ამბებით არის აღელვე-
ბული, საერთო გაფიცვას შეუძლია პოლიციური ღრმა ცვლილება მო-
ახდინოს, მაგრამ ამ სიცუვებით სრულებით არა მსურს საერთო გა-
ფიცვის პრინციპი დავიცვა იმნაირად, რანაირადც იცავენ ანარქისტები და
საფრანგეთის სინდიკალისტები. მათის აზრით; საერთო გაფიცვამ პროლე-
ტარიატის პოლიციურ ანუ პარლამენტალურ მოქმედების ადგილი უნდა
დაიჭიროს და ამ სახით თანამედროვე წყობილების დამხობის საშუალე-
ბად გადაიქცეს. ეგ — სისულელეა. საერთო გაფიცვის მოხდენა ისეა
მნელია, ისეთი ერთსულობა და ორგანიზაცია საჭირო, რათა ერთსა და იმა-
ვე დროს განსაზღვრულ ქვეყანაში ყველა მუშებმა თავი დანებონ მუ-
შაობას, რომ ამგვარ ერთსულობას მუშები თანამედროვე საზოგადოე-
ბაში თავისდღეში ვერ განახორციელებენ“ (1).

ამ რიგად, როგორც ს.-დემოკრატის შეპტერის, კაუც-
კი წინააღმდეგი არ არის პოლიტიკურ ცვლილებათა მოსა-
ხდენად საერთო გაფიცვის პრინციპი აღიაროს, ხოლო
სოციალისტურ ცვლილებას იგი ვერ განახორციელებს.
მიზეზი? პროლეტარიატის განხეთქილება - შეუთანემებ-
ლობაა. ხოლო თუ საქმე მარტო ეს არის, განა ყოველი
სოციალისტი მოვალე არ არის იმოქმედოს ამ შეუთან-
ემებლობის მოსპობისთვის და მით შესაძლებელ-ჰყოს სა-
ერთო გაფიცვის ორგანიზაცია? მაგრამ თქვენ თუ გება-
დებათ ამ გვარი ფიქრები, თორემ ს.-დემოკრატი ამ მხრივ
დამშვიდებულია. და რატომაც არ უნდა იყოს დამშვი-
დებული, როდესაც პგრნია, რომ სოციალურ რევოლუ-
ციას პარლამენტი მოახდენს, ოლონდ ამ პარლამენტში
ძალა პროლეტარიატის წარმომადგენელთა ხელში ჩავარ-

დეს. როდესაც ეს მოხდება, მაშინ და მხოლოდ მაშინ
დაიწყება „სოციალური რევოლუცია“. შესაფერ კანონ-
მდებლობის საშუალებით ბურჟუაზული წესწყობილება
სოციალურ წესწყობილებად იქნება გარდაქმნილი.

ერთის სიტყვით, სირევოლუციონ სოციალიზმი მარ-
თლაც განსაცდელშია, ამ განსაცდელში პარლამენტარულ
სოციალისტებმა ჩააგდეს. მართალია; მათ შორის განხე-
თქილებაა და ერთი ნაწილი პარლამენტარულ სოცია-
ლისტებისა ცდილობს „სარევოლუციო“ ტრადიციები
დაიცვას, მაგრამ როგორც ვნახეთ, იგი ცდა უნაყოფო
და უმნიშვნელოა. ყორესისტები დაღატობენ სოციალიზმს
და კლასთა ბრძოლის პრინციპს, სოლი ბეჭედისტები და
გედისტები სოციალიზმთან ერთად დოლიგის მოთხოვნილე-
ბასაც დაღატობენ. ყორესისტები, აღთვებენ — კომიტომისა
ჩვენი მოქმედების იარაღით; გედისტები ჭკიციავენ. ყომიტო-
მისი, სოლი იმავე კომიტომისში არაა გაბმული.

ამას ღალადებს მათი პრაკტიკული მოქმედება და მათი
თეორიული მოძღვრება.

აი ისტორიის გაკვეთილი. გამოიყენებენ თუ არა ამ
გაკვეთილს ჩვენებური სოციალისტ-ფედერალისტები, ახ-
ლო მომავალი გვიჩვენებს !

18 მაისი, 1906 წ. ოქლავი.

B.O

301.19
5 425

ତ୍ୟାଗ ୨୯ ପ୍ରକ୍ରିୟା.
